საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 ოქტომბერი ორშაბათი 2011

№256 (13553) ფასი 80 თეთრი

# მართლა დერბი!

## ასე არ ჯობია?! თამაშიც კაცური იყო და დახვედრაც

## გეგუჩაძის ტორპედო მიზანში ურტყამს



ქუთაისელთა სიხარული ზესტაფონში

არჩილ გეგენავას ფოტო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 12 | 8 | 2 | 2 | 25 | 14 | 26 |
| 2 | ტორპედო | 12 | 8 | 1 | 3 | 15 | 7 | 25 |
| 3 | დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25 | 12 | 25 |
| 4 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 17 | 13 | 21 |
| 5 | მერანი | 12 | 6 | 2 | 4 | 14 | 12 | 20 |
| 6 | ბაია | 12 | 6 | 1 | 5 | 15 | 10 | 19 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 12 | 4 | 3 | 5 | 11 | 15 | 15 |
| 8 | გაგრა | 12 | 4 | 1 | 7 | 12 | 17 | 13 |
| 9 | კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 11 | 18 | 12 |
| 10 | დილა | 12 | 3 | 2 | 7 | 16 | 19 | 11 |
| 11 | სპარტაკი | 12 | 2 | 4 | 6 | 8 | 18 | 10 |
| 12 | სიონი | 12 | 1 | 3 | 8 | 8 | 22 | 6 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. მოგებათა მეტი რაოდენობა;
2. ურთიერთშეხვედრები;
3. გატანილი და მილებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6. ფეარ პლეი;
7. წილისყრა.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო) | 8 |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 8 |

**საქართველოს თასი**

**2 ნოემბერი, ოთხშაბათი**

1/8 ფინალი

*საპასუხო მატჩები*

**მომდევნო ტური**

**6 ნოემბერი, კვირა**

გაგრა-სიონი
ბაია-მეტალურგი
სპარტაკი-მერანი
ტორპედო-დილა *Live*
ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-კოლხეთი

*საქართველოს ჩემპიონატი XII ტური*

2-4




დინამო-სპარტაკი 2:0. გოლი სპარტაკის კარში

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

*ინგლისი*

**არსენალმა ჩელსის 5 გაუტანა**

*ესპანეთი*

**რეალი ლიდერია**

*გერმანია*

**რაულმა ხელით გაიტანა**

## სინიორამ იტალიის დერბი მოიგო



5-9



გოგიტა გოგუამ ეროვნულ გუნდში ბოლოს ხორვატიასთან ითამაშა

## გოგიტა გოგუა:

# ნაკრებში ისევ ვითამაშებ

### ფეხბურთელის თქმით, მასსა და თემურ ქეცბაიას შორის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მომხდარა

გოგიტა გოგუასა და თემურ ქეცბაიას შორის გაუგებრობა მარტში, ხორვატიასთან მოგებული მატჩის შემდეგ მოხდა, რის შემდეგაც ნაკრების თავკაცმა შეკრებიდან დაითხოვა 27 წლის ფეხბურთელი და გუნდი ისრაელში მის გარეშე გაემგზავრა. რეალურ მიზეზებზე არც მწვრთნელსა და არც ფეხბურთელს არაფერი უთქვამთ. ამოიწურა თუ არა კონფლიქტი და როდის დაუბრუნდება ნაკრებს გოგუა?

გთავაზობთ ინტერვიუს გოგიტა გოგუასთან.

**- შენსა და თემურ ქეცბაიას შორის მომხდარ კონფლიქტზე კომენტარის გაკეთება არც ერთმა ისურვეთ. არადა, გულშემატკივარს სურს, იცოდეს, რა მოხდა სინამდვილეში. ქეცბაიას თქმით, შენ ყველა მწვრთნელთან გქონდა კონფლიქტი...**

- მე თუ ვინმესთან მქონია კონფლიქტი, ყველასთან მომიგვარებია და არც ერთი ყოფილა უმიზეზო. რაც შეეხება იმას, რომ ყველა მწვრთნელთან უთანხმოება მქონდა, ეს, უბრალოდ, აბსურდია.

**- მაინც რა მოხდა შენსა და ქეცბაიას შორის?**

- მე ერთს ვიტყვი - საქართველოს ნაკრებისთვის თავს არ დავზოგავ! ქართველი გულშემატკივრების გვერდში დგომას ვგრძნობ და მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო.

**- სწორედ გულშემატკივარს სურდა, რომ თქვენ ურთიერთობა მოგეგვარებინათ, რადგან საქართველოს ნაკრებს გოგუასნაირი ფეხბურთელები დასაკარგი არ ჰყავს. იმ ინციდენტის შემდეგ გქონდა ქეცბაიასთან კონტაქტი?**

- ყველაფრის მოგვარება შეიძლება და მეც, ალბათ, მალე ვითამაშებ საქართველოს ნაკრებში...

**- ეს სიურპრიზია, ანუ ისაუბრეთ შენ და ქეცბაიამ?**

- მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ერთს ვიტყვი, მე საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მუდამ მზად ვარ!

**- მოვლენების გასწრება არც მიფიქრია, უბრალოდ, შენმა პასუხმა მაფიქრებინა, რომ ისაუბრეთ. კულუარებში ლაპარაკობდნენ, რომ შენ ერთი კონკრეტული ვარჯიშის შესრულებაზე უარი განაცხადე, რასაც ერთმანეთის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა.**

- არანაირი სიტყვიერი შეურაცხყოფა არ ყოფილა. ხომ გითხარით, ყველაფრის მოგვარება შეიძლება და მოგვარდება კიდეც. არა მგონია, ჩემზე მეტად უნდოდეს ვინმეს ნაკრებში თამაში.

**- „ვოლგაზეც" გკითხავ. გუნდის სატრანსფერო ფასებს გადავხედე და სამი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელიდან ორი ქართველია - შენ და ლაშა სალუქვაძე, არადა, ორივე გუნდიდან ისე მოგკვეთეს, მიზეზებზე ღიად არაფერი თქმულა. თანაც, რუსულ პრესაში არაერთხელ დაიწერა გარიგებულ თამაშებში „ვოლგას" მონაწილეობაზე.**

- მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ მეორე გუნდში მეთამაშა. ასე რომ, ეს კითხვა მას ეკუთვნის. მალე გადაწყდება, დავრჩები თუ არა „ვოლგაში". ჩაყნობილი თამაშებზე კი რა გითხრათ, სისულელე მგონია.

**- თბილისის „დინამოში" ხომ არ გიხილავთ?**

- მოვლენებს წურც ამ შემთხვევაში გავუსწრებთ, ამასაც მომავალი გვიჩვენებს.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ძმებმა გვასახელეს

### 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის თასის ეტაპი

11



# გეგუჩაძის ტრიუმფი ზესტაფონში

30.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 4 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| ტორპედო | 1 |

0:1 დილმელაშვილი (66)

| ზესტაფონი 4-4-2 | ტორპედო 4-4-1-1 |
|---|---|
| მამალაძე | მიგინეიშვილი |
| ალადაშვილი | დ. ფოფხაძე |
| ონიანი | ს. თოდუა |
| საჯაია | გამეზარდაშვილი |
| ელიავა | გურული |
| აფციაური | დოლიძე |
| გორგიაშვილი | დილმელაშვილი |
| ძარია | გ. დათუნაიშვილი |
| შ. გრიგალაშვილი | თარხნიშვილი |
| დვალი | დ. ბოლქვაძე |
| გელაშვილი | რ. გოცირიძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. ჭიაბრიშვილი | გ. გეგუჩაძე |

**ზესტაფონი**

67. გორგიაშვილი - **ბენაშვილი**
77. დვალი - **წინამძღვრიშვილი**
77. აფციაური - **ბაბუნაშვილი**

*სათადარიგოები: მეშველიანი, თ. ლონლაძე, კობახიძე, ფიფია*

**ტორპედო**

62. ბოლქვაძე - **იოსელიანი**
64. გოცირიძე - **მეგრელაძე**
77. დოლიძე - **საბანაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ჩიკვილაძე, კუხიანიძე*

გაფრთხილება: **გ. დათუნაიშვილი (19), საჯაია (81), გელაშვილი (83)**
არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

იმერულ დერბის ინტრიგა არასდროს ჰკლებია, მაგრამ, მიზეზთა გამო, გუშინდელი მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ჯერ ერთი, ერთმანეთს სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი გუნდები ხვდებოდნენ; მეორე და არანაკლებ დამაინტრიგებელი ფაქტორი კი მწვრთნელთა ამბავი იყო. მოგეხსენებათ, „ტორპედოს" დამრიგებელი **გია გეგუჩაძე** წლების განმავლობაში ედგა სათავეში „ზესტაფონს" და გასულ სეზონში ზემოიმერული გუნდი ჩემპიონიც გახადა. მას ყოფილი კლუბისა და თანაშემწის **გია ჭიაბრიშვილის** წინააღმდეგ პირველად უწევდა დაპირისპირება და ეს დუელი ადგილობრივ გულშემატკივრებშიც ძალიან დიდ ინტერესს აღძრავდა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მწვრთნელთა დუელში გამარჯვებული გაცილებით გამოცდილი გეგუჩაძე დარჩა, რომელმაც „ტორპედოს" ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა და ცხრილის შუა ნაწილიდან მეორე პოზიციამდე დააწინაურა. თანაც, ქუთათურებმა ამ მატჩის შემდეგ ლიდერ „ზესტაფონთან" ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირეს.

ტურის ცენტრალურ შეხვედრას ზესტაფონი საკადრისი საფეხბურთო ატმოსფეროთი დაუხვდა. თამაშს დარიც დაერთო და, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ტელევიზიით გადაიცემოდა, „დავით აბაშიძეზე" 4000-ზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ადგილობრივი გულშემატკივრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გეგუჩაძეს „ზესტაფონში" ნალვაწი არ დაუვიწყეს და მატჩის წინ გულთბილად დაუხვდნენ.

შეხვედრამ ავანსები სრულად გაამართლა. მაყურებელმა ძალზე დაძაბული და საინტერესო თამაში იხილა. ბურთის ფლობაში მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ „ტორპედომ" კონტრშეტევებზე ააწყო თამაში და შანსიც უკეთ გამოიყენა.

საწყისი წუთები „ტორპედოს" აქტიურობით წარიმართა. პირველი რეალური მომენტიც სტუმრებმა შექმნეს, **თარხნიშვილის** ფლანგური გადაცემის შემდეგ **დავით ბოლქვაძემ** მეორე ცდაზე მცველების გარემოცვაში რთული პოზიციიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ **მამალაძემ** შეძლო მდგომარეობის განმუხტვა. მომდევნო შეტევისას კი **გურულის** ფლანგურ ჩაწოდებას **გოცირიძე** თავური დარტყმით გამოეხმაურა და ამჯერადაც მამალაძემ იყოჩაღა. ამის შემდეგ უპირატესობა ფეროელთა ხელში გადავიდა და გია ჭიაბრიშვილის გუნდმა მეტოქე ტაიმის ბოლომდე დაძაბულობაში ამყოფა. ყველაზე დიდ პრობლემებს სტუმრებს **გრიგალაშვილი** და **დვალი** უქმნიდნენ. კარგად ირჯებოდა **თორნიკე აფციაურიც**, რომელმაც მე-16 წუთზე მცველის მოტყუების შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან ყუმბარისებურად გაისროლა და ბურთი ხარიხას ოდნავ გადააცილა. შემდეგ ისევ გრიგალაშვილი მოექცა ყურადღების ცენტრში, **ალადაშვილის** ბრწყინვალე, 50-მეტრიანი გადაცემის შემდეგ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ფოფხაძეს** გასცდა და კარისკენ უხერხული ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი, თუმცა **ომარ მიგინეიშვილმა** აკრობატული ნახტომით მოიგერია ბურთი. გრიგალაშვილმა იქვე მეორედაც მოჭრილი დარტყმით შეაწუხა მეკარე, მაგრამ ქუთაისელთა კიპერი ისევ მოწოდების სიმაღლეზე იყო. ზესტაფონელები მეტოქეზე დაწოლას განაგრძობდნენ, ქუთათურებმა კი კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. მასპინძლები ორჯერ იყვნენ ახლოს გატანასთან, ჯერ **ონიანის** სახიფათო საჯარიმოს დვალი ვერ გამოეხმაურა, **გორგიაშვილის** დარტყმის შემდეგ კი ტორპედოელები ძელმა იხსნა. 35-ე წუთზე საკამათო ეპიზოდი იყო, დვალი **თოდუასთან** ორთაბრძოლისას მეტოქის საჯარიმოში დაეცა და მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ **გვანცელაძემ** წესების დარღვევა არ დააფიქსირა. „ტორპედომ" მეტოქის შეტევებს გაუძლო და კარი მშრალად შეინახა. შესვენების შემდეგ კი შეხვედრა სტუმართა სახიფათო იერიშით განახლდა, თარხნიშვილის აქტიურობის შემდეგ **დოლიძემ** საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესად დაარტყა და **მამალაძეს** ბურთის მოსაგერიებლად მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება დასჭირდა. მასპინძლებმა უმალვე შტურმით უპასუხეს, გრიგალაშვილს და გორგიაშვილს შეეძლოთ გატანა, პირველ შემთხვევაში ბურთი მიზანს ასცდა, მეორე ეპიზოდისას კი ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა მიგინეიშვილმა იყოჩაღა და მდგომარეობა განმუხტა. ზესტაფონელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. მოედანზე რამდენიმე წუთის გამოსულმა **გივი იოსელიანმა** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო შეასრულა, მამალაძე გამოსვლისას შეცდა და საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვებულმა **დილმელაშვილმა** დაუცველი კარი დალაშქრა — 0:1. ზესტაფონელები ბევრს ეცადნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ „ტორპედოს" დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. ფეროელებს ორჯერ საჯარიმოთი მიეცათ გატანის შანსი, **გელაშვილის** უძლიერესი დარტყმისას ქუთაისელთა კიპერმა საოცარი რეაქცია გამოავლინა, გრიგალაშვილის საჯარიმო კი სულ მცირედით ასცდა კარს. ქუთათურებს უფრო სოლიდური სხვაობით გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ **საბანაძის** პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა იოსელიანმა შანსი ვერ გამოიყენა. მალე მატჩიც დასრულდა და ტრიბუნებზე მრავლად მყოფმა ქუთაისელმა გულშემატკივრებმა სტადიონი „გეგუჩაძე", „გეგუჩაძის" სკანდირებით დატოვეს.

### მატჩის შემდეგ

**გია გეგუჩაძე:** *„მადლობა მინდა გადავუხადო ზესტაფონელ გულშემატკივრებს გულთბილი დახვედრისთვის. საინტერესო და დაძაბული თამაში იყო, „ზესტაფონს" ბურთის ფლობის მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენ კონტრშეტევებისა და თავდადებული თამაშის ხარჯზე გავიმარჯვეთ. მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ და ამ მხრივ ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო"*

**გიორგი ჭიაბრიშვილი:** *„ვიცოდით, რომ რთული მეტოქე გვყავდა და მძიმე მატჩი გველოდა. თანაბარი თამაში იყო. გოლის გატანის შანსები გვქონდა და, მეტოქისგან განსხვავებით, ვერ გამოვიყენეთ. ვეცდებით, დაშვებული შეცდომები გავაანალიზოთ და მომავალ მატჩებში უკეთ ვითამაშოთ. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა დვალის წაქცევის მომენტში თერთმეტმეტრიანი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ თამაშის მოგება გინდა, უნდა გაიტანო და ერთ დანიშნულ თუ არდანიშნულ თერთმეტმეტრიანს მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო... რადგან მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, ალბათ, არც იყო."*

**დავით პოხრეიძე**
ზესტაფონიდან



იმერულ დერბიში ერთადერთი გოლი დავით დილმელაშვილმა (№18) გაიტანა

არჩილ გეგენავას ფოტო




ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ისევ ესპანურები

## ალვაროს გოლმა ჩემპიონატი გაალამაზა

30.10. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| სპარტაკი | 0 |

1:0 კოტო (11), 2:0 ალვარო (85)

| დინამო 4-3-3 | სპარტაკი 4-2-2 |
|---|---|
| ლორია | ძაგანია |
| შ. კაშია | თიბილაშვილი |
| ჰომოლა | ტეტუნაშვილი |
| რეხვიაშვილი | დ. ლომაია |
| ოდიკაძე | ხუბუა |
| კვეკვესკირი | შალამბერიძე |
| ალვარო | თ. შონია |
| კოშკაძე | ვ. კილასონია |
| კოტო | შარაშენიძე |
| კახელიშვილი | რ. ჯიქია |
| ჩისკო | მეტრეველი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. გარსია | ვ. ხაჩიძე |

**დინამო**

74. კახელიშვილი – **ლექვთაძე**
81. ჩისკო – **ჯილაური**
87. კოტო – **იაგუე**

*სათადარიგოები: ზარქუა, ხოჭოლავა, თექთურმანიძე, რობერტინიო*

**სპარტაკი**

46. შარაშენიძე – **მამუჩიშვილი**
60. კილასონია – **რუხაძე**
84. ჯიქია – **თუხარელი**

*სათადარიგოები: ნ. დაუშვილი, ბოიომო, სეფიაშვილი, ლობჟანიძე*

გაფრთხილება: **ვ. კილასონია (18)**
არბიტრი: **ლ. სილაგავა**

წინა ტურში "გაგრას" განადგურებით "დინამომ" ორმატჩიანი დამარცხებათა სერია შეწყვიტა, დედაქალაქელთა გუშინდელი გამარჯვების პარალელურად კი, მათმა ორმა კონკურენტმა მარცხი იწვნია და **ალექს გარსიას** გუნდმაც სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

"სპარტაკს" ურიგოდ სულაც არ უთამაშია და მატჩის გადარჩენის შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა, მაგრამ "დინამომ" მაინც უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

"დინამოს" დაცვის ხაზი გუშინ უჩვეულოდ გამოიყურობდა – **ლევან კაკუბავასა** და **გულვერდ თომაშვილის** ტრავმების გამო დაცვის ცენტრი **ირჟი ჰომოლამ** და **გიორგი რეხვიაშვილმა** დაიკავეს, მარჯვენა ფლანგზე **შოთა კაშია** გაამწესეს, მარჯვენაფლანგელმა **დავით ოდიკაძემ** კი მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა.

პირველ ტაიმში გამოკვეთილილი უპირატესობა არც ერთს ჰქონია, მაგრამ "დინამომ" მთავარი ამოცანის შესრულება, სწრაფი გოლის გატანა მაინც შეძლო – "სპარტაკის" მცველებმა საჯარიმოდან ბურთი კარგად ვერ გამოიტანეს და **კარლეს კოტომ** ერთი შეხებით ცხრიანში ეფექტურად გაიტანა.

**ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ბედს არ შეურიგდა, თუმცა შესვენებაზე მეტოქეს ბევრი ვერაფერი დააკლო. **რევაზ ჯიქიას** ორ არცთუ სახიფათო დარტყმას რეალურ მომენტს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. სამაგიეროდ, "დინამოს" შეეძლო უპირატესობის განმტკიცება. ტაიმის მიწურულს **გიორგი კახელიშვილმა** ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმას **ალექსანდრე კოშკაძისკენ** პასი ამჯობინა და "დინამოს" კაპიტანს დარტყმა არ გამოუვიდა.

მეორე ტაიმი პირველზე უკეთესი სანახავი გამოდგა და **გიორგი ლორიას** საქმე გაუჩნდა. მან ჯერ მასთან პირისპირ გასულ **გელა ხუბუას** აჯობა, შემდეგ კი "სპარტაკის" კაპიტანი **თეიმურაზ შონია** უფრო ახლოს იყო გოლთან, მაგრამ "დინამო" საკუთარი კიპერის რეაქციამ იხსნა.

82-ე წუთზე კი "დინამოს" დაცვის შეცდომის წყალობით ჯიქია მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ სუსტად დაარტყა და ლორია ბურთს იოლად დაეუფლა.

უქმად არც მასპინძლები ყოფილან. საგოლე მომენტები ხელიდან გაუშვეს კოშკაძემ, კოტომ, კახელიშვილმა და **მიკელ ალვარომ**. თუმცა ეს მატჩი აშკარად არ იყო 1:0-ის შესაფერისი და საკუთარი გუნდის უპირატესობა ანგარიშში ალვარომ ასახა, თანაც როგორ: მოედნის ცენტრალურ წრეს რამდენიმე მეტრით გაცდენილმა "სპარტაკის" კარში ძლიერად და, რაც მთავარია, ზუსტად დაარტყა – 2:0. ეს გოლი მხოლოდ ტურის კი არა, ჩემპიონატის მშვენებაა!

დარჩენილ წუთებში საინტერესო აღარაფერი მომხდარა და გუშინ დაფიქსირებული რამდენიმე მოულოდნელი ანგარიშის შემდეგ ტურის ბოლო მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### I ლიგა. ა ზონა XI ტური

**29 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| ჭიათურა-ბათუმი | 1:1 |
| კოლხეთი (ხ)-მეშახტე | 0:0 |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 1:0 |
| სამტრედია-მერცხალი | 0:1 |

**30 ოქტომბერი**

| | |
|---|---|
| სტუ-ჩხერიმელა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 11 | 8 | 2 | 1 | 16-6 | 26 |
| 2. მერცხალი | 11 | 7 | 2 | 2 | 17-11 | 23 |
| 3. ჭიათურა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-9 | 21 |
| 4. სტუ | 10 | 5 | 2 | 3 | 20-18 | 17 |
| 5. ჩხერიმელა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-14 | 17 |
| 6. მესხეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-11 | 13 |
| 7. მეშახტე | 11 | 2 | 3 | 6 | 11-15 | 9 |
| 8. ლოკომოტივი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 11 | 2 | 3 | 6 | 8-13 | 9 |
| 10. სამტრედია | 10 | 0 | 3 | 7 | 5-17 | 3 |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მახარაძის მოსვლა და რუსთაველთა შფოთვა

## კოლხეთი ლანჩხუთში: ვუგებთ ქვემოქართლელებს!

30.10. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 3 |
| მეტალურგი | 1 |

1:0 გვალია (2. ციცხვაიას პასით), 2:0 ცხვიტარია (48. ქებაძის პასით), 3:0 ციცხვაია (72), 3:1 მოდებაძე (75)

| კოლხეთი | მეტალურგი |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-2-3-1 |
| ნადირაშვილი | ბედიაშვილი |
| ცხვიტარია | სეთურიძე |
| ლომაშვილი | კვახაძე |
| ინწკირველი | კვარაცხელია |
| ლემონჯავა | ჯაფარიძე |
| შავგულიძე | რაზმაძე |
| გულუა | ქავთარაძე |
| გვალია | ი. მაისურაძე |
| ქებაძე | მიქაბერიძე |
| მდივნიშვილი | მოდებაძე |
| ციცხვაია | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. მახარაძე | კ. ყორღიკაშვილი |

**კოლხეთი**

65. მდივნიშვილი - **პ.დათუნაიშვილი**
74. ციცხვაია - **ნიქარიშვილი**
77. შავგულიძე - **თედიაშვილი**
*სათადარიგოები: ხარშილაძე, კილასონია, გელაჭეიშვილი, მეგრელიშვილი*

**მეტალურგი**

46. მაისურაძე - **პავლიაშვილი**
65. მიქაბერიძე - **გავაშელიშვილი**
80. ქავთარაძე - **დობროვოლსკი**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, წენგუაშვილი, ჩადუნელი, მახვილაძე*

გაფრთხილება: ინწკირველი (42), რაზმაძე (63)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

შეხვედრა სიურპრიზით დაიწყო, მოულოდნელობით გაგრძელდა და ამითვე დასრულდა. მთავარი გამოსარჩევი ამბავი, ალბათ, მაინც **სოსო ფილიას** არყოფნა იყო — გამოცდილმა სპეციალისტმა გუნდი წინა საღამოს დატოვა. მისი მოვალეობა **დავით მახარაძემ** შეასრულა და მეტად წარმატებულადაც! თან ეს მან ბოლო ერთ წელიწადში მეორედ მოახერხა — შარშან, ზუსტად ამ დროს, „კოლხეთიდან" **ბესიკ შეროზიას** წასვლის შემდეგ ფილიას მოსვლამდე მახარაძემ გუნდს ზესტაფონში ქულა მოაპოვებინა!

რა თქმა უნდა, მატჩის უპირობო ფავორიტად სტუმრები მიიჩნეოდნენ — გუნდმა, ბოლოს და ბოლოს, „დინამოს" „ეროვნულზე" მოუგო, ხოლო კოლხებმა აქამდე ლანჩხუთის „საშინაო კედლებში" მხოლოდ რუსთაველთა თანაკუთხელი ბოლნისელები დაამარცხეს. თუმცა „მეტალურგისთვის" ფოთელებთან გასვლაზე თამაში წლეულსაც თავის ტკივილად იქცა — გეხსომებათ, წინა სეზონში „ოლიმპის" სახელით მოასპარეზე რუსთაველებს კოლხებმა 5:1 მოუგეს და სატურნირო ოლიმპიდან ჩამოსვეს.

მატჩის საწყისმა წუთებმა ინტრიგა დაბადა — „მასპინძლებმა" პირველივე შეტევა გოლად მე-2 წუთზევე აქციეს: საჯარიმოში სტუმარი მცველები ბავშვურად შეცდნენ, **დავით ციცხვაიამ** კი **ლაშა გვალიას** საგოლედ დაუგდო ბურთი — კოლხმა მეკარეს შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა — 1:0.

ამის შემდეგ „კოლხეთმა", მართალია, აქცენტი დაცვაზე გააკეთა, თუმცა არც იმდენად, რომ მეტოქეს მისთვის სერიოზული პრობლემები შეექმნა. ფოთელები არც შეტევაზე ამბობდნენ უარს და თუ ამით დიდი არაფერი გამოსდიოდათ, იმას მაინც ახერხებდნენ, რომ მეტოქეს მხოლოდ შეტევაზე არ ეფიქრა. მიუხედავად იმისა, რომ „მეტალურგი" თავის თამაშს ვერ თამაშობდა, დავით მახარაძის ამ სვლამაც (წინა მატჩებისგან განსხვავებით, ასევე მობურთალებისთვის პოზიციის შეცვლამ) აშკარად გაამართლა — ქვემოქართლელებმა პირველ ნახევარში მხოლოდ ორიოდე ხიფათი შექმნეს, ისიც ტაიმის შუაწელში — ჯერ ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს **ალექსანდრე კვახაძე** ამატებდა ძლიერად, ხოლო შემდეგ **ირაკლი მოდებაძემ** ფლანგზე გაილალა და სახიფათოდაც გაისროლა, მაგრამ ბურთი ორჯერვე ასცდა **ლადო ნადირაშვილის** კარს. აქვე გეტყვით, რომ კოლხთა მეკარე **მინდია ბობლიაშვილი**, ვინც წინა ტურები ჩაატარა („სიონთან" 2:1 და „ტორპედოსთან" 1:4), გუშინდელ შეხვედრაში ფოთელებს განცხადშიც კი არ ჰყავდათ შეყვანილი.

„კოლხეთს" თითქოს მეორე ნახევარში უნდა გასჭირვებოდა, სტუმრებმა თამაში აქტიურად განაახლეს, თუმცა დასაწყისშივე **ლაშა ქებაძის** მოწოდებულ კუთხურს თავი **პაატა ცხვიტარიამ** საგოლედ დაუხვედრა — 2:0.

ამით თითქოს მატჩის ინტრიგა მოკვდა — რუსთაველები დაიბნენ და სანამ ისინი გონს მოეგებოდნენ და ბოლნისური მატჩის მსგავსად (0:2-დან 2:2) თამაშის შემოტრიალებაზე იფიქრებდნენ, მატჩის უდავოდ გამორჩეულმა მობურთალმა, დავით ციცხვაიამ მეკარის მოგერიებულ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი — 3:0.

რამდენიმე წუთში კი იგივე უკვე **დიმიტრი ტატანაშვილმა** ვერ მოახერხა — ნადირაშვილმა ბურთი უხეიროდ მოიგერია და ფორვარდმა ხუთიოდე მეტრიდან ვერ მოახერხა გატანა. ანგარიშის „დასველება" მისმა გუნდმა მაინც შეძლო — მოდებაძემ „კოლხეთის" დაცვა გააცურა და პრესტიჟის გოლი გაიტანა, 1:3.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან


დავით მახარაძე


სოსო ფილია

# კოლხური სა(მ)კითხავი: სანაია, გაბელია თუ მახარაძე?

## სოსო კოლხყოფილია: ღამით მოხსნილი კონსულტანტად რჩება?

შაბათ საღამოს **სოსო ფილიამ** ფოთის „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. ამის საფუძველი, სავარაუდოდ, ქუთაისში დიდი ანგარიშით წაგება გახდა, თუმცა არ არის გამორიცხული, მიზეზი სხვაც იყოს. ბოლო დროს კულუარებში სულ უფრო ხშირად ისმოდა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელით უკმაყოფილო იყო. ფილიამ გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილება „მეტალურგთან" მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღო. ამიტომაც ასრულებდა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას **დავით მახარაძე** გუშინდელ შეხვედრაში. *„ჯერჯერობით გადაწყვეტით ვერ გეტყვით, სოსო ფილია გუნდიდან წავიდა თუ არა. ის, სავარაუდოდ, კონსულტანტის თანამდებობაზე დარჩება. რაც შეეხება მის შემცვლელს, ჯერ ვერაფერს გეტყვით, ერთ-ორ დღეში დალაგდება სიტუაცია და ყველაფერი გვეცოდინება"* — გვითხრა „კოლხეთის" ერთ-ერთმა მესვეურმა.

„ლელოს" ინფორმაციით, სოსო ფილიას შემცვლელად ორ კანდიდატურაზე იყო ლაპარაკი — ახალგაზრდული ნაკრების ექსთავკაც **ოთარ გაბელიასა** და ხობის „კოლხეთის" მთავარ მწვრთნელ **გელა სანაიაზე**. იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი გუშინ „ევგრაფი შევარდნაძეზე" შეხვედრას დაესწრო, სანაიას შანსები გაცილებით მაღალია. ასევე არ გამოირიცხება დავით მახარაძის კანდიდატურაც — მას კვირას მშვენიერი დებიუტი (ამ სეზონში) გამოუვიდა და ამასთან, სანაია-გაბელიასგან განსხვავებით, „კოლხეთის" სამწვრთნელო შტაბში ირიცხება და დამატებითი შეთანხმება-ხელშეკრულების საჭიროება არ არის.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

30.10. ბოლნისი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 2 |
| ბაია | 0 |

1:0 კემუხტაშვილი (20), 2:0 ქუცურუა (35, პენალტით)

| სიონი | ბაია |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-2-3-1 |
| ლობჟანიძე | მაქაცარია |
| მ. ოქროპირიძე | რიგვავა |
| სვანიძე | აფაქიძე |
| თარგამაძე | პაჭკორია |
| ალავიძე | აკობია |
| გაბრიჭიძე | ტყემალაძე |
| ისიანი | სიხარულია |
| ვ. ბოლქვაძე | შ. ლომია |
| ქუცურუა | გუგუჩია |
| კემუხტაშვილი | წურწუმია |
| რეხვიაშვილი | კუკავა |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. ბაჯელიძე | ე. ქომეთიანი |

**სიონი**

46. რეხვიაშვილი - **უგულავა**
69. კემუხტაშვილი - **კობერიძე**
87. ალავიძე - **ა. ნოზაძე**
*სათადარიგოები: ზუხბაია, ხურციძე, გიორბელიძე, ადამაშვილი*

**ბაია**

46. პაჭკორია - **გამრეკლიძე**
58. გუგუჩია - **თ. ჯიშკარიანი**
72. წურწუმია - **სამუშია**
*სათადარიგოები: ჯომიდავა, ვეკუა, ეხვაია, ნ. შონია*

გაფრთხილება: პაჭკორია (34), ტყემალაძე (50), სიხარულია (64)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# ნანატრი გამარჯვება... გაგრძელებით!

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო: ბოლნისის „სიონმა" სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა! შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტის **ლევან ბაჯელიძის** დამოძღვრილი გუნდი წინა ტურშიც ძალიან ახლოს იყო მოგებასთან, მაგრამ აშკარად არამშვიდობიან ქვემოქართლურ „დერბიში" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. შეგახსენებთ, რომ ოთხი დღის წინ „მეტალურგთან" ჩატარებულ მატჩში „სიონმა" პირველი ტაიმი 2:0 მოიგო და გოლები **ლაშა ქემუხტაშვილმა** და **გიორგი ქუცურუამ** გაიტანეს. ასეთივე სცენარით წარიმართა გუშინდელი მატჩიც: კვლავაც პირველ ტაიმში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა და კვლავაც გოლის იგივე ავტორები! თუმცა „მეტალურგთან" შეხვედრისგან განსხვავებით, ბოლნისელებმა გუშინ ამ უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს და როგორც უკვე ალვნიშნეთ, სეზონში პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს. ისე, მეორე ტაიმში, სტუმრები, ფაქტობრივად, ინერციით თუ ცდილობდნენ თამაშში ვითომ გარდატეხის შეტანას. ისედაც არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე „ბაიამ" ერთი მეტნაკლებად სახიფათო მომენტიც ვერ შექმნა მასპინძელთა კართან. სამაგიეროდ, მასპინძლებმა რამდენჯერმე მოინდომეს უპირატესობის გაზრდა, მაგრამ **ჯაბა უგულავას, დავით სვანიძისა** და **გიორგი ქუცურუას** დარტყმები მცირეოდენ არაზუსტი იყო. საერთოდაც, გუშინდელი შეხვედრის მეორე ნახევარი ერთობ ულიმლამო გამოდგა, თუმცა ამით სულაც არ გვინდა მასპინძელთა წარმატების დაკნინება: მეტოქესთან შედარებით ბევრად უფრო მონდომებულმა და მოტივირებულმა „სიონმა" ეს სამი ქულა ნამდვილად დაიმსახურა. მით უფრო, რომ „მეტალურგთან" უმძიმესი მატჩის მერე ამ გუნდის ფეხბურთელებმა ძალების აღდგენაც მოახერხეს და მართლაც თვალსასეირო პირველ ტაიმში მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. ჰო, შეხვედრის პირველი ნახევარი მართლაც „ხალისიანი" გამოდგა: საწყის 15 წუთში ორივე კართან მომენტი-მომენტს ცვლიდა! პირველი ხიფათი „ბაიამ" შექმნა, როცა სტუმართა ცენტრფორვარდი **ლაშა კუკავა** უალრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მასპინძლები **ვახტანგ ლობჟანიძემ** გადაარჩინა, რასაც საპასუხო იერიში მოჰყვა, როცა დავით სვანიძის თავური დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. სულ მალე **გიორგი რეხვიაშვილს** შეეძლო ეფექტური სოლორეიდის გოლით დასრულება, მაგრამ ზედმეტი მოინდომა; ამას სტუმართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის, **ლუკა გუგუჩიას** ორი დარტყმა მოჰყვა საშუალო მანძილიდან, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, „სიონის" ახალგაზრდა ფორვარდი ლაშა კემუხტაშვილი ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში და საშუალო მანძილიდან ბურთი ზუსტად გადაგზავნა ორიენტაციადაკარგული **არჩილ მაქაცარიას** კარში — 1:0! გოლის მერე მასპინძლებს ტემპი არ დაუგდიათ და ლოგიკურიც იყო, პირველ ტაიმში კიდევ ერთხელ რომ იხეირეს: კემუხტაშვილი-რეხვიაშვილის კომბინაციას **ვალერი ბოლქვაძე** აგრძელებდა, მაგრამ მასპინძელთა გამთამაშებლის დარტყმული ბურთი სტუმართა მცველს ხელზე მოხვდა და გიორგი ქუცურუასაც პენალტის ზუსტად შესრულება არ გასჭირვებია. ტაიმის ბოლომდე სტუმრები მაინც ცდილობდნენ კომბინაციური ფეხბურთის ჩვენებას, ბურთსაც კარგად „აგორებდნენ" და ერთი ხელსაყრელი მომენტიც შეექმნათ, მაგრამ სარგებელი ვერ ნახეს. ამის მერე კი ზემოთნახსენები მეორე ტაიმი იყო, თანაც სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ორი წამყვანი შემტევიც (ლუკა გუგუჩია, **ლევან წურწუმია**) შეცვალა და „სიონმაც" აულელვებლად მიიყვანა საქმე პირველ გამარჯვებამდე.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. სამ დღეში ეს გუნდები კვლავაც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს: „სიონმა" თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „ბაიას" უნდა უმასპინძლოს.*

30.10. გორი. ქართლი. მაყურებელი

| | |
|---|---|
| დილა | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1 ზაქრაძე (24), 1:1. ახალკაცი (82. დ. ჩაგელიშვილის პასით)

| დილა | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-2-3-1 |
| შეყრილაძე | ძაძამია |
| ლომიძე | ხურცილავა |
| ბაქრაძე | ადამაძე |
| ქარქუზაშვილი | გოგიაშვილი |
| გველესიანი | ღანიაშვილი |
| ჯოჯუა | ვასაძე |
| სადღაშვილი | გურ. გურეშიძე |
| ნ. ნოზაძე | კორიფაძე |
| ახალკაცი | ჯანელიძე |
| დ. ჩაგელიშვილი | ზაქრაძე |
| გოგინაშვილი | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. სოლოლაშვილი | ზ. ბერიძე |

**დილა**

55. ნოზაძე — **ნემსაძე**
72. გოგინაშვილი — **ბერაია**
*სათადარიგოები: მერლანი, ჭითანავა, მაჭავარიანი, ცარიელაშვილი, გ. თოდუა*

**ვიტ ჯორჯია**

70. ზაქრაძე — **მაისაშვილი**
88. ჯანელიძე — **ოთარიშვილი**
*სათადარიგოები: სვანაძე, ხუმარაშვილი, სიხარულიძე, ჯულელი, გიორ. გურეშიძე*

გაფრთხილება: ჯოჯუა (38), ძაძამია (53), ბაქრაძე (65), ღანიაშვილი (70), ქარქუზაშვილი (77)
არბიტრი: ო. ხეცაძე

# შუმახერმა ძლივს დაქოქა

ოთხმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ „დილას" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ სოლოლაშვილმა**, რომელსაც გორში „შუმახერად" იცნობენ, სადებიუტო მატჩშივე, მართალია, ძლივს, მაგრამ მაინც მოახერხა მშობლიური გუნდის დაქოქვა. გორელებმა გამარჯვების გემო ვერც ამჯერად გაიხსენეს, თუმცა, მატჩის შემდეგ გულშემატკივართა რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობთ, აქაურები ამ ეტაპზე ფრითაც არ დარჩნენ უკმაყოფილო. მით უფრო, რომ „ვიტ ჯორჯია" „დილასთან" შეხვედრებში საკმაოდ დიდ უპირატესობას ფლობს — 22 მოგება ორი მარცხის წინააღმდეგ.

გორელებს დანაკლისი შემადგენლობაშიც დიდი ჰქონდათ. მოედანზე არ იყვნენ ტყუპი **ხორგუაშვილები** და **დავით რაჟამაშვილი**. ვიტელებმა ლამის მეორე წუთზევე შეძლეს დაწინაურება, აუტიდან მოწოდებულ ბურთი **ბესიკ ჩიმაკაძემ** თავით გაგზავნა კარისკენ, თუმცა გორელები ძელმა იხსნა. დასაწყისიდანვე გაჩაღებულ ფიცხელ თამაშში ამ საგოლე ეპიზოდს მალე მეორეც მოჰყვა, ამჯერადაც სტუმართა შესრულებით და ამჯერად **ბექა ზაქრაძემ** ვერ ივარგა შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში. შემდეგ კი **რომან ახალკაცმა** მეურვეს გადაუგდო ბურთი თავზე და **ნოდარ ნოზაძე** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელმაც ამგვარადვე, ოღონდ ამაოდ სცადა მეკარის გაბითურება. ახალკაცი და ნოზაძე **ვლადიმერ ჯოჯუასთან** ერთად ამ მატჩში მასპინძელთაგან გამორჩეულები იყვნენ. საერთოდაც, „დილას" შუა ხაზმა მოწინააღმდეგისაზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. მათი შეტევებიც სწორედ ამ ფეხბურთელთა მეშვეობით ძირითადად ცენტრიდან ხორციელდებოდა. „ვიტ ჯორჯია" კი ფლანგებზე აქტიურობდა, განსაკუთრებით ზაქრაძის მოქმედება გვინდა ალვნიშნოთ, რომელმაც ტაიმის შუაში თავისი გარჯა გოლად გარდასახა - 0:1. დაწინაურების შემდეგ სტუმრებმა უფრო დინჯად განაგრძეს თამაში, „დილამ" კი გაცილებით ენერგიულად შეუტია. მონდომების მიუხედავად, გორელები შესვენებამდე ბურთის ფლობაში მოპოვებული უპირატესობის გარდა სხვას ვერაფერს გამორჩნენ. თუ არ ჩავთვლით მე-40 წუთზე საჯარიმოს სიღრმეში **დავით ჩაგელიშვილის** შეღწევას და ახლო მანძილიდან სახიფათოდ დარტყმას, „დილას" ფეხბურთელებს უმეტესად თბილისელთა საჯარიმოს ირგვლივ ბურთით ტრიალსა და მეტოქის კარისკენ მისასვლელი გზების ძებნაში გაეპარათ ტაიმი.

» მე-4 გვერდზე

## საქართველოს ჩემპიონატი

# მერანი ისევ ყალყზეა

30.10. მარტვილი. ცენტრალური. 1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| გაგრა | 0 |

1:0 ე. გრიგალაშვილი (67. ჩალაძის პასით)

| მერანი 4-4-2 | გაგრა 4-4-1-1 |
|---|---|
| შეროზია | სეფიაშვილი |
| კაკუბაძე | ყურულაშვილი |
| ჟვანია | კალანდაძე |
| იოგაშვილი | ტყეშელაშვილი |
| სუხიაშვილი | ნ. ჯიშკარიანი |
| დიდავა | ხუციძე |
| ე. გრიგალაშვილი | ზ. ჩხეტიანი |
| მანწკავა | ნაკონეჩნი |
| ჩალაძე | შარიქაძე |
| ამბროლაძე | სიჭინავა |
| ტაპე | კვანტალიანი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. ჩხაბერიძე | ზ. ჯულაძე |

**მერანი**

60. ტაპე - **სამადაშვილი**
75. ამბროლაძე - **მემარნიშვილი**
90. მანწკავა - **ტორაძე**

*სათადარიგოები: ქამუშაძე, გეგეჭკორი, ჭაფოძე, შენგელია*

**გაგრა**

55. ნაკონეჩნი - **გაბედავა**
74. ხუციძე - **ჯერემია**
80. სიჭინავა - **ხოჯაშვილი**

*სათადარიგოები: ბეგაშვილი, ჯგერენაია, გაბუნია, ჭკუასელი*

გაფრთხილება: **ნაკონეჩნი (25), სიჭინავა (53), ყურულაშვილი (60), კალანდაძე (76)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

„მერანმა" პირველ წრეში „გაგრასთან" მარცხის გამო რევანში აიღო, თანაც, მარტვილელებმა ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი მოიგეს. ყოველივე ეს შეძლეს არა გამართლების წყალობით, არამედ ბრძოლითა და ჟინით. ფაქტია, რომ ისინი თამაშიდან თამაშამდე უმატებენ და ნურავინ გაიკვირვებს, თუ ხუთეულში მოხვედრაზეც ფიქრობენ.

შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მათ თავიდანვე შეტევაზე გააკეთეს აქცენტი: საწყის წუთებში **ლაშა ჩალაძეს** შეეძლო გატანა, მან სამ მცველს აუარა გვერდი, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. რამდენიმე წუთში მასპინძლებმა კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი შექმნეს: საჯარიმოში შესულმა **ანზორ სუხიაშვილმა** ბურთი მცირედით ააცილა კარს. ერთადერთი, რაც გაგრელებმა შეძლეს, ტაიმის ბოლოს **ნაკონეჩნის** დარტყმა იყო, რომელსაც **შეროზია** ადგილზე დაუხვდა.

შესვენებამდე გასახსენებელი აღარაფერი მომხდარა, თამაშის განახლებისთანავე კი „მერანმა" გაცილებით მწვავედ შეუტია და მიზანსაც მიაღწია. მანამდე იყო **ელგუჯა გრიგალაშვილის** შორეული დარტყმა, მოგვიანებით კი **გიორგი მანწკავას** სახიფათოდ შესრულებული საჯარიმო, რომელიც ჩინებულ ნახტომში მოიგერია **სეფიაშვილმა** და გუნდი აშკარა გოლისაგან იხსნა. როგორც აღმოჩნდა, დროებით, რადგან 67-ე წუთზე ლაშა ჩალაძემ შესანიშნავი პასით მოძებნა მარჯვენა ფლანგზე მყოფი გრიგალაშვილი, რომელმაც მახვილი კუთხიდან ზუსტი დარტყმით დააწინაურა თანაგუნდელები — 1:0. აქვე ვთქვათ ისიც, რომ, გაშვებული ბურთის მიუხედავად, გაგრელთა მეკარე სტუმრებში საუკეთესო იყო, მან ერთ ეპიზოდში მარტვილელთა კაპიტნის, **გიგა ჟვანიას** დაახლოებით 9 მეტრიდან დარტყმული ბურთი სასწაულებრივად მოიგერია.

გოლის შემდეგ, წესით, „გაგრა" უნდა გააქტიურებულიყო, თუმცა მოედანზე კვლავ მასპინძლები დომინირებდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილ გრიგალაშვილს ბოლო მომენტში ფეხი დაუცდა და წაიქცა. ჩვეულად გამორჩეულები იყვნენ ჩალაძე, გრიგალაშვილი, სუხიაშვილი, **სამადაშვილი,** რომლებიც ბურთს უნარიანად აკონტროლებდნენ და სტუმრებს მომენტების შექმნის საშუალებას არ აძლევდნენ, აღსანიშნავია მერანელთა დაცვის საიმედო თამაშიც.

და მაინც, ბოლოსკენ გაგრელებს მატჩის გადარჩენის რეალური შანსი მიეცათ: 88-ე წუთზე **შალვა კვანტალიანის** მიერ სახიფათოდ ჩაწოდებულ ბურთს შეცვლაზე შესულმა **ჯერემიამ** დაუხვედრა თავი, მაგრამ შეროზიამ აჯობა თავდასხმელს და „მერანმა" დამსახურებული გამარჯვება მიითვალა.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



გოლი გაგრას კარში

ავტორის ფოტო

# შუმახერმაც ძლივს დაქოქა

« მე-3 ბვერდიდან

მე-3 გვერდიდან

აქვე აღვნიშნოთ, რომ ვეტერინართა კონტრშეტევების სიმწვავე მოწინააღმდეგეს დიდი ძალებით წინ წასვლის საშუალებას არ აძლევდა. „ვიტ ჯორჯიას", პირველის მსგავსად, მეორე ტაიმის დასაწყისშიც მიეცა გატანის შანსი, როდესაც „დილას" კარის წინ შექმნილი არეულობისას ჯერ **გურამ ადამაძემ** მოახერხა ახლოდან დარტყმა; გადმოგდებული ბურთისთვის კი არანაკლებ სახეირო სიტუაციაში მყოფ ჩიმაკაძეს რომ არ აეცილებინა ფეხი, ორბურთიანი უპირატესობის დაბევება ადვილი შესაძლებელი იყო. ცოტა ხანში, მორიგი სწრაფი კონტრშეტევისას **კორიფაძე შეყრილაძესთან** პირისპირ დარჩა, აქ „დილა" მეკარემ იხსნა აშკარა გოლისგან. მალევე გიორგი კორიფაძემ მშვენიერი პასით ისევ ჩიმაკაძე გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა სტუმართა თავდამსხმელმა კვლავ ვერ ივარგა. ამასობაში კი „დილა" ისევ დიდი მონდომებით უტევდა, მაგრამ ცაიტნოტს გრძნობდა და, ცოტა არ იყოს, ქაოტურად მოქმედებდა. ამასთან, კარგად იცავდა თავს „ვიტ ჯორჯიას" უკანა ხაზიც. შეხვედრის ბოლოს „შუმახერამ" **რომან ახალკაცს** გასძახა, მარჯვენა ფლანგზე, **სადალაშვილის** პოზიციაზე გადადიო და ამ გადაადგილების შედეგი სულ ერთი წუთში ვიხილეთ — ჩაგელიშვილმა სწორედ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილ ახალკაცს „მოუზომა" პასი, რომანმაც იმარჯვა, ბურთისთვის ბრძოლაშიც აჯობა მეკარეს და ანგარიშში წონასწორობაც აღადგინა — 1 : 1. დარჩენილ ათიოდ წუთში ორივე გუნდმა სცადა ბედის სასწორის თავის მხარეს გადახრა, მაგრამ ბოლოს გაჩაღებულ გახსნილ თამაშში უკვე „დილას" ეტყობდა უფრო მეტი დამაჯერებლობა, გაიტანეს კიდეც გორელებმა, თუმცა **ხეცაძემ,** თამაშგარეო...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ქართული ფეხბურთი

### ლეგიონი



ლევან კობიაშვილი

# კობის მონატრებული გოლი

## ნერგაძემ აიაქსს გაუტანა, შაშიმ - ასტერასს

ორი წლისა და თვენახევრის შემდეგ **ლევან კობიაშვილმა** ბუნდესლიგაში გაიტანა! 34 წლის ქართველმა ვეტერანმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში თავი ბოლოს 2009 წლის სექტემბერში გამოიჩინა, როცა „შალკეს" „კიოლნთან" 2:1 მოაგებინა. მას მერე კობიმ ერთი სეზონი მეორე ბუნდესლიგაში გაატარა და ელიტაში ბერლინის „ჰერტასთან" ერთად დაბრუნდა. ჩვენებური დედაქალაქელთა შეუცვლელი ფეხბურთელია, მან 11-ივე მატჩი სრულად (990 წუთი) ითამაშა. შაბათს „ჰერტამ" სტუმრად 3:2 მოუგო „ვოლფსბურგს", კობიაშვილმა 37-ე წუთზე პენალტის ნიშნულიდან ანგარიში 2:1 გახადა ბერლინელთა სასარგებლოდ. ლევანმა პენალტი ჩვეულად დაარტყა - ცენტრში. ეს მისი 30-ე გოლია ბუნდესლიგაში. „შპორტალმა" ჩვენებურის თამაში „ვოლფსბურგთან" 3 ბალით შეაფასა.

სეზონში პირველი გოლი გაიტანა აფრიკის კონტინენტზე ჩვენმა ერთადერთმა ლეგიონერმა **გიორგი ნერგაძემ.** 29 წლის ექსდინამოელმა კეიპტაუნის „აიაქსს" გაუტანა - 50-ე წუთზე მასპინძლები კუთხურს აწოდებდნენ, ნერგაძემ ბურთი დაუშვებლად გაგზავნა მეტოქის კარში. ეს თამაში ქართველის „მოროკამ" 3:2 მოიგო, ჩვენებური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში „მოროკა" 19 ქულით მესამე ადგილზეა. მეორე სეზონია, ნერგაძე ამ კლუბშია, შარშან მან 3 გოლი გაიტანა.

ფინეთში ზამთარი წელიწადის ყველა დროზე ხანგრძლივია, ასე რომ, გასაკვირი არ არის, რომ იქ საფეხბურთო სეზონი უკვე დასრულდა და ამ უქმეებზე ჩემპიონი ჰიკ გახდა. 29 წლის **ირაკლი სირბილაძის** „იარომ" ჩემპიონატი 31 ქულით ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა. ამიერიდან „იაროს" ბედი ნაკლებად გვაინტერესებს (თუმცა ეს კლუბი არ გავარდნილა), რადგან ქართველი ფორვარდი ახალი სეზონიდან ითამაშებს ტურკუს „ინტერში", რომელმაც მე-2 ადგილი დაიკავა ვეიკაუსლიგაში. ეს სეზონი წარმატებული გამოდგა ჩვენებურისთვის - ირაკლიმ რანგით მეორე დივიზიონში მოთამაშე კპვ-ში დაიწყო (11 თამაში, 1 გოლი) და შემდეგ გადავიდა „იაროში" (იჯარით), სადაც 15 მატჩში 9 გოლი გაიტანა. ბოლო ორ ტურში მას აღარ უთამაშია. დასრულდა რანგით მეორე იუკონენლიგაც. მოკლედ გაგაცნობთ იქ მოთამაშე ქართველთა მონაგარს: მე-6 ადგილზე გასულ „კოტეპეს" შემადგენლობაში 19 თამაშში 1 გოლი გაიტანა 26 წლის მცველმა **გიორგი ოსიტაშვილმა,** ხოლო მეკარე **ლევან ლომიძემ** 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ზემოთ ნახსენები კპვ იუკონენლიგიდან გავარდა. მის შემადგენლობაში ითამაშეს **ნიკა კილაძემ** (12 მატჩი), **გიორგი ხიდეშელმა** (3 მატჩი, 3 თამაში მან უმაღლესი ლიგის „იაროშიც" მოასწრო) და **ერეკლე კილაძემ** (3).

სეზონში პირველი გოლი გაიტანა 32 წლის **გიორგი შაშიაშვილმა,** „ერგოტელისის" მცველმა მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში „ასტერასთან" მატჩში, კუთხურის გათამაშებისას კარისკენ ზურგით მდგომმა გიორგიმ თავით დაასწრო მეკარეს. შაშიაშვილმა თებერვლის მერე პირველად გაიტანა. სხვა ჩემპიონატებში გოლები გაიტანეს: **გიორგი მერებაშვილმა** პენალტით (სერბეთი, „ვოივოდინა"), **გაგა ჩხეტიანმა** (ისრაელი, ლეუმითლიგა, „ბეერშევა"), **ილია კანდელაკმა** (აზერბაიჯანი, „ინტერი") და **თომა ტაბატაძემ** (ლიტვა, „კრუოია").

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. I ბუნდესლიგა. XI ტური | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | ვოლფსბურგი | 3:2 (გ) | 90 წუთი, 1 გოლი | 11 თ, 1 გ |
| გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | დრეზდენი | 1:5 (გ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 12 თ, 3 გ. |
| იტალია. სერია A. IX ტური | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | ფიორენტინა | 0:1 (გ) | არ უთამაშია, დისკვალიფ. | 5 თ |
| იტალია. სერია B. XII ტური | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ტორინო | 1:2 (გ) | 19 წთ (შეცვლაზე) | 5 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | ტორინო | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. XIII ტური | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | ბულონი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 8 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | არლი | 3:0 (შ) | არ უთამაშია | 1 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXIX ტური | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | როსტოვი | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ლოკომოტივი | 3:0 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 10 თ, 1 გ |
| წუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ამკარი | 2:1 (შ) | არ უთამაშია | 25 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ყუბანი | 0:2 (შ) | 27 წთ (შეცვლაზე) | 22 თ, 7 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ყუბანი | 0:2 (შ) | 90 წუთი | 23 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | კრილია | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 19 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | ზენიტი | 0:3 (გ) | 90 წუთი | 19 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | ზენიტი | 0:3 (გ) | არ უთამაშია | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | ზენიტი | 0:3 (გ) | არ უთამაშია | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | ზენიტი | 0:3 (გ) | არ უთამაშია, ტრავმა | 18 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | ზენიტი | 0:3 (გ) | 65 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 4 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ცსკა | 0:4 (გ) | 63 წთ (შეცვალეს) | 21 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ცსკა | 0:4 (გ) | 90 წუთი | 9 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | ანჟი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| რუსეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური. | | | | | | |
| გიორგი ნავალოვსკი | 25 | ხიმკი | ნიჟნი | 1:2 (შ) | 90 წუთი | 29 თ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XV ტური | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | არსენალი | 0:2 (გ) | 90 წუთი | 11 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | არსენალი | 0:2 (გ) | არ უთამაშია | 11 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | კრივბასი | 2:0 (შ) | 30 წთ (შეცვლაზე) | 12 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | დინამო | 0:0 (შ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 7 თ, 2 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | კარპატი | 2:0 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | მატალ. დონ. | დღეს | | 5 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | ვოლინი | 0:2 (შ) | 5 წთ, გააძევეს | 15 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | შახტარი | 2:3 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 3 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | დნიპრო | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჰოლანდია. ერედივიზიე. XII ტური | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | გრააფსხაპი | 1:0 (გ) | 90 წუთი | 11 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | გრააფსხაპი | 1:0 (გ) | 88 წთ (შეცვალეს) | 10 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | გრააფსხაპი | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. VIII ტური | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | ატრომიტოსი | 1:2 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 7 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | ასტერასი | 2:0 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 5 თ, 1 გ |
| თურქეთი. სუპერლიგა. VII ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | ესკიშეჰირი | 0:1 (გ) | სათადარიგო | 3 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | კაისერი | გალათასარაი | 0:2 (შ) | 90 წუთი | 6 თ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. XIII ტური | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | რაპიდი | 2:3 (გ) | 74 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 10 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. VIII ტური | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | ნეა სალამინა | დღეს | | 7 თ |
| ლევან ძებაძე | 36 | ეთნიკოსი | ნეა სალამინა | | | 7 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | ეთნიკოსი | | | 0 თ |
| ისრაელი. ლიგატ ჰაალი. IX ტური | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ფეთაჰ თიკვა | 4:1 (გ) | სათადარიგო | 4 თ |
| შვეიცარია. სუპერ ლიგა. XIV ტური | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | სერვეტი | 1:2 (გ) | სათადარიგო | 5 თ |
| დანია. სასლიგა. XIV ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (შ) | არ უთამაშია | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | კოგე | 2:0 (შ) | 6 წთ (შეცვლაზე) | 3 თ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. XII ტური | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | კრაკოვია | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 11 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | გორნიკი | 0:2 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| სერბეთი. სუპერლიგა. X ტური | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | სუბოტიცა | 1:1 (შ) | 90 წთ, 1 გოლი | 9 თ, 2 გ |
| უნგრეთი. ნბ-1. XIV ტური | | | | | | |
| გიორგი გაბუნია | 23 | ლომბარდი | ვიდეოტონი | 2:3 (შ) | 90 წუთი | 13 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | ვიდეოტონი | 2:3 (შ) | 82 წთ (შეცვალეს) | 12 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | პეჩი | 1:3 (გ) | 24 წთ (შეცვლაზე) | 15 თ 2 გ |
| ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXXIII ტური | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | მიუპა | 2:4 (შ) | არ უთამაშია | 15 თ, 9 გ |
| იაპონია. ჯეილიგა. XXXI ტური | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ვეგალტა | 3 ნოემბერს | | 30 თ, 6 გ |
| სამხ. აფრიკა. პსლ. | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | აიაქსი | 3:2 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 8 თ, 1 გ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრაიბურგი–ლევერკუზენი 0:1

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი – ჰინკელი, ბართი, კრმასი, ბასტიანსი – ფლუმი, შუსტერი – პუცილა (76. იენდრიშეკი), როზენტალი (81. მაკიადი) – სისე, დემბელე (69. რაიზინგერი).

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – შვააბი, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – ლ. ბენდერი, კასტრო – სემი, ბალაკი (65. როლფესი), შიურლე (83. რაინარტცი) – დერდიოკი (74. კისლინგი).

**გოლი:** 0:1 ბალაკი (2)

**გაფრთხილება:** სისე

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 21(8)-11(3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 300

## ბაიერნი–ნიურნბერგი 4:0

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (71. ალაბა) – თ. მიულერი (77. ოლიჩი), კროოსი (74. ლუის გუსტავო), რიბერი – გომესი.

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** შტეფანი – იუდტი (46. ჰეგელერი), ვოლშაიდი, კლოზე, პლატენჰარდტი – სიმონსიო – ჩანდლერი, კოენი (62. ვაისმაიერი), კამავუაკა, ესვაინი (71. ფრანტცი) – პეკჰარტი.

**გოლები:** 1:0 გომესი (2), 2:0 შვაინშტაიგერი (19), 3:0 რიბერი (39), 4:0 გომესი (68)

**გაფრთხილება:** ლუის გუსტავო – იუდტი, კოენი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 13(5)-4(2); **ბურთის ფლობა:** 78%-22%.

**მაყურებელი:** 69 000

## შალკე–ჰოფენჰაიმი 3:1

**შალკე (4-2-3-1):** უნერტშალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი – ფარფანი (83. მორავეკი), რაული (86. პუკი), დრაქსლერი (89. კლუგე) – ჰუნტელაარი.

| 19. ხეტაფე | 10 | 1 | 4 | 5 | 9-15 | 7 |
| 20. გრანადა | 9 | 1 | 2 | 6 | 2-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 10 - გონსალო იგუაინი (რეალი), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

## სეგუნდა დივიზიონი

### XI ტური

**ერკულესი-კორდობა 1:0**
გოლი: ვერა მატეოსი (74)
გაძევება: ფუენტესი (48. კორდობა)

**ალკორკონი-გვადალახარა 1:0**
გოლი: 1:0 ბაბინი (45)
გაძევება: ხ. ერნანდესი (35. ალკორკონი)

**ბარსელონა II-ხიმნასტიკი 1:0**
გოლი: 1:0 კარლოს კარმონა (39)

**უესკა-ელჩე 0:1**
გოლი: 0:1 ასიარი (90)
გაძევება: ვერდესი (45. ელჩე)

**უელვა-ნუმანსია 1:1**
გოლები: 1:0 ფიდელი (72), 1:1 ბორდა (82 ს.კ.)

**საბადელი-ალკოიანო 2:2**
გოლები: 0:1 გატო (22), 1:1 ფლორიანი (23), 1:2 გატო (29), 2:2 ლაო (90)

**ხერესი-ალმერია 0:1**
გოლი: 0:1 სორიანო (77)

**ლას პალმასი-ვალიადოლიდი 1:0**
გოლი: 1:0 ვიერა (74)

**კარტახენა-მურსია 1:2**
გოლები: 1:0 ალვარო (31), 1:1 ხორხე (56), 1:2 კ. გარსია (71)
გაძევება: დელგადო (90. კარტახენა)

**ვილიარეალი II-სელტა 2:3**
გოლები: 0:1 ბერმეხო (2), 1:1 ხოსელუ (28), 2:1 ხოსელუ (41), 2:2 ასპასი (88), 2:3 ასპასი (90)

**დეპორტივო-ხირონა 3:2**
გოლები: 0:1 ნიეტო ვილა (4), 1:1 რიკი (27), 2:1 ლასადი (72), 3:1 ლაურე (84), 3:2 კორომინასი (86-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 11 | 9 | 1 | 1 | 13-4 | 28 |
| 2. ალმერია | 11 | 6 | 4 | 1 | 16-8 | 22 |
| 3. საბადელი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-14 | 21 |
| 4. სელტა | 11 | 6 | 2 | 3 | 22-13 | 20 |
| 5. ვალიადოლიდი | 11 | 5 | 4 | 2 | 16-10 | 19 |
| 6. ლას პალმასი | 11 | 5 | 4 | 2 | 15-11 | 19 |
| 7. დეპორტივო | 11 | 6 | 1 | 4 | 18-16 | 19 |
| 8. მურსია | 11 | 5 | 3 | 3 | 16-13 | 18 |
| 9. კორდობა | 11 | 5 | 3 | 3 | 8-8 | 18 |
| 10. ალკორკონი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-9 | 17 |
| 11. ელჩე | 11 | 5 | 2 | 4 | 14-12 | 17 |
| 12. გვადალახარა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-17 | 17 |
| 13. ბარსელონა II | 11 | 4 | 2 | 5 | 18-15 | 14 |
| 14. ნუმანსია | 11 | 3 | 4 | 4 | 12-11 | 13 |
| 15. ხერესი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-12 | 13 |
| 16. ვილიარეალი II | 11 | 2 | 5 | 4 | 19-21 | 11 |
| 17. ალკოიანო | 11 | 2 | 4 | 5 | 12-17 | 10 |
| 18. უელვა | 11 | 2 | 3 | 6 | 8-13 | 9 |
| 19. კარტახენა | 11 | 2 | 2 | 7 | 8-18 | 8 |
| 20. ხირონა | 11 | 1 | 4 | 6 | 14-22 | 7 |
| 21. უესკა | 11 | 1 | 3 | 7 | 11-21 | 6 |
| 22. ხიმნასტიკი | 11 | 0 | 4 | 7 | 7-19 | 4 |

**ბომბარდირები:** 8 - ხოსელუ (ვილიარეალი); 6 - დ. როდრიგესი (სელტა), ულოა (ალმერია).

*ესპანეთი. ლა ლიგა. X ტური*

# შენწყვეტილი სიმღერა

## დღეიდან, სწორება რეალზე

მორჩა, აღმოსავლური ზღაპარი დასრულდა - „ლევანტემ" ზედიზედ 7 მატჩის მოგების შემდეგ „რეინო დე ნავარაზე" წააგო და პირველი ადგილი დაკარგა. ამ ვალენსიური კლუბის ისტორიას უთუოდ შემოენახება ლა ლიგის წლევანდელი, 81-ე გათამაშება, რომლის საწყის ეტაპზე „ლევანტემ" ასეთი საოცარი სერია შემოგვთავაზა და 2 ტურის განმავლობაში ერთპიროვნულად ედგა სათავეში ჩემპიონატს. ნავარული შეხვედრის შემდეგ „რეალის" გალიდერება ოფიციალურად გაფორმდა.

„ოსასუნასთან" მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს „ლევანტესთვის" დამღუპველი ხუთწუთიანი მონაკვეთი იყო, როცა ვალენსიელთა მცველები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. თავიდან ლიდერი უკეთ თამაშობდა, „ოსასუნა" კი ძირითადად თავს იცავდა. აი, მაშინ სტუმრებმა რამდენიმე კარგი შანსი გაანიავეს, თუმცა მათ შორის ყველაზე ახლოს მიზანთან **ხუანლუ გომესი** იყო, „ლევანტეს" შემტევი ნახევარმცველი ახლო მანძილიდან თავით არტყამდა **ფერნანდესის** კარში, ბადეში თავად კი შევარდა, მაგრამ ბურთი - არა. ამის შემდეგ ნავარელებმაც გამოიღეს ხელი, რომელთა რიგებშიც საუკეთესო ნახევარმცველი **ალვარო სეხუდო** იყო - ანგარიში სწორედ მან გახსნა: **იბორამ** ფაქტობრივად ჩააბარა ბურთი მას, სეხუდოს დარტყმული კი რიკოშეტით **მუნუას** კარში შევარდა. ოთხ წუთში მუნუა და **ასიერ დელ ორნო** ერთმანეთს შეასკდნენ, უპატრონოდ დარჩენილ ბურთს კი **ნინომ** მიუჩინა კარში ადგილი.

58-ე წუთზე მასპინძლები ათნი დარჩნენ, სეხუდომ სულელურ სიტუაციაში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, მაგრამ „ოსასუნამ" უპირატესობა შეინარჩუნა - მთელი გუნდით დაცვაში დაიხია - 2:0 და „ლევანტეს" ორივე გრანდმა გადაასწრო.

მადრიდის „რეალს" უნაკლო ოქტომბერი ჰქონდა - ექვსივე მატჩი მოიგო, ბურთების საოცარი შეფარდებით - 20:1. თუმცა „სამეფო კლუბს" „ანოეტაზე" ძალზე გაუჭირდა და მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა - 1:0. „რეალ სოსიედადის" კარში ერთადერთი გოლი **გონსალო იგუაინმა** გაიტანა, რომლის წყალობითაც ის თანაგუნდელ **კრიშტიანო რონალდოს** დაეწია (ორივეს 10-10 გოლი აქვს).

მე-9 წუთზე **ფაბიო კოენტრაომ** გონსალო იგუაინი მოძებნა, არგენტინელმა კარგად დაინახა მასთან შესახვედრად გამოვარდნილი **კლაუდიო ბრავო** და ჩილელს ბურთი თავზე გადაუგდო. „რეალ სოსიედადი" 5 მცველით თამაშობდა, ასევე ნახევარდაცვაში კიდევ ერთი ნომინალური მცველი საქმიანობდა, არ იყვნენ სასტარტოში ისეთი შემტევი ფეხბურთელები, როგორიც **იმანოლ აგირეჩე** (4 გოლი ჩემპიონატში) და ახალგაზრდა ფრანგი **ანტუან გრიზმანი**. ამიტომაც, ბასკებს გაშვებული ბურთის შემდეგაც უჭირდათ მეტოქის ნახევარზე გადასვლა. მეორე ტაიმში „სოსიედადმა" შეუტია, შეცვლაზე შესული ანტუან გრიზმანის დარტყმულის გასანეიტრალებლად **იკერ კასილიასს** მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა. მაგრამ „რეალმა" მიზანს მაინც მიაღწია. სტუმართა რიგებში საუკეთესონი კოენტრაო და **სერხიო რამოსი** იყვნენ, მორიგი მატჩი ჩააგდო კრიშტიანო რონალდომ.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ბოლო წუთებში გაგვიჭირდა. მეორე ტაიმის ბოლომდე ფიზიკურად ვერ გავძელით, მაგრამ მენტალურად კვლავ მოწოდების სიმაღლეზე ვიყავით, ამიტომაც მოვიგეთ „ანოეტაზე". საკმაოდ ძნელი კვირა გვქონდა და ჩვენ ბრწყინვალე შედეგს მივაღწიეთ".*

**ლიონელ მესიმ** კრიტიკოსები ჰეთ თრიკით გააჩუმა, მატჩში, რომელშიც სადებიუტო გოლი გაიტანა ახალგაზრდა **ისააკ კვენკამ**, ხოლო ჩემპიონმა 5:0 გაანადგურა „მალიორკა". არგენტინელმა, რომელიც ახლა 13 გოლით „პიჩიჩისთვის" ბრძოლას ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში, სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა, თანაც ანგარიში პენალტის ნიშნულიდან გახსნა. სხვათა შორის, ყველაზე მეტი მესიმ სწორედ ამ გოლზე ინერვიულა, თორემ შემდეგი ორი, როგორც სჩვევია, ენითაუწერელი სიმსუბუქით გაიტანა. მესი და პენალტი ამ ორი ტურის წინ მთავარი თემა იყო, რადგან არგენტინელმა „სევილიასთან" მატჩის ბოლოს ვერ გაიტანა და „ბარსას" 2 ქულა დააკარგვინა. ახლა ყველაფერი წესრიგში იყო. ოდნავ გაღიზიანებული მესი კი თამაშის შემდეგ ამბობდა: *„ისინი, ვინც ბოლო სამ თამაშში ვერგატანისთვის ჩემს კრიზისზე ალაპარაკდნენ, უბრალოდ, სულელები არიანო".*



19 წლის ისააკ კვენკამ მეორედ ითამაშა „ბარსას" სასტარტოში, ის ბრაზილიელმა **ადრიანომ** გაიყვანა **დუდუ ავატესთან** პირისპირ, კვენკა ებრაელ გოლკიპერს გასცდა და ცარიელ კარში გაიტანა. ყველაზე კარგი კი **დანი ალვეშის** გოლი იყო, ბოლო წუთზე ბრაზილიელმა მცველმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან „ცხრიანში" გაიტანა - 5:0. მესის და კვენკას გარდა, დიდებულად ითამაშეს დანი ალვეშმა და ადრიანომაც.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ძალიან ბევრი ვირბინეთ, მეტისმეტიც კი. განსაკუთრებით ისააკის კარგი თამაშითა და პირველი გოლით ვარ გახარებული, ის ძალიან ნიჭიერი ბიჭია. დღეს ძალიან ბევრმა ითამაშა კარგად, მაგრამ ვერ წარმომიდგენია „ბარსა" დანი ალვეშის გარეშე, მისი წყალობით ჩვენ შეტევის განვითარების ბევრი ვარიანტი მოგვეპოვება, რითაც მეტოქეს ვჯობნით კიდევაც".*

„ვალენსია" ლიდერებს კვალში მიყვება, „ღამურებმა" მშობლიურ „მესტალიაზე" 3:1 დაამარცხეს „ხეტაფე". ამ თამაშში დუბლი შეასრულა ალჟირელმა **სოფიან ფეგულიმ**. ახალგაზრდა აფრიკელისთვის ეს პირველი გოლებია „ვალენსიას" მაისურით. აღსანიშნავია, რომ ორჯერვე ფეგულის მცირე რიკოშეტი დაეხმარა. ერთი გოლიც შეცვლაზე შესული **არიც ადურისის** ანგარიშზეა, სხვათა შორის, ეს 30 წლის ბასკი ფორვარდის მხოლოდ პირველი გოლია სეზონში. სტუმართა ერთადერთი გოლი **დიეგო კასტრომ** ქუსლით გაიტანა.

მოიგო „ვილიარეალმაც", 2:0 დაამარცხა „რაიო ვალეკანო", რის წყალობითაც **ხუან კარლოს გარიდომ** თანამდებობა შეინარჩუნა - „წყალქვეშა ნავი" გასავარდნ ზონას აცდა, მაგრამ „ელ სუბმარინოს" თავკაცს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა - გუნდი ყოველ ტურში ერთ ფორვარდს კარგავს - **ნილმარი** ტრავმირებულია, წინა ტურში დიდი ხნით გამოეთიშა ფეხბურთს **ჯუზეპე როსი**, ახლა კი ჯერი ერთადერთ ჯანმრთელ ფორვარდზე მიდგა - არგენტინელმა **მარკო რუბენმა** ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება.

გუშინ „სპორტინგი" და „ბილბაო" დაზავდნენ - 1:1. სტუმარი **მარკელ სუსაეტას** გოლს, გოლითვე შეცვლაზე შემოსულმა ხორვატმა **მატე ბილიჩმა** უპასუხა. „რასინგმა" **კრისტიან სტუანის** პენალტის წყალობით ზედიზედ მეექვსე მარცხი მიაყენა „ბეტისს", რომელიც 4 ტურის შემდეგ ლა ლიგის ლიდერი იყო. რაც საქართველოს ნაკრების ექსთავკაცი **ექტორ კუპერი** ესპანეთში დაბრუნდა, ეს მისი პირველი გამარჯვებაა ლა ლიგაში.

როგორც იქნა, მოიგო „ატლეტიკომ", რომელმაც „ვისენტე კალდერონზე" 3:1 დაამარცხა „სარაგოსა". განსაკუთრებით თავი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გმირმა **ადრიან ლოპესმა** გამოიჩინა, რომელმაც დუბლი მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

5 ნოემბერი: მალიორკა-სევილია, ბეტისი-მალაგა, ლევანტე-ვალენსია.

6 ნოემბერი: რეალი-ოსასუნა, გრანადა-რასინგი, სარაგოსა-სპორტინგი, ესპანიოლი-ვილიარეალი, რაიო ვალეკანო-რეალ სოსიედადი, ბილბაო-ბარსელონა, ხეტაფე-ატლეტიკო.

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions




ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკელიძის 2 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## რომა-მილანი 2:3

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – კასეტი, ბურდისო, ჟუანი (71. ჰაინცე), ანხელი – გაგო (63. ლამელა), დე როსი, პიზარო – ბორინი (38. ბოიანი), ოსვალდო, პიანიჩი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ძამბროტა – ნოჩერინო (88. ამბროზინი), ვან ბომელი, აკვილანი – ბოატენგი (66. ემანუელსონი) – რობინიო (74. კასანო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (17), 1:1 ბურდისო (28), 1:2 ნესტა (30), 1:3 იბრაჰიმოვიჩი (78), 2:3 ბოიანი (87).

**გაფრთხილება:** გაგო, პიანიჩი - აკვილანი, ვან ბომელი, ნოჩერინო.

**გაძევება:** ბოატენგი (სათადარიგო სკამიდან).

**კუთხური:** 13-4; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 15(9)-12(4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 55 000

## კატანია-ნაპოლი 2:1

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – სპოლი, ბელუში, ლეგროტალიე, ისკო (78. დელ ვეკიო) – ალმირონი, ლოდი, რიკიუტი (59. ბარიენტოსი), მარკეზე – ბერგესიო, გომესი (76. კატელანი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – კანავარო, ფერნანდესი, ფიდელეფი (59. მაჯო) – ინლერი, დოსენა (78. ჰამშიკი), სანტანა, ცუნიგა – მასკარა (49. ჯემაილი), ლავეცი – კავანი.

**გოლები:** 0:1 კავანი (1), 1:1 მარკეზე (25), 2:1 ბერგესიო (48).

**გაფრთხილება:** ბელუში - კანავარო.

**გაძევება:** სანტანა (43).

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14(5)-10(4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 000

## ინტერი-იუვენტუსი 1:2

**ინტერი (4-3-1-2):** კასტელაცი- მაიკონი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო - ძანეტი, კამბიასო, ობი (65. სტანკოვიჩი) - სნეიდერი (78. ალვარესი) - სარატე (46. კასტანიოსი), პაცინი.

**იუვენტუსი (4-3-2-1):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი – პირლო, მარკიზიო, ვიდალი (89. პაციენცა) - პეპე, ვუჩინიჩი (84. დელ პიერო) - მატრი (70. ესტიგარიბია).

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (12), 1:1 მაიკონი (28), 1:2 მარკიზიო (33).

**გაფრთხილება:** კივუ, სნეიდერი - ბონუჩი, კიელინი, პირლო, პეპე, ვიდალი.

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11(4)-14(6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 75 000

## სიენა-კიევო 4:1

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, კონტინი (55. პეზოლი), დელ გროსო – მანინი, გაცი, დაგოსტინო (79. ბოლცონი), ბრიენცა – კალაიო, დესტრო (76. ლარონდო).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, მანდელი, იოკიჩი (70. დრამე) – ბრედლი, ვაჩეკი, ჰეტემაი (63. პალოსკი) – კრუზადო (46. სამარკო) – პელისიერი, მოსკარდელი.

**გოლები:** 1:0 დესტრო (25), 2:0 დესტრო (57), 3:0 დაგოსტინო (61), 3:1 მოსკარდელი (75), 4:1 კალაიო (90).

**გაფრთხილება:** ლარონდო - მანდელი, ცეზარი, იოკიჩი, ჰეტემაი, კრუზადო.

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11(7)-4(2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 000

## ბოლონია-ატალანტა 3:1

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, ლორია, მორლეო – პერესი (46. პულცეტი), მუდინგაი, კონე – აკვაფრესკა, რამირესი (76. ხიმენესი) – დი ვაიო (66. ჩერუბინი).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო (22. ბელინი), კაპელი, ლუკინი, პელუზო – კარმონა, ჩიგარინი (53. შელოტო), პადოინი, ბონავენტურა (64. ტირიბოკი) – მორალესი – დენისი.

**გოლები:** 0:1 დენისი (7), 1:1 დი ვაიო (45-პენ.), 2:1 რამირესი (48), 3:1 ლორია (68).

**გაფრთხილება:** პორტანოვა, მუდინგაი - ბონავენტურა, პადოინი, დენისი.

**კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 7(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 000

## ფიორენტინა-ჯენოა 1:0

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – კასანი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – ხარჯა, მონტოლივო, ლაძარი – რომულო (86. მუნარი), ჯილარდინო (71. ვარგასი), იოვეტიჩი (90. სილვა).

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – დაინელი, გრანკვისტი, მესტო, ანტონელი – როსი (78. კონსტანტი), კუჩკა (46. ხორკერა), ველოზო, მერკელი – პალასიო, იანკოვიჩი (58. პრატო).

**გოლი:** 1:0 ლაძარი (41).

**გაფრთხილება:** ნატალი - კუჩკა.

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 12(4)-4(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 25 000

## ლეჩე-ნოვარა 1:1

**ლეჩე (4-3-3):** ბენასი – ოდო, კაროციერი, ესპოზიტო (15. ტომოვიჩი), მესბა – შტრასერი, კუადრადო, ჯანდონატო (74. პასკუატო) – ოლივერა, კორვია (56. მურიელი), ბერტოლაჩი.

**ნოვარა (4-3-1-2):** ფონტანა – მორგანელა, პაჩი (66. დელაფიორე), ჩენტურიონი, ჯემიტი – მარიანინი, პორკარი, რიგონი – მაძარანი (79. ჯორჯი) – ჯედა, მეჯორინი (69. რადოვანოვიჩი).

**გოლები:** 1:0 შტრასერი (31), 1:1 რიგონი (44-პენ.).

**გაფრთხილება:** ოდო, კაროციერი, მესბა, ჯანდონატო - მარიანინი.

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 11(7)-8(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 14 000

## პარმა-ჩეზენა 2:0

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ბიაბიანი, მორონე (82. ბლაზი), გალოპა (65. მუზაჩი), მოდესტო – ჯოვინკო – პელე (74. კრესპო).

**ჩეზენა (4-4-1-1):** ანტონიოლი – კომოტო, ფონ ბერგენი, ლაურო, როდრიგესი – კანდრევა, გუანა, მარტინესი (46. ედერი), პაროლო - გეზალი (65. კოლი) - ბოგდანი (84. რანელა).

**გოლები:** 1:0 პალეტა (41), 2:0 ლუკარელი (71).

**გაფრთხილება:** მორონე, გალოპა - კომოტო, როდრიგესი, გუანა, ედერი.

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 15(7)-10(3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 14 000

## უდინეზე-პალერმო 1:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა, პინცი, ისლა, ასამოა, არმერო – დი ნატალე, ფლორო ფლორესი.

**პალერმო (4-4-1-1):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, ჩეტო, ბალცარეტი – აგუირეგარაი, ბარეტო, მილიაჩო, ბაჩინოვიჩი – ზაჰავი - მიკოლი.

**გოლი:** 1:0 დი ნატალე (38).

**გაფრთხილება:** ბენეტია, პინცი - პიზანო.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 16(4)-10(7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 000

## კალიარი-ლაციო 0:3

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო (69. პერიკო), კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ბიონდინი, ეკდალი (54. იბარბო), ნაინგოლანი – კოსუ - რიბეირო (85. ლარივეი), ნენე.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, დიაკიტე, დიასი, რადუ – ლულიჩი, ბროკი (68. კანა), ლედესმა - ერნანესი (78. სკული) - სისე (84. როკი), კლოზე.

**გოლები:** 0:1 ლულიჩი (39), 0:2 კლოზე (44), 0:3 როკი (88).

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13(2)-6(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-7 | 19 |
| 2. უდინეზე | 9 | 5 | 3 | 1 | 11-3 | 18 |
| 3. ლაციო | 9 | 5 | 3 | 1 | 15-8 | 18 |
| 4. მილანი | 9 | 5 | 2 | 2 | 19-14 | 17 |
| 5. ნაპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-7 | 14 |
| 6. კატანია | 9 | 3 | 5 | 1 | 12-12 | 14 |
| 7. სიენა | 9 | 3 | 4 | 2 | 11-6 | 13 |
| 8. პალერმო | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 9. კალიარი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-9 | 13 |
| 10. ფიორენტინა | 9 | 3 | 3 | 3 | 10-8 | 12 |
| 11. ჯენოა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 12. პარმა | 9 | 4 | 0 | 5 | 12-17 | 12 |
| 13. რომა | 9 | 3 | 2 | 4 | 11-11 | 11 |
| 14. ბოლონია | 9 | 3 | 1 | 5 | 8-13 | 10 |
| 15. ატალანტა | 9 | 4 | 3 | 2 | 12-12 | 9 |
| 16. კიევო | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 17. ინტერი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-16 | 8 |
| 18. ნოვარა | 9 | 1 | 4 | 4 | 12-17 | 7 |
| 19. ლეჩე | 9 | 1 | 2 | 6 | 7-16 | 5 |
| 20. ჩეზენა | 9 | 0 | 3 | 6 | 3-12 | 3 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 7 - დი ნატალე (უდინეზე); 6 - ჯოვინკო (პარმა), დენისი (ატალანტა); 5 - პალასიო (ჯენოა), კლოზე (ლაციო), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

## სერია B. XII ტური

**ასკოლი-მოდენა 0:1**

გოლი: 0:1 კარინი (88).

**ბარი-პესკარა 0:2**

გოლები: 0:1 ინსინიე (18), 0:2 ინსინიე (88).

**ბრეშა-რეჯინა 0:3**

გოლები: 0:1 ჩერავოლო (41-პენ.), 0:2 ვიოლა (61), 0:3 რაგუზა (89).

**ჩიტადელა-ვერონა 1:2**

გოლები: 1:0 ბელაძინი (14-პენ.), 1:1 ფერარი (16), 1:2 ჰალფრესდსონი (22).

**კროტონე-პადოვა 2:1**

გოლები: 1:0 კაეტანო (34), 2:0 ფლორენცი (41), 2:1 კაჩა (52).

**ლივორნო-გუბიო 1:1**

გოლები: 1:0 ბიგაცი (20), 1:1 კოფანი (90).

**ნოჩერინა-სამპდორია 4:2**

გოლები: 1:0 მაიო (27), 2:0 კასტალდო (35-პენ.), 3:0 კატანია (66-პენ.), 3:1 მაკარონე (80), 4:1 პრეტე (81), 4:2 მაკარონე (84).

**სასუოლო-გროსეტო 1:0**

გოლი: 1:0 ბოაკი (14).

**ტორინო-ემპოლი 2:1**

გოლები: 0:1 ლაძარი (35), 1:1 ებაგუა (50), 2:1 დარმიანი (67).

**ვარეზე-იუვე სტაბია 2:1**

გოლები: 1:0 კაროცა (2), 1:1 კაცოლა (40), 2:1 ძეკინი (65).

**ვიჩენცა-ალბინოლეფე 2:1**

გოლები: 0:1 ლანერი (15), 1:1 პაოლუჩი (51), 2:1 აბრუსკატო (64).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 12 | 9 | 2 | 1 | 17-7 | 29 |
| 2. პესკარა | 12 | 8 | 1 | 3 | 29-18 | 25 |
| 3. სასუოლო | 12 | 7 | 3 | 2 | 14-7 | 24 |
| 4. რეჯინა | 12 | 7 | 2 | 3 | 27-15 | 23 |
| 5. პადოვა | 12 | 7 | 2 | 3 | 21-15 | 23 |
| 6. სამპდორია | 12 | 4 | 6 | 2 | 21-13 | 18 |
| 7. ვარეზე | 12 | 5 | 3 | 4 | 13-11 | 18 |
| 8. გროსეტო | 12 | 4 | 5 | 3 | 15-12 | 17 |
| 9. ბარი | 12 | 5 | 2 | 5 | 10-12 | 17 |
| 10. ლივორნო | 12 | 4 | 4 | 4 | 13-9 | 16 |
| 11. ვერონა | 12 | 4 | 4 | 4 | 16-17 | 16 |
| 12. ბრეშია | 12 | 4 | 4 | 4 | 12-15 | 16 |
| 13. კროტონე | 12 | 4 | 4 | 4 | 13-14 | 15 |
| 14. ჩიტადელა | 12 | 4 | 2 | 6 | 14-18 | 14 |
| 15. ნოჩერინა | 12 | 3 | 4 | 5 | 18-18 | 13 |
| 16. მოდენა | 12 | 3 | 4 | 5 | 11-17 | 13 |
| 17. გუბიო | 12 | 2 | 5 | 5 | 12-22 | 11 |
| 18. იუვე სტაბია | 12 | 5 | 1 | 6 | 14-17 | 10 |
| 19. ვიჩენცა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-19 | 10 |
| 20. ალბინოლეფე | 12 | 3 | 1 | 8 | 16-27 | 10 |
| 21. ემპოლი | 12 | 2 | 2 | 8 | 15-23 | 8 |
| 22. ასკოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 14-21 | -1 |

შენიშვნა: ასკოლი - 10, იუვე სტაბია - 6 ქულა, კროტონე - 1 ქულა.

ბომბარდირები: 8 - იმობილე (პესკარა); 7 - ტავანო (ემპოლი), კოკო (ალბინოლეფე), სანსოვინი (პესკარა);

## ლეგა პრო 1/A

კომო-ტრიტიუმი 1:2, ფოჯა-აველინო 1:1, ლუმეცანე-ვიარეჯო 1:0, მონცა-სპალ 3:1, პრო ვერჩელი-ფოლინო 0:1, რეჯანა-პიზა 1:0, სორენტო-კარპი 2:1, ტერნანა-პავია 2:2, ბენევენტო-ტარანტო;

## ლეგა პრო 1 B

ტრაპანი-ფროზინონე 2:2, ბარლეტა-ფერალპიზალო 0:1, ბასანო-სირაკუზა 1:2, კრემონეზე-ლანჩანო 2:0, ლატინა-ანდრია 5:2, პიაჩენცა-კარარეზე 0:3, სპეცია-პორტოგრუარო 0:2, სუდ ტიროლი-პრატო 2:2, ტრიესტინა-პერგოკრემა 3:2..

● *იტალია. სერია A. X ტური*

# FORZA JUVE
## და თავბურთი ოლიმპიკოზე

რომ არა დიდი იტალიური დერბი, ტურის ცენტრალურ პაექრობად „რომა“-“მილანის“ დაპირისპირებას შევრაცხავდით; „კატანია“-“ნაპოლისთან“ ერთად, სწორედ ამ მატჩმა გახსნა სერია A-ს მორიგი სათამაშო დღე და ჩვენც რომის ოლიმპიურ სტადიონზე განვითარებულ მოვლენებს გადავავლოთ თვალი...

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ შეხვედრა არც თუ მაღალ ტემპში წარიმართა, თუმცა მიუხედავად ამისა, საკმაოდ კარგი საყურებელი გამოდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა ხუთი გოლი იხილეს. საინტერესოა, რომ ხუთიდან ოთხი თავური დარტყმით გავიდა და შესაბამისად, გოლები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ანგარიში **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შეხვედრის სტარტზევე გახსნა, რომელიც **ინაციო აბატეს** ჩაწოდებულს გამოეხმაურა და უზადო დარტყმით რომაელთა კიპერი უშანსოდ დატოვა, 0:1. დედაქალაქელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებული გოლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ტაიმის შუაწელს საპასუხო გაიტანეს - მორიგი ჩაწოდება და ამჯერად **ნიკოლას ბურდისომ** გამოიჩინა თავი, 1:1. ამ ეპიზოდიდან ორი წუთი არ იყო გასული, რომ დაახლოებით ანალოგიური სცენარი მასპინძელთა კართან განვითარდა - ისევ ჩაწოდება და ამჯერად უკვე **ალესანდრო ნესტაა** უზადო, რომელიც მცველებმა აბსოლუტურად უმეთვალყურეოდ დატოვეს, 1:2.

მეორე ტაიმში მილანელთა უპირატესობა გამოიკვეთა და ნათელი გახდა, რომ მასპინძლებს ძალიან გაუჭირდებოდათ შეხვედრის გადარჩენა. მით უმეტეს, შესანიშნავად ირჯებოდა იბრაჰიმოვიჩი, რომელმაც თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კიდევ ერთი თავური დაურტყა **მარტენ სტეკელენბურგს** და კიდევ ერთხელ დაამწუხრა „ოლიმპიკოზე“ შეკრებილი გულშემატკივრები, 1:3. აღსანიშნავია, რომ ზლატანმა ნახტომის გარეშე, თავის ერთი მოძრაობით შეუცვალა ბურთს მიმართულება და მიუხედავად ამისა, დარტყმა საკმაოდ ძლიერი გამოვიდა. შეხვედრის დასრულებამდე სამიოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც რომაელებმა მატჩში ინტრიგა დააბრუნეს - **ერიკ ლამელას** ძლიერი დარტყმის შემდეგ, **კრისტიან აბიატიმ** ბურთი უკუაგდო, დამატებაზე კი ყველას **ბოიან კრკიჩმა** დაასწრო და 2:3... რომაელები შეეცადნენ მატჩის გადარჩენას, მაგრამ არც დრო ეყოთ, არც ძალა და აღარც საშემსრულებლო ოსტატობა - საბოლოოდ, „მილანის“ მორიგი და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან, თანაც გასვლაზე.

ნამატჩევს **ლუის ენრიკემ** მარცხის გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო: *„შეხვედრა ჯერ კიდევ ახალი დაწყებული იყო, როდესაც მივხვდი, რომ გამარჯვების შანსი პრაქტიკულად არ გვქონდა. ასეთ მატჩებში მოგებას სულ სხვა გამოცდილება სჭირდება, რომელიც ჩვენგან განსხვავებით, „მილანს“ ძალიან დიდი აქვს. „რომა“ ახალგაზრდული გუნდია, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში და უნდა გავაცნობიეროთ, რომ ევროპული ფეხბურთის გრანდებთან ჭიდილი დღეს ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა წინ დიდი გეგმები გვაქვს და მინდა, რომ გულშემატკივრებს ჩვენი სჯეროდეთ. მარცხზე პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ და ვპირდები ტიფოზებს, რომ მოვა დრო და ისინი სულ სხვა „რომას“ იხილავენ“.*

აქვე, სიტყვა „მილანის“ მთავარ მწვრთნელს, **მასიმილიანო ალეგრის** გადავცეთ: *„სკეპტიკოსებს პასუხი გავეცით და ყველას დავანახვეთ, რომ „მილანი“ კრიზისში არ არის. პირიქით, ჩვენ ვპროგრესირებთ და მატჩიდან მატჩამდე უკეთესად გამოვიყურებით. საოცარი შეხვედრა ჩაატარა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, რომელმაც პროფესიონალიზმის უმაღლესი დონე გამოავლინა. არ შემიძლია კრისტიან აბიატი არ გამოვყო, რომელმაც ყველაზე საჭირო მომენტში რამდენჯერმე იხსნა კარი გოლისგან. მადლობა შეგირდებს თავდადებული თამაშისთვის“.*

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მატჩის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს **ანტონიო კასანო**, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად შეუძლოდ გახდა. ანტონიომ სისუსტე იგრძნო, არ შეიმჩნია, თუმცა როდესაც გადაადგილება და ლაპარაკიც კი გაუჭირდა ექიმებს მიმართა, რომლებმაც სასწრაფო კლინიკაში გადაიყვანეს. ჯერჯერობით უცნობია რა დაემართა კასანოს, თუმცა უახლოეს პერიოდში გაირკვევა და ნამდვილად არ გამოგაპარებთ.

დადგა დრო დიდ იტალიურ დერბიზე გადავიდეთ, მატჩი, რომელიც აპენინური ფეხბურთის გულშემატკივრებს ნამდვილად არ დატოვებდა გულგრილს. განსაკუთრებით სანახაობრივი პირველი ტაიმი გამოდგა, რომელიც გუნდებმა უმაღლეს ტემპში წარმართეს და სამი ერთობ ეფექტური გოლიც გაიტანეს, რომელთაგან ორი სტუმრებზე მოდის, ერთი კი მასპინძლებზე. საბოლოოდ, შეხვედრა ასეც დასრულდა და „იუვენტუსმა“ უპრინციპულესი მეტოქე მისსავე მოედანზე მინიმალური სხვაობით დაამარცხა, 2:1.

შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც ტურინელებმა კონტრშეტევა განახორციელეს - **ალესანდრო მატრიმ** კარგად მოძებნა **შტეფან ლიხტშტაინერი**, რომელიც მარჯვენა ფრთიდან ჩაერთო შეტევაში; შვეიცარიელმა პაუზა დაიჭირა, საჯარიმოში შეჭრილ იმავე მატრის დაუბრუნა ბურთი, რომლის დარტყმაც **ლუკა კასტელაციმ** მოიგერია, თუმცა დამატებაზე პირველი **მირკო ვუჩინიჩი** გაჩნდა და გახსნა კიდეც ანგარიში, 0:1. ტაიმის შუაწელს „ინტერმა“ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, რაც მთლიანად **დუგლას მაიკონის** დამსახურებაა - ბრაზილიელი ჩვეულად ჩაერთო შეტევაში და მახვილი კუთხიდან უძლიერესად დაარტყა **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის მიმართულებით, ბურთი **ლეონარდო ბონუჩის** მოხვდა, მცირედით შეიცვალა მიმართულება და ისე გაეხვა ტურინელთა კარის ბადეში, 1:1. თუმცა ძალიან მალე სტუმრებმა სტატუს-კვო აღადგინეს - მარტივი, ორსვლიანი კომბინაციის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე **კლაუდიო მარკიზიო** გავიდა, იუველირის სიზუსტით გადაგზავნა ბურთი კასტელაცის კარის ჩარჩოში და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 1:2. მეორე ტაიმში თანაბარი თამაში იყო და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურინელებმა მთლიანობაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

მატჩის შემდეგ მთავარმა მწვრთნელებმა სტანდარტული კომენტარები გააკეთეს: **კლაუდიო რანიერიმ** უკმაყოფილება გამოხატა შედეგით, თუმცა დასძინა, რომ მისი გუნდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა; რაც შეეხება **ანტონიო კონტეს**, აბსოლუტურად ყველაფრით კმაყოფილი იყო და ეს არც ჟურნალისტებთან საუბრისას დაუმალავს. უფრო საინტერესო **მასიმო მორატის** ქმედება გახლდათ, რომელმაც საფინალო სასტვენის შემდეგ ჟურნალისტებს ისე ჩაუქროლა, რომ მათთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს; არადა, „ინტერის“ პრეზიდენტი მედიასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობით გამოირჩევა - კიდევ უფრო საინტერესო გახლდათ **მაურო სარატეს** საქციელი, რომელიც იმდენად გაბრაზდა შესვენებისას შეცვლის გამო, რომ „ჯუზეპე მეაცა“ ანტრაქტის დასრულებამდე დატოვა. უკმაყოფილო გახლდათ **დიეგო მილიტოც**, რომელმაც მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა, არგენტინელმა ჟურნალისტებს ირონიულად მიუგო: *„როგორ შევაფასებდი შეხვედრას? - კიდევ ერთხელ ვითამაშეთ საოცრად კარგად, მაგრამ სამწუხაროდ ისევ დავმარცხდით“.*



კვირის მატჩებიდან „უდინეზეს“ „პალერმოზე“ გამარჯვება უნდა აღვნიშნოთ, რის შემდეგაც ფრიულური კლუბი კვლავაც სათოფეზე დაასჯდა ჩემპიონატის ლიდერს. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი და გამარჯვების გოლი **ანტონიო დი ნატალემ** გაიტანა, რომელმაც წინა ტურის შეხვედრა ნეაპოლში ტრავმის გამო გამოტოვა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ X ტური საბედისწერო გამოდგა „ჩეზენას“ უკვე ყოფილი მწვრთნელის, **მარკო ჯამპაოლოსთვის;** „ბიანკონერიმ“ მორიგი მარცხი განიცადა, ამჯერად „პარმასთან“ წააგო უშანსოდ, რაც მოთმინების ბოლო წვეთი აღმოჩნდა „ჩეზენას“ პრეზიდენტისთვის და მთავარ მწვრთნელს კარისკენ მიუთითა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ ჩაიბარებს სატურნირო ცხრილში უკანასკნელ პოზიციაზე მყოფ გუნდს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## მომდევნო ტური

**5 ნოემბერი:** პალერმო-ბოლონია, ნოვარა-რომა.

**6 ნოემბერი:** ჯენოა-ინტერი, ლაციო-პარმა, მილანი-კატანია, უდინეზე-სიენა, ატალანტა-კალიარი, ჩეზენა-ლეჩე, კიევო-ფიორენტინა, ნაპოლი-იუვენტუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევერტონი-მანჩესტერ იუნ. 0:1

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – კოულმენი, ფელაინი, როდუელი, ბელიალეტდინოვი (45. ბარკლი) – ოსმანი (76. ველიოსი) – საა (84. გუეიე).

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – ფ. ჯონსი, ვიდიჩი, ევანსი, ევრა – უელბეკი (73. ვალენსია), კლევერლი (57. ნანი), ფლეტჩერი, პარკი – რუნი, ერნანდესი (67. ბერბატოვი).

**გოლი:** 0:1 ერნანდესი (19)

**გაფრთხილება:** როდუელი, კოულმენი, ფელაინი (ევერტონი)

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 13-10; **კარში დარტყმა:** 19-7 (8-4); **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 35 494

## ჩელსი-არსენალი 3:5

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა, ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული – რამირესი (72. ლუკაკუ), მიკელი (76. მეირელეში), ლემპარდი – სტარიჯი (62. მალუდა), მატა, ტორესი.

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი – ჯურუ (75. ჯენკინსონი), კოშელნი, მერტეზაკერი, სანტოსი – უოლკოტი (79. როსიცკი), სონგი, არტეტა, ჟერვინიო (88. ვერმაელენი) – რემსი, ვან პერსი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (14), 1:1 ვან პერსი (36), 2:1 ტერი (45), 2:2 სანტოსი (49), 2:3 უოლკოტი (56), 3:3 მატა (81), 3:4 ვან პერსი (85), 3:5 ვან პერსი (90)

**გაფრთხილება:** ივანოვიჩი — შჩესნი, ვან პერსი, სონგი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 21-13; **კარში დარტყმა:** 8-12 (6-7); **თამაშგარე:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 41 801

## მანჩესტერ სიტი-ვულვერჰ. 3:1

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კოლაროვი – ნასრი (71. ბალოტელი), ბერი, ი. ტურე, სილვა – აგუერო (76. სავიჩი), ჯეკო (63. ა. ჯონსონი).

**ვულვერჰემპტონი** (4-5-1): ჰენესი – სტირმენი, ბერა, რ. ჯონსონი, უორდი – ედუარდსი (67. ჰემილი), ჰენრი, ო'ჰარა, გუედიოურა (85. ებანკს-ბლეიკი), ჰანტი (85. ჯერვისი) - დოილი.

**გოლები:** 1:0 ჯეკო (52), 2:0 კოლაროვი (67), 2:1 ჰანტი (75-პენ), 3:1 ა. ჯონსონი (90)

**გაფრთხილება:** ბერი, ჯეკო – დოილი

**გაძევება:** კომპანი (74)

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-6; **კარში დარტყმა:** 19-13 (7-5); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 47 142

## ნორვიჩი-ბლექბერნი 3:3

**ნორვიჩი** (4-4-2): რუდი – ნაფტონი, ბერნეტი, მარტინი, ტიერნი – ბენეტი (68. ჰოლტი), ბ. ჯონსონი, ფოქსი (75. კროფტი), პილკინგტონი (75. ჯეკსონი) – ჰულაჰანი, მორისონი.

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – ლოუი, ჟივე, სამბა, ოლსონი – როჩინა (69. დანი), პედერსენი, ნზონზი, ჰოილეტი (81. პეტროვიჩი) – ფორმიცა, იაკუბუ (70. ფორმიკა).

**გოლები:** 0:1 ჰოილეტი (45), 1:1 მორისონი (53), 1:2 იაკუბუ (62), 1:3 სამბა (64), 2:3 ბ. ჯონსონი (83), 3:3 ჰოლტი (90-პენ)

**გაფრთხილება:** ბენეტი, ბერნეტი - ლოუი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 11-8 (5-4); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 26 440

## სანდერლენდი-ასტონ ვილა 2:2

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე (53. ვესტვუდი) – ო'ში (36. ბერდსლი), ბრაუნი, ტერნერი, რიჩარდსონი – სესენიონი, კოლბეკი, ვუგანი (82. მეილერი), ლარსონი – უიკჰემი, ბენდტნერი.

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – ჰატონი, დანი, კოლინზი, უორნოკი – ნ'ზოგბია (88. ოლბრაიტონი), ჰერდი, ს. პეტროვი, აგბონლაჰორი – ჰესკი, ბენტი

**გოლები:** 0:1 ს. პეტროვი (20), 1:1 უიკჰემი (38), 1:2 დანი (85), 2:2 სესენიონი (89)

**გაფრთხილება:** ბერდსლი – აგბონლაჰორი, უორნოკი, დანი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 8-14; **კარში დარტყმა:** 16-14 (5-3); **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 37 062

## სუონსი-ბოლტონი 3:1

**სუონსი** (4-4-2): ვორმი – რანგელი, უილიამსი, მონკი, ნ. ტეილორი – დაიერი (90. მური), ბრიტონი, გოვერი, სინკლერი – ალენი, გრემი.

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – სტეინსონი, უიტერი, გ. კეჰილი, გარდნერი – იგლზი, რიო-კოკერი, მ. დევისი, მ. პეტროვი (52. რობინსონი) – პრეტლი (76. კაკუტა), ნგოგი (76. კლასნიჩი).

**გოლები:** 1:0 ალენი (49), 2:0 სინკლერი (57-პენ), 2:1 გრემი (73.ს.კ.), 3:1 გრემი (90)

**გაფრთხილება:** ბრიტონი, რანგელი, გოვერი – პრეტლი, გარდნერი, მ. დევისი

**გაძევება:** გარდნერი (48)

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 9-14; **კარში დარტყმა:** 23-7 (8-3); **თამაშგარე:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 19 477

## უიგანი-ფულჰემი 0:2

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – ბოისი (71. სტამი), ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა – უოტსონი, დ. ჯონსი, დიამე (13. მაკარტური) – მოზესი, კრუსატი (64. დი სანტო), როდალეგა.

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – გრიგერა, ჰანგელანდი, ბეირდი, რიისე – დემბელე (90. დაფი), მერფი (71. ეტუჰუ), სიდუელი, დემსი – ე. ჯონსონი, ზამორა (81. რუისი).

**გოლები:** 0:1 დემპსი (42), 0:2 დემბელე (87)

**გაფრთხილება:** კოლდუელი, ალკარასი — გრიგერა, დემბელე, ჰანგელანდი, ეტუჰუ, დაფი

**კუთხური:** 9-0; **ჯარიმა:** 18-13; **კარში დარტყმა:** 19-6 (6-3); **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 15 796

## ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული 0:2

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მაკოლი, ჯონსი – ბრანტი, მულუმბუ (63. დორანსი), შარნერი (58. ჯ. მორისონი), ტომასი – ტჩოი (71. კოქსი), ოდემვინგე.

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – ჰენდერსონი, ადამი, ლუკასი, დაუნინგი – სუარესი (82. ბელამი), ქეროლი.

**გოლები:** 0:1 ადამი (9-პენ), 0:2 ქეროლი (45)

**გაფრთხილება:** ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი)

**კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 12-10; **კარში დარტყმა:** 13-18 (1-4); **თამაშგარე:** 3-8; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 25 522

## ტოტენჰემი-ქუინზ პარკი 3:1

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, ლ. კინგი, ქაბული, ასუ-ეკოტო – ლენონი, მოდრიჩი, პარკერი (87. სანდრო), ბეილი – ვან დერ ვაარტი, ადებაიორი

**ქუინზ პარკი** (4-3-3): კენი – ლ. იანგი, ა. ფერდინანდი, ჰოლი (10. გებიდონი), ტრაორე – ბარტონი, დერი (45. მეკი), ფაურლინი – ტაარაბტი (45), რაიტ-ფილიპსი, ჰელგიუსონი

**გოლები:** 1:0 ბეილი (20), 2:0 ვან დერ ვაარტი (33), 2:1 ბოთროიდი (62), 3:1 ბეილი (72)

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 17-15; **კარში დარტყმა:** 18-6 (10-2); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 36 147

სტოკი-ნიუკასლი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 10 | 9 | 1 | 0 | 36-8 | 28 |
| 2. იუნაიტედი | 10 | 7 | 2 | 1 | 27-12 | 23 |
| 3. ჩელსი | 10 | 6 | 1 | 3 | 23-15 | 19 |
| 4. ნიუკასლი | 9 | 5 | 4 | 0 | 12-6 | 19 |
| 5. ტოტენჰემი | 9 | 6 | 1 | 2 | 18-14 | 19 |
| 6. ლივერპული | 10 | 5 | 3 | 2 | 14-10 | 18 |
| 7. არსენალი | 10 | 5 | 1 | 4 | 20-21 | 16 |
| 8. ნორვიჩი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-15 | 13 |
| 9. ასტონ ვილა | 10 | 2 | 6 | 2 | 13-13 | 12 |
| 10. სუონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-15 | 12 |
| 11. სტოკ სიტი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-11 | 12 |
| 12. ქუინზ პარკი | 10 | 3 | 3 | 4 | 8-17 | 12 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| 14. სანდერლენდი | 10 | 2 | 4 | 4 | 14-12 | 10 |
| 15. ფულჰემი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-12 | 10 |
| 16. ევერტონი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 17. ვულვზი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 18. ბლექბერნი | 10 | 1 | 3 | 6 | 13-23 | 6 |
| 19. ბოლტონი | 10 | 2 | 0 | 8 | 13-27 | 6 |
| 20. უიგანი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 10 — ვან პერსი (არსენალი); 9 — აგუერო (სიტი), ჯეკო (სიტი), რუნი (იუნაიტედი); 6 - ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 5 — ბა (ნიუკასლი), ბალოტელი (სიტი), ლემპარდი (ჩელსი).

## ინგლისის ჩემპიონშიპი. XIV ტური

**ბარნსლი-ბრისტოლი 1:2**

გოლები: 0:1 ადომა (14), 1:1 კ. დევისი (74), 1:2 მეინარდი (90)

**ბირმინგემი-ბრაიტონი 0:0**

**კრისტალ პალასი-რედინგი 0:0**

**დერბი-პორტსმუთი 3:1**

გოლები: 1:0 ბრაისონი (3), 2:0 მექუაირი (14), 3:0 უორდი (33), 3:1 პირსი (79)

**დონკასტერი-ქოვენთრი 1:1**

გოლები: 0:1 კლინგანი (31), 1:1 ჰეიტერი (60)

**მილუოლი-იფსვიჩი 4:1**

გოლები: 1:0 სომპსონი (6), 2:0 ჰენდერსონი (9), 2:1 ბალარდი (66), 3:1 ფინი (73), 4:1 სიმპსონი (75)

**ნოტინგემი-ჰალი 0:1**

გოლები: 0:1 მაკლინი (74)

**საუთჰემპტონი-მიდლსბრო 3:0**

გოლები: 1:0 დო პრადო (15), 2:0 დო პრადო (29), 3:0 კონოლი (80)

**უოტფორდი-პიტერბორო 3:2**

გოლები: 1:0 იეტსი (5), 1:1 ფრეკლინგტონი (15), 2:1 სორდელი (31-პენ), 3:1 სორდელი (31), 3:2 სინკლერი (39)

**ვესტ ჰემი-ლესტერი 3:2**

გოლები: 1:0 ბედლოკი (21), 2:0 ფობერი (22), 2:1 კინგი (58), 2:2 კინგი (74), 3:2 ბედლოკი (71)

**ბარნლი-ბლექპული 3:1**

გოლები: 1:0 ოსტინი (20), 2:0 უოლესი (29), 3:0 ბერტლი (79), 3:1 შელვი (90)

**ლიდსი-კარდიფი 1:1**

გოლები: 0:1 მეისონი (17), 1:1 სნოდგრასი (73)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 14 | 9 | 3 | 2 | 31-14 | 30 |
| 2. ვესტ ჰემი | 14 | 8 | 3 | 3 | 26-13 | 27 |
| 3. კრ. პალასი | 14 | 7 | 3 | 4 | 18-12 | 24 |
| 4. მიდლსბრო | 14 | 6 | 6 | 2 | 16-11 | 24 |
| 5. დერბი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-17 | 24 |
| 6. ჰალი | 13 | 7 | 3 | 3 | 13-11 | 24 |
| 7. ლიდსი | 14 | 6 | 4 | 4 | 25-20 | 22 |
| 8. კარდიფი | 14 | 5 | 6 | 3 | 24-20 | 21 |
| 9. ბირმინგემი | 12 | 6 | 3 | 3 | 18-13 | 21 |
| 10. ბრაიტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| 11. იფსვიჩი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-24 | 20 |
| 12. პიტერბორო | 14 | 6 | 1 | 7 | 28-25 | 19 |
| 13. ბლექპული | 14 | 5 | 4 | 5 | 20-19 | 19 |
| 14. ლესტერი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-17 | 19 |
| 15. ბარნლი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 16. რედინგი | 14 | 4 | 6 | 4 | 15-14 | 18 |
| 17. მილუოლი | 14 | 3 | 6 | 5 | 16-17 | 15 |
| 18. პორტსმუთი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-18 | 15 |
| 19. ბარნსლი | 14 | 3 | 6 | 5 | 15-18 | 15 |
| 20. ნოტინგემი | 14 | 4 | 2 | 8 | 14-24 | 14 |
| 21. უოტფორდი | 14 | 3 | 4 | 7 | 14-25 | 13 |
| 22. ქოვენთრი | 14 | 2 | 6 | 6 | 11-17 | 12 |
| 23. დონკასტერი | 14 | 2 | 3 | 9 | 9-23 | 9 |
| 24. ბრისტოლი | 14 | 2 | 3 | 9 | 11-26 | 9 |

**ბომბარდირები:** 9 – ლამბერტი (საუთჰემპტონი), მაკკორმაკი (ლიდსი); 8 – ოსტინი (ბარნლი), ვუდი (ბირმინგემი).

## პირველი ლიგა. XVI ტური

ბრენტფორდი-ჩესტერფილდი 2:1, ბერი-სტივენიჯი 1:2, კერლისლი-ოლდჰემი 3:3, კოლჩესტერი-ნოთს ქაუნთი 4:2, ჰარტლპული-ჩარლტონი 0:4, პრესტონი-ბურნმუთი 1:3, როჩდეილი-ლეიტონი 0:2, სკანთორპი-ტრანმერი 4:2, შეფილდ იუნაიტედი-ექსეტერი 4:4, უოლსოლი-მილტონი 0:2, უიკომბი-შეფილდ უენსდი 1:2, იეოვილი-ჰადერსფილდი 0:1.

## მეორე ლიგა. XVI ტური

ოლდერშოტი-ქრუ 3:1, ბერნეტი-ბარტონი 3:6, ბრისტოლი-დაგენჰემი 2:0, ჩელტენჰემი-პლიმუთი 2:1, ქროული-ეკრინგტონი 1:1, მაკლსფილდი-საუთენდი 0:2, მორკეიმბი-ჯილინგემი 2:1, ნორთემპტონი-როტერჰემი 1:1, ოქსფორდი-პორტ ველი 2:1, შრუსბერი-უიმბლდონი 0:0, სუინდონი-ბრედფორდი 0:0, თორგუელი-ჰერეფორდი 2:0.

## ქარლინგის თასი. 1/4 ფინალი. კენჭისყრა

არსენალი-მანჩესტერ სიტი; ჩელსი-ლივერპული; მანჩესტერ იუნაიტედი-კრისტალ პალასი; კარდიფი-ბლექბერნი.

● ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური

# ჩელსის კოშმარი გრძელდება

**ჯონ ტერისა** და „ჩელსის" კოშმარული კვირა კაპიტნის ფეხის დაცდენითა და არსენალელი **რობინ ვან პერსის** ჰეთ-თრიკით დასრულდა — „მეთოფეებმა" „სტემფორდ ბრიჯზე" გამართულ დაუვიწყარ დაპირისპირებაში 5:3 გაიმარჯვეს. ტერის, მოგეხსენებათ, მთელი კვირის განმავლობაში „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ფეხბურთელის, **ანტონ ფერდინანდის** ამბით უჭამდნენ ტვინს — მის რასობრივი ნიშნით შეურაცხყოფაში სდებდნენ ბრალს. და აი, შაბათის მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ, იღბალი, თითქოსდა მისთვის გალიმებას აპირებდა— ტერის გოლის წყალობით „ჩელსი" 2:1-ს იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ყველაფერი ისევ ყირაზე დადგა: „არსენალმა" ძალ-ღონე მოიკრიბა და 3:2 დაწინაურდა. ამას კი კიდევ უფრო მწარე ამბავი მოჰყვა: **ხუან მატამ** გაქვითა, ოღონდ „ჩელსის" აღარ ეშველა. 85-ე წუთზე ტერის ფეხი დაუცდა, **ფლორან მალუდას** მიერ ცუდად, მაგრამ მისთვის დაგორებული ბურთი ვერ მიიღო, რითაც ვან პერსიმ ისარგებლა, მეკარე **პეტრ ჩეხთან** პირისპირ გავიდა და სტუმრები ერთხელაც დააწინაურა. შემდეგ კი ვან პერსიმ თავისი მესამე გოლიც შეაგდო და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

„არსენალისთვის" ეს გახლდათ პრემიერლიგაში აპრილის შემდეგ პირველი გამარჯვება სტუმრად. რაც შეეხება „ჩელსის", ჩახედეთ ცხრილს, ის ლიდერ „მანჩესტერ სიტის" უკვე ძალიან ჩამორჩა.

ბედნიერმა ვან პერსიმ მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა: *„ჩვენთვის ეს იყო დიდი, დიდი გამარჯვება. მას განსაკუთრებული სურნელი აქვს, რადგან ჩვენ, ყველამ ერთად, მთელი გულით ვიბრძოლეთ და მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ. ტერის ეპიზოდმა ძალიან გამაოცა. მხოლოდ ჩანაწერში ვნახე, რომ ფეხი დაცდენია. იმ წუთას კი, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ ჩეხთან პირისპირ გავდივარ. რამდენიმე ვარიანტი მოვიფიქრე, მაგრამ საბოლოოდ, ყველაზე ნაღდი და მარტივი შევასრულე".*

ლიდერმა „მანჩესტერ სიტიმ" კი იმავე დღეს, საკუთარ „ეტიჰედ სთედიუმზე", „ვულვერჰემპტონი" დაამარცხა. ერთი ეგაა, **ვენსან კომპანი** გაუგდეს მოედნიდან. უპირატესობას იმთავითვე ისტლენდელები ფლობდნენ, ოღონდ 24 წლის უელსელი მეკარის, **უეინ ჰენესის** შესანიშნავი თამაშის წყალობით „ვულვზი" მედგრად იდგა. თუმცა, მეორე ტაიმის დასაწყისში სწორედ ჰენესიმ დაუშვა დასანანი შეცდომა — უნდოდა ბურთი მოედნის შუისკენ დაერტყა, მაგრამ წამოპარული **სერხიო აგუერო** დროულად ვერ შეამჩნია, რაც იმით დასრულდა, რომ არგენტინელმა სრულიად დაუცველი კარის წინ **ედინ ჯეკო** მოძებნა, რომელმაც ასეთი პოზიციიდან, რასაკვირველია, შეაგდო. შემდეგ ჰენესიმ **დავიდ სილვას** დარტყმული მოიგერია, მაგრამ მის მცველებს **ალექსანდრ კოლაროვმა** დაასწრო და ანგარიში 2:0 გახადა. ცოტა ხნის მერე „ვულვზმა" ანგარიში შეამცირა - ზემოხსენებულმა კომპანიმ საჯარიმოში **კევინ დოილი** წააქცია, რაც „ბოლო იმედის ჯარიმა" გახლდათ. ბელგიელი გააძევეს, **სტივენ ჰანტმა** კი თერთმეტი მეტრიდან შეაგდო, თუმცა ამან მასპინძელთა უპირატესობას ვერაფერი დააკლო - მსაჯის წამატებულ წუთებში **ადამ ჯონსონმა** მესამედაც დალაშქრა „მგლების" კარი. ცნობისათვის: საბრალო „ვულვზმა" პრემიერლიგის ბოლო რვა შეხვედრიდან ერთიც კი ვერ მოიგო.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ერთი კვირის წინ თავს დატეხილ კოშმარს („სიტისთან" 6:1 დამარცხებას), როგორც ჩანს, თანდათან დაივიწყებს — ლივერპულში „ევერტონს" 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანა. და მაინც, ეს არ იყო საკუთარ თავში ბოლომდე დარწმუნებული გუნდის თამაში — მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ გოლის შეგდება, მაგრამ ერთხელ **ლეიტონ ბეინესმა** ძელს გაარტყა ბურთი, მეორედ კი **ჯეკ როდუელს დავიდ დე ხეამ** დიდებულად აუღო. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე ტაიმის მიწურულს „ევერტონი" ბურთს სრულად აკონტროლებდა, მაგრამ სერიოზული ნაკლიც ჰქონდა, თამაშს მეტოქის საჯარიმოსთან ველარ ამწვავებდა.

*„მძიმე თამაში გამოვიდა, მაგრამ ასეთსაც ველოდით — თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის" მწვრთნელმა, სერ* **ალექს ფერგიუსონმა**, *— ყოველთვის, როდესაც „ევერტონთან" სტუმრად ჩამოვდივართ, თავისი მაყურებლის მიერ ფრთაშესხმულ გუნდთან გვიწევს თამაში. თუმცა იმაში, რაც მთავარია, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ჩვენ ვაჯობეთ. შესვენების შემდეგ მომეწონა თავს როგორ ვიცავდით, თუმცა ყველაზე მეტად შედეგმა მასიამოვნა".*

ამავე პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ **კრის სმოლინგს** ფეხი აქვს გაბზარული და ერთი თვე ველარ ითამაშებს.

„ევერტონს" კი ძალიან ცუდი სტატისტიკა აქვს: მერსისაიდელებმა, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ბოლო ექვსი შეხვედრიდან ხუთი წააგეს.

მერსისაიდელთა მეორე გუნდმა, „ლივერპულმა" სტუმრად მოუგო „ვესტ ბრომვიჩს" —**ენდი ქეროლმა** და **ლუის სუარესმა** თავდასხმაში კარგად შეთამაშებული წყვილის ახალი ნიშნები გამოამჟღავნეს. **ჩარლი ადამის** მიერ პენალტით გატანილისა და პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში ქეროლის მესამე გოლის წყალობით, „წითლები" ცხრილში ოთხეულის სიახლოვეს მოკალათდნენ. ცნობისათვის: პენალტიც სუარესმა მოინადირა და ქეროლსაც მან გაუწია ასისტენტობა.

ქეროლმა თქვა: *„ლუისი ფანტასტიკური ფეხბურთელია. ის ყველა პარტნიორს უქმნის საგოლე მდგომარეობას, ხოლო, როდესაც თვითონ ჩაუვარდება ხელსაყრელი მომენტი, შანსს ხელიდან არ უშვებს. რაც შეეხება ჩემს გოლს, რამდენიმე შეხვედრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და თამაში მონატრებული მქონდა. ასეთ დროს, მოედანზე დაბრუნება და კარში ბურთის შეგდება ყოველთვის სასიამოვნოა".*

ექვს-გოლიანი აღმოჩნდა „ნორვიჩ სიტისა" და „ბლექბერნის" შეხვედრა — მეტოქეებმა სამ-სამი გაუტანეს ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები 3:1-ს აგებდნენ და ბოლო ათ წუთში გაათანაბრეს.

„სანდერლენდმა" და „ასტონ ვილამ" თითოთი ნაკლები, ორ-ორი გაიტანეს ერთმანეთის კარში. „ვილა" სტუმარი იყო და 85-ე წუთზე დაწინაურდა, მაგრამ „შავი კატების" 27 წლის ბენინელმა ნახევარმცველმა, **სტეფან სესენიონმა** 89-ეზე გაქვითა.

უელსურმა „სუონსიმ" მეორე ტაიმის მეტი წილის განმავლობაში ათი კაცით დარჩენილ „ბოლტონს" სამი გოლი გაუტანა და შინ დაუმარცხებელია. შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი სწორედ **რიკარდო გარდნერის** გაძევება გახლდათ. მან 48-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

„უიგანმა" „ფულჰემთან" შინ 0:2 წააგო. ეს ამ გუნდის ზედიზედ მერვე მარცხი გახლდათ.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**




გადამწყვეტი მომენტი ლონდონურ დერბიში: ეს-ეს არის, ვან პერსი ჩეხს გასცდა

### მომდევნო ტური

5 ნოემბერი: ნიუკასლი-ევერტონი, არსენალი-ვესტ ბრომვიჩი, ასტონ ვილა-ნორვიჩი, ბლექბერნი-ჩელსი, ლივერპული-სუონსი, მანჩესტერ იუნაიტედი-სანდერლენდი, ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი.

6 ნოემბერი: ვულვერჰემპტონი-უიგანი, ბოლტონი-სტოკი, ფულჰემი-ტოტენჰემი.

## შოტლანდია. XIII ტური

**აბერდინი-რეინჯერსი 1:2**

გოლები: 0:1 ლეფერტი (58), 0:2 იელავიჩი (70-პენ), 1:2

**დანფერმლაინი-დანდი 1:4**

გოლები: 0:1 დიქსონი (13), 0:2 დალა ვალე (18), 1:2 კირკი (55), 1:3 რასელი (75), 1:4 მაკაისტივენი (82)

**ჰართსი-კილმარნოკი 0:1**

გოლები: შილსი (55-პენ)

**ინვერნესი-მოზერუელი 2:3**

გოლები: 1:0 დ. დევისი (4), 1:1 ჰაჩისონი (39), 2:1 შინი (76), 2:2 ლესლი (77), 2:3 ჰეიტლი (87)

**სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი 0:1**

გოლები: მაკლინი (81)

**სელტიკი-ჰიბერნიანი 0:0**

# ოლდ ფირმში ჩამორჩენაა

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-13 ტურში „რეინჯერსსა" და „სელტიკს" შორის სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. „რეინჯერსმა" სტუმრად მოუგო „აბერდინს", თუმცა ცუდი ამბავიც შეემთხვა: ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **სტივენ ნეისმითი** პირველ ტაიმში, ისე რომ არავინ შეხებია, წაიქცა და საკაცით გასაყვანი შეიქნა. ექიმების ვარაუდით, მან კოჭი ამოიტრიალა.

„პიტორდიზე" მოპოვებული გამარჯვების წყალობით „რეინჯერსი" მიმდინარე სეზონში სტუმრად დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

„სელტიკმა" „პარკჰედზე" „ჰიბერნიანთან" უსახური ფეხბურთი ითამაშა, რის შედეგადაც 0:0 გამოუვიდა. **გერი ჰუპერმა** და **ჯეიმს ფორესმა** ძელს გაარტყეს ბურთი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 13 | 11 | 2 | 0 | 27-5 | 35 |
| 2. მოზერუელი | 13 | 8 | 2 | 3 | 17-15 | 26 |
| 3. სელტიკი | 12 | 7 | 2 | 3 | 23-12 | 23 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-11 | 19 |
| 5. ჰართსი | 13 | 5 | 3 | 5 | 13-9 | 18 |
| 6. სტ. მირენი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-13 | 16 |
| 7. კილმარნოკი | 13 | 3 | 6 | 4 | 16-18 | 15 |
| 8. დანდი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-23 | 14 |
| 9. ჰიბერნიანი | 13 | 3 | 4 | 6 | 14-21 | 13 |
| 10. აბერდინი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-16 | 12 |
| 11. დანფერმლაინი | 12 | 2 | 4 | 6 | 13-27 | 10 |
| 12. ინვერნესი | 13 | 2 | 3 | 8 | 13-25 | 9 |

**ბომბარდირები:** 9 – ნეისმითი (რეინჯერსი); 7 — ო'კონორი (ჰიბერნიანი), იელავიჩი (რეინჯერსი);.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი. ლიგა 1. XII ტური



**აიაჩო-ბორდო 0:2**

**გოლები:** 0:1 გუფრანი (25), 0:2 გუფრანი (29)

**ბრესტი-ლორიანი 3:1**

**გოლები:** 1:0 ლ. ტურე (4), 2:0 გრუჟი (35), 3:0 გრუჟი (42. პენ.), 3:1 მანგა (54)

**დიჟონი-მარსელი 2:3**

**გოლები:** 0:1 რემი (1), 0:2 ბენუა შეირუ (11), 1:2 ჟოვიალი (46), 2:2 კორნე (63), 2:3 ა. დიარა (82)

**ევიანი-ოსერი 3:1**

**გოლები:** 1:0 საგბო (15), 2:0 საგბო (42), 3:0 ბარბოსა (69), 3:1 დუდკა (71-პენ.)

**მონპელიე-ნანსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟირუ (61), 2:0 ს. კამარა (74)

**პსჟ-კაენი 4:2**

**გოლები:** 0:1 ოტრო (12), 1:1 ნენე (20. პენ.), 2:1 მენეზი (55), 3:1 ნენე (76. პენ.), 3:2 ვან დამი (82), 4:2 პასტორე (88)
**გაძევება:** ნივე (19. კაენი)

**ლიონი-სენტ ეტიენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბრიანი (81), 2:0 გურკუფი (90)
**გაძევება:** მ. დაბო (52. ლიონი)

**ნიცა-სოშო 1:1**

**გოლები:** 1:0 მულუნგი (30), 1:1 ბუდებუზი (35. პენ.)
**გაძევება:** ჰელებიკი (63. ნიცა)

**ტულუზი-რენი 1:0**

**გოლი:** 1:0 დიდო (27)
**გაძევება:** დევო (55. ტულუზი)

**ვალანსიენი-ლილი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 12 | 9 | 2 | 1 | 25-10 | 29 |
| 2. მონპელიე | 12 | 8 | 2 | 2 | 27-15 | 26 |
| 3. ლილი | 12 | 6 | 5 | 1 | 21-12 | 23 |
| 4. ლიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-13 | 23 |
| 5. ტულუზი | 12 | 6 | 4 | 2 | 13-10 | 22 |
| 6. რენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-15 | 21 |
| 7. ლორიანი | 12 | 4 | 5 | 3 | 13-12 | 17 |
| 8. სენტ ეტიენი | 12 | 4 | 4 | 4 | 11-15 | 16 |
| 9. მარსელი | 12 | 3 | 6 | 3 | 15-14 | 15 |
| 10. კაენი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-19 | 15 |
| 11. სოშო | 12 | 3 | 5 | 4 | 18-24 | 14 |
| 12. ბრესტი | 12 | 1 | 9 | 2 | 12-12 | 12 |
| 13. ოსერი | 12 | 2 | 6 | 4 | 17-18 | 12 |
| 14. ევიანი | 12 | 2 | 6 | 4 | 14-17 | 12 |
| 15. ბორდო | 12 | 2 | 6 | 4 | 14-18 | 12 |
| 16. ნიცა | 12 | 2 | 5 | 5 | 12-12 | 11 |
| 17. დიჟონი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-25 | 11 |
| 18. ვალანსიენი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-13 | 10 |
| 19. ნანსი | 12 | 1 | 5 | 6 | 8-15 | 8 |
| 20. აიაჩო | 12 | 1 | 4 | 7 | 10-24 | 7 |

**ბომბარდირები:** 8 – გამეირო (პსჟ), ჟირუ (მონპელიე), 7 – გომისი (ლიონი)

**შემდეგი ტური**

**6 ნოემბერი:** ლილი-ევიანი, ოსერი-ტულუზი, კაენი-დიჟონი, ლორიანი-აიაჩო, მარსელი-ნიცა, ნანსი-ბრესტი, რენი-ვალანსიენი, სენტ ეტიენი-მონპელიე, სოშო-ლიონი. **7 ნოემბერი:** ბორდო-პსჟ.

## პორტუგალია. ლიგასაგრეში. IX ტური

**პორტუ-ფერეირა 3:0**

**გოლები:** 1:0 მელგარეჟო (45 ს.კ.), 2:0 კლებერი (64), 3:0 ჟოაო მოუტინიო (84)

**აკადემიკა-ბრაგა 0:0**

**ბენფიკა-ოლანენშე 2:1**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (1), 2:0 როდრიგო (13), 2:1 ვილსონ ედუარდო (48)

**ნასიონალი-ბეირა მარი 2:1**

**გოლები:** 1:0 მატეუში (19), 2:0 რონდონი (24), 2:1 დუგლასი (28)
**გაძევება:** ფელიპე (38. ნასიონალი), ნუნუ კოელიო (78. ბეირა მარი)

**ლეირია-სეტუბალი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბრუნო მორაეში (35-პენ), 2:0 დიანინი (44)

**გიმარაეში-რიუ ავე 2:1**

**გოლები:** 1:0 ნდიაე (8), 1:1 ტომაში (45), 2:1 ასისი (90)
**გაძევება:** გომეში (86. რიუ ავე)

**ფეირენშე-სპორტინგი 0:2**

**გოლები:** 0:1 ვან ვოლფსვინკელი (64), 0:2 სხაარსი (77)
**გაძევება:** ენრიკე (55. ფეირენშე)

**ჟილ ვისენტე-მარიტიმუ დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 9 | 7 | 2 | 0 | 25-5 | 23 |
| 2. ბენფიკა | 9 | 7 | 2 | 0 | 22-9 | 23 |
| 3. სპორტინგი | 9 | 6 | 2 | 1 | 21-9 | 20 |
| 4. ბრაგა | 9 | 5 | 3 | 1 | 12-3 | 18 |
| 5. მარიტიმუ | 8 | 5 | 2 | 1 | 13-9 | 17 |
| 6. აკადემიკა | 9 | 4 | 1 | 4 | 12-12 | 13 |
| 7. ოლანენშე | 9 | 3 | 3 | 3 | 10-10 | 12 |
| 8. სეტუბალი | 9 | 3 | 1 | 5 | 7-14 | 10 |
| 9. ნასიონალი | 9 | 3 | 1 | 5 | 5-18 | 10 |
| 10. ჟილ ვისენტე | 8 | 2 | 3 | 3 | 10-16 | 9 |
| 11. ლეირია | 9 | 3 | 0 | 6 | 10-16 | 9 |
| 12. ბეირა მარი | 9 | 1 | 4 | 4 | 4-5 | 7 |
| 13. გიმარაეში | 9 | 2 | 1 | 6 | 9-13 | 7 |
| 14. ფერეირა | 9 | 2 | 1 | 6 | 9-16 | 7 |
| 15. ფეირენშე | 9 | 1 | 4 | 4 | 5-15 | 7 |
| 16. რიუ ავე | 9 | 1 | 2 | 6 | 7-11 | 5 |

**ბომბარდირები:** 6 - კარდოსო (ბენფიკა), დიავარა (მარიტიმუ).

## ჰოლანდია. ერედივიზიონი. XI ტური

**ბრედა-ვენლო 3:1**

**გოლები:** 1:0 ბოტეგინი (4), 1:1 ლინსენი (5), 2:1 გორტერი (26-პენ.), 3:1 ბაირამი (44).

**როდა-აიაქსი 0:4**

**გოლები:** 0:1 ერიკსენი (6), 0:2 იანსენი (50), 0:3 ლუკოკი (57), 0:4 ებისილიო (85).

**ექსელსიორი-ვაალვიკი 1:0**

**გოლი:** 1:0 პეპენი (17-საჯ. კარში).

**ჰეერენვეენი-დენ ჰააგი 4:0**

**გოლები:** 1:0 ნარსინგი (43), 2:0 დოსტი (77-პენ.), 3:0 დოსტი (82-პენ.), 4:0 დოსტი (87).

**ტვენტე-პსვ 2:2**

**გოლები:** 1:0 დუგლასი (10), 1:1 ლაბიადი (11), 1:2 მარსელო (64), 2:2 ფერი (78).

**დე გრააფსხაპი-ვიტესი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვილფრედი (70).

**გრონინგენი-ფეიენოორდი 6:0**

**გოლები:** 1:0 ტადიჩი (1), 2:0 კიფტენბელდი (16), 3:0 ანდერსონი (18), 4:0 ბაცუნა (57), 5:0 დიკი (89), 6:0 სუკი (90).

**ნიიმეგენი-უტრეხტი 3:1**

**გოლები:** 1:0 შონე (3), 2:0 ჯორჯი (13), 3:0 ფერნანდესი (74-საჯ. კარში), 3:1 მულენგა (76-პენ.).

**ჰერაკლესი-ალკმაარი 0:1**

**გოლი:** 0:1 მაჰერი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 11 | 9 | 1 | 1 | 25:8 | 28 |
| 2. პსვ | 11 | 6 | 4 | 1 | 29:13 | 22 |
| 3. ტვენტე | 11 | 6 | 4 | 1 | 28:12 | 22 |
| 4. ვიტესი | 11 | 6 | 3 | 2 | 18:11 | 21 |
| 5. აიაქსი | 11 | 5 | 5 | 1 | 28:14 | 20 |
| 6. ფეიენოორდი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 |
| 7. ჰეერენვეენი | 11 | 4 | 5 | 2 | 23:18 | 17 |
| 8. გრონინგენი | 11 | 5 | 2 | 4 | 21:17 | 17 |
| 9. ჰერაკლესი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:14 | 16 |
| 10. ბრედა | 11 | 4 | 1 | 6 | 17:19 | 13 |
| 11. დენ ჰააგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:21 | 13 |
| 12. ვაალვიკი | 11 | 4 | 1 | 6 | 11:18 | 13 |
| 13. უტრეხტი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | 12 |
| 14. როდა | 11 | 4 | 0 | 7 | 14:31 | 12 |
| 15. ნიიმეგენი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:17 | 10 |
| 16. დე გრააფსხაპი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:22 | 9 |
| 17. ვენლო | 11 | 1 | 3 | 7 | 12:29 | 6 |
| 18. ექსელსიორი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:24 | 5 |

**ბომბარდირები:** 11 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 10 - იანკო (ტვენტე); 8 - დოსტი (ჰეერენვეენი).

## ბელგია. ჟუპილერლიგა. XII ტური.

| | |
|---|---|
| ბრიუგე-გენკი | 4:5 |
| მეხელენი-ვესტერლო | 1:0 |
| ლოკერენი-კორტრიიკი | 1:4 |
| მონსი-გენტი | 1:1 |
| ლოივენი-ბეერსხოტი | 3:2 |
| ვარეგემი-სერკლ ბრიუგე | 1:1 |
| ანდერლეხტი-ლიერსი | 4:0 |
| სტ. ტრუიდენი-სტანდარდი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 12 | 9 | 2 | 1 | 26-9 | 29 |
| გენტი | 12 | 7 | 2 | 3 | 26-16 | 23 |
| სერკლ ბრიუგე | 12 | 6 | 5 | 1 | 17-11 | 23 |
| ბრიუგე | 12 | 6 | 4 | 2 | 25-16 | 22 |
| კორტრიიკი | 12 | 6 | 2 | 4 | 18-12 | 20 |
| გენკი | 12 | 5 | 4 | 3 | 23-18 | 19 |
| სტანდარდი | 12 | 5 | 4 | 3 | 14-16 | 19 |
| მონსი | 12 | 4 | 5 | 3 | 25-20 | 17 |
| ლოივენი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-21 | 14 |
| მეხელენი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-20 | 14 |
| ბეერსხოტი | 12 | 3 | 5 | 4 | 22-21 | 14 |
| ლოკერენი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-19 | 12 |
| ვარეგემი | 12 | 2 | 5 | 5 | 11-17 | 11 |
| ლიერსი | 12 | 1 | 6 | 5 | 6-15 | 9 |
| ვესტერლო | 12 | 1 | 4 | 7 | 9-20 | 7 |
| სტ. ტრუიდენი | 12 | 1 | 3 | 8 | 19-32 | 6 |

# ძიუდო

## მსოფლიოს აბსოლუტური პირველობა

# ძიუდოს ჩინური ეპოქა

### ვენ ტონგი - ახალი ლეგენდა

ცოტა მოულოდნელი შედეგით დასრულდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი ტიუმენში - ქალებში ჩინელმა **ვენ ტონგმა** გაიმარჯვა, ვაჟებში - უზბეკმა **აბდულო ტანგრიევმა**. მოულოდნელი უზბეკის წარმატებაა, თორემ ქალებში, სადაც კი ჩინელი გიგანტი გამოდის, სხვები მოგებაზე არც ოცნებობენ.

შეჯიბრება იმდენად ძლიერი არ გამოდგა, როგორც ვარაუდობდნენ - წინასწარი თანხმობისა და დიდი საპრიზო ფონდის მიუხედავად (მედალოსნები, შესაბამისად, 25, 15 და 10-10 ათას დოლარს იღებდნენ), რამდენიმე ტიტულოვანმა ფალავანმა ჩასვლა მაინც იუარა. ვაჟთა ტურნირში 27 სპორტსმენი გამოდიოდა, ქალებში - 13. სამაგიეროდ, მსოფლიოს ძიუდოსთვის მთავარი ამბებიც ქალებში მოხდა, ხოლო მასპინძლებმა იაპონურ-რუსული ხალხური კულტურის სინთეზით გახსნის ისეთი ცერემონიალი მოაწყვეს, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **მარიუს ვიზერმა** განაცხადა, ასეთი სანახაობა არც ერთ ასპარეზობაზე არ მინახავსო.

ვაჟთა ტურნირში მოულოდნელია არა მხოლოდ ტანგრიევის გამარჯვება, არამედ ფინალური წყვილიც - ტანგრიევმა უნგრელი **ბარნა ბორი** დაამარცხა, მასპინძელთა სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრ მიხაილინი**, იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი, მანამდე ჩინებულად მოასპარეზე მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული **კეიჯი სუძუკი** და სხვები კი სანუგეშო წრეში აღმოჩნდნენ. უზბეკი აქამდე სამჯერ გახდა მსოფლიოს მესამე პრიზიორი, პეკინის ოლიმპიადაზე ფინალშიც გავიდა და მონღოლ **ნაიდან ტუვშინბაიართან** დამარცხდა, ხოლო ტიუმენში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. რაც უნდა ვაკრიტიკოთ ეს შეჯიბრება, რომელიც შემადგენლობითა და სიძლიერით მართლაც ჩამორჩება ჩვეულებრივს, ტანგრიევის კარიერაში ეს ყველაზე სოლიდური ტიტულია. მან უკრაინელი **კირილ ბილეცკი**, ფრანგი **მეთიუ ტორელი**, ნახევარფინალში კორეელი მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი **სუნ-მინ კიმი**, ხოლო ფინალში უნგრელი დააიპონა, იაპონელ **ჰიროკი ტაჩიამას** კი გაფრთხილებებით აჯობა. ალბათ, ტურნირის ყველაზე დიდი სენსაცია ბორმა შემოგვთავაზა, როცა ნახევარფინალში სუძუკის იპონით მოუგო, თუმცა მანამდეც ძლიერი მეტოქეები დაამარცხა - იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **დაიკი კამიკავა** და მიხაილინი. ქვეჯგუფში სუძუკიმაც ისე იჭიდავა, ოქროს გარეშე მის დარჩენას ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე - სომეხ **ჰაკობ არაქელიანს** 16 წამში მოუგო, რუს **ასლან კამბიევსაც** ვადამდე აჯობა ვაზარ-იუკოთი და - ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ **იჰარ მაკარაუსაც**. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში თანაგუნდელ ტაჩიამას სძლია. მასპინძელთა გასახარად, მეორე ბრინჯაოს მიხაილინი დაეუფლა.

### ბერძენ და რუს ქართველთა წარუმატებლობა

შეჯიბრებაში წარუმატებლად გამოვიდა ბერძენთა ქართველი მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი** - პირველ შეხვედრაში ბრაზილიელ **დანიელ ჰერნანდესთან** ბოლომდე დომინირებდა და გაფრთხილებებიც მიალებინა, მაგრამ ბოლოს თვითონაც დაეცა და დამატებითში საბოლოოდ წააგო. მისგან განსხვავებით, წარმატებით გამოვიდა ტურნირის მონაწილე მეორე ქართველი, რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეა დონლუზაშვილი** - ვერცხლი მოიპოვა. ის ევროპის ჩემპიონია, უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებაზე კი პირველად გავიდა ფინალში - აქამდე ერთხელ ოლიმპიური, ორჯერ კი მსოფლიოს ბრინჯაო მოიპოვა. ცხადია, მშობლიურ კედლებში ძალიან სურდა ყველაზე დიდი ტიტულის მოპოვება, რაც რუსეთისთვისაც ისტორიული იქნებოდა - ქალებში მსოფლიოს ჩემპიონი დღემდე არ ჰყავთ, მაგრამ ტონგი სადღეისოდ დაუმარცხებელია. „მე მქონდა ჩინელთან შეხვედრის გამოცდილება და ვიცოდი, რამდენად საშიში მეტოქეა. როგორც ყოველთვის, ფინალის წინ ახლაც შევიმუშავეთ განსაკუთრებული გეგმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი რეალიზება ვერ შევძელით. ძალიან მსურდა, რუსული ძიუდოს ისტორიაში ამ წონაში პირველად გავმხდარიყავი მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ არ გამოვიდა" - განაცხადა დონლუზაშვილმა. შეგახსენებთ, რომ ის ტონგთან წლეულს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზეც დამარცხდა. საერთოდ, ჩინელებთან უარყოფითი ბალანსი აქვს, ახლანდელი მაჩვენებლით კი კმაყოფილიც უნდა იყოს, რადგან ნახევარფინალში იაპონელ მსოფლიოს ორგზის მედალოსანს, მსოფლიოს რეიტინგის ლიდერ **მეგუმი ტაჩიმოტოს** ბოლო წამზე მოუგო. აქ ბრინჯაოს მედალი იაპონელებმა მოიპოვეს - მსოფლიოს ორგზის გამარჯვებულმა **მიკა სუგიმოტომ** და ახალგაზრდა **ნანამი ჰაშიგუჩიმ**, რომელიც ფრიად კმაყოფილია ამით. ამჯერად უმედლოდ დარჩა ტაჩიმოტო, მაგრამ მიიღო ყველაზე ლამაზი იაპონისთვის დაწესებული პრიზი.





მარცხნიდან: თეა დონლუზაშვილი, ვენ ტონგი, ნანამი ჰაშიგუჩი, მიკა სუგიმოტო

### ტომურა-ტანი თუ ვენ ტონგი?

თუმცა მსოფლიოს ძიუდოსთვის მთავარი არა ეს ამბები, არამედ ტონგის ფანტასტიკური მიღწევაა - ჩინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეშვიდედ მოიგო მსოფლიოს ოქრო, რითაც მოქმედ ძიუდოისტებთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ბოლო წლებში ძიუდოში ასე გამორჩეული იაპონელი **რიოკო ტომურა-ტანი** (48) იყო, რომელმაც ასევე 7-ჯერ გაიმარჯვა მსოფლიოს პირველობებზე, მაგრამ ტონგისგან განსხვავებით, ორჯერ მოიგო ოლიმპიადა (აქვე შეგახსენებთ, რომ მან ოლიმპიადებზე ორჯერ ვერცხლი და ერთხელ ბრინჯაო მოიპოვა, მსოფლიოს პირველობებზე კი ერთხელ მესამეზე გავიდა), ოღონდ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ის სპორტიდან წავიდა. ჩინელი მთა-ქალი ამჟამად ისეთ ფორმაშია, ასეთი შემართება თუ შეინარჩუნა, მაქსიმუმ, ორ წელიწადში გააუმჯობესებს იაპონელის მიღწევას და ძიუდოს ისტორიაში კიდევ უფრო თვალშეუდგამ სიმაღლეზე ავა. ტონგი იმდენად იოლად იგებს ყველა შეჯიბრებას, მისი შემჩერებელი ასაკის მეტი არავინ და არაფერი ჩანს. უჩვეულო ფიზიკური ძალის პატრონმა პარიზში, მსოფლიოს პირველობაზე მეტოქეებს ლამის ხელები დაამტვრია - თითქმის ყველას მტკივნეული გაუჭიმა და ტიუმენშიც სამივე შეხვედრა იპონით მოიგო. თუმცა მისი უპირატესობა მხოლოდ ფიზიკური ძალა არაა - საკმაოდ ტექნიკურადაც ჭიდაობს. შთამბეჭდავია მისი სტატისტიკაც - 2000 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, უმაღლესი რანგის 20 ტურნირი მოიგო (!) და მხოლოდ 6-ჯერ დარჩა ოქროს გარეშე (თუმცა არა უმედლოდ); ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ წაუგია არც ერთი შეჯიბრება, სადაც კი უასპარეზია! ამის მიუხედავად, საერთაშორისო რეიტინგს მაინც ტაჩიმოტო ლიდერობს და არა - ის, რისი მიზეზიც 2009 წელს მიღებული დისკვალიფიკაციაა. მაშინ მას სტიმულატორის მიღებას ედავებოდნენ, რაზეც ცოტა არაორდინარული მიზეზით იმართლებდა თავს - აკრძალული პრეპარატი არ მიმიღია, მაგ ნივთიერებას კი ალბათ, გოჭის ხორცი შეიცავს, რომელიც იმ ტურნირის წინ მივირთვიო. ვერ გეტყვით, მართლა შეიცავს თუ არა სტიმულატორს გოჭის ხორცი, მაგრამ ტონგმა რეაბილიტაციას და ორწლიანი დისკვალიფიკაციის გაუქმებას მიაღწია, თუმცა ერთი სეზონი მაინც დაეკარგა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერს ძიუდოს სამყაროს დიდი ნაწილი (მათ შორის, მისივე თანაწონოსანი ქალებიც) ხელოვნურად აგორებულ სკანდალად მიიჩნევდნენ და ამას იაპონელებს აბრალებდნენ, მთავარი კონკურენტის ჩამოშორება სურთო.

### კომპლიმენტები პუტინს და ვიზერს

ცხადია, ტიუმენში ტონგის გამარჯვებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. შეჯიბრების დასრულებისთანავე ის თავის მრავალი წლის მწვრთნელთან ერთად პატივით მიიწვიეს ვიპ-ლოჟაში, სადაც საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობის გარდა, რუსეთის მმართველი ელიტაც იჯდა. მისი და ვიზერის შეხვედრა გულთბილიც კი აღმოჩნდა და არც ერთობლივი ფოტოსესია დაინანეს, რაც ზემოხსენებული დოპინგსკანდალის ფონზე ყველას გაუკვირდა, ტონგმა კი მედიას განუცხადა, რომ მზადაა, დაივიწყოს ეს გაჭიანურებული კონფლიქტი. პრესკონფერენციაზე ახალმა ლეგენდამ თავის ცხოვრებისეულ იდეალად რუსეთის პრემიერი **ვლადიმერ პუტინი** დაასახელა, მერე ვიზერსაც უძღვნა კომპლიმენტები და საკუთარ თავზე ისაუბრა: „მას შემდეგ, რაც 2007 წელს ვიზერი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას ჩაუდგა სათავეში, ეს სახეობა ძალიან განვითარდა - ჩვენ მივიღეთ ბევრი ტურნირი, წარმატების ბევრი შესაძლებლობა. მე მომწონს ძიუდო, მიყვარს მისი ატმოსფერო, მეგობრები, რომლებიც მომცა სპორტის ამ სახეობამ. მე მომწონს შეჯიბრება და გამარჯვებები. ცხოვრების მიზნად ოლიმპიურ დევიზს მივიჩნევ - „მაღლა, სწრაფად, ძლიერად"... რაშია ჩემი წარმატების საიდუმლო? არავითარი საიდუმლო არ გამაჩნია, როგორც ყველა სპორტსმენისთვის, ჩემთვისაც მთავარია ხასიათი, ფიზიკური მომზადება და აზროვნება ასპარეზობისას".

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

1. აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი), 2. ბარნა ბორი (უნგრეთი), 3. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი), კეიჯი სუძუკი (იაპონია).

**ქალები**

1. ვენ ტონგი (ჩინეთი), 2. თეა დონლუზაშვილი (რუსეთი), 3. მიკა სუგიმოტო, ნანამი ჰაშიგუჩი )ორივე - იაპონია).

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# ძმებმა გვასახელეს

**გასულ უქმეებზე ფარიკაობის ქართველი ქომაგები დიდი ზეიმის მოწმენი გახდნენ: თბილისში პირველად გაიმართა 23-წლამდელ მოხმალავე ვაჟთა ევროპის თასის ეტაპი, რომელშიც 7 ქვეყნის 28 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრებას საკალათბურთო კლუბ „აკადემიის" დარბაზმა უმასპინძლა.**

მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ძმებმა **სანდრო** და **ბექა ბაზაძეებმა** ჩვენი სპორტის ისტორიაში ახალი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს. წარმატება ორმაგად სასიამოვნოა, რადგან, როგორც ალვნიშნეთ, მსგავსი რანგის ტურნირი ჩვენთან არასდროს გამართულა: 19 წლის სანდრომ პირველი ადგილი დაიკავა, 21 წლის ბექა ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა. ახლა კი უფრო დაწვრილებით.

ორგანიზატორებმა მოასპარეზენი რამდენიმე ჯგუფში გაანაწილეს. სანდრო ბაზაძემ პირველ ტურში ერთი შეხვედრა დათმო. სამაგიეროდ, 5 მეტოქეს სძლია, მათ შორის 21 წლის რომაელ **გაბრიელე ფოსკინის** (5:1), 23-წლამდელებში იტალიის ჩემპიონსა და იუნიორებში მსოფლიოს თასის მე-2 პრიზიორს, რომელსაც ასპარეზობის ბოლოს ფინალშიც დაუპირისპირდა. მეორე ტურში სანდრომ [illegible] მეტოქე ჩამოიშორა გზიდან. ერთ-ერთი გახლდათ 21 წლის იტალიელი, კადეტებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს თასის გამარჯვებული **ფაბრიციო მარინო** (5:1).

თბილისურ ტურნირზე, მარინოს მსგავსად, ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ 20 წლის გერმანელ **მატიაშ საბოს**, რომელიც ახალგაზრდებში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონია - ორჯერ გუნდურსა და ერთხელ პირადში. ბექა ბაზაძემ მას საკუთარი შესაძლებლობების გამოვ-



ლენის საშუალება არ მისცა: პირველ ტურში 5:2 სძლია, მეორეში უფრო დაძაბული პაექრობა მოუგო - 5:4 (საგულისხმოა, რომ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა თასის ეტაპის ფინალისტი გაბრიელე ფოსკინი). მესამედ მათი გზები მეოთხედფინალში გადაიკვეთა და ბექამ ამჯერადაც აჯობა (15:12) უნგრული წარმოშობის გერმანელს (მანამდე მარინო დაამარცხა 15:11). სანდრომ კი ამ ეტაპზე უკრაინელი დმიტრო რასკოსოვი დაჯაბნა - 15:12.

ქუთაისელი ძმებისთვის, რომლებსაც მამა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** ავარჯიშებს, ნახევარფინალური შეხვედრები ბევრად დაძაბული აღმოჩნდა. სანდროს 19 წლის უკრაინელი **ევგენი სტაცენკო** დაუპირისპირდა. იგი კადეტებში 2009 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანია, ხოლო წლეულს მოსკოვში იუნიორთა ევროპის გუნდურ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა.

სადრო ბაზაძესთან შეხვედრა უკრაინელმა აქტიური იერიშებით დაიწყო და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ქართველმა მუშკეტერმა მალევე ხელთ იგდო ინიციატივა და ორთაბრძოლის მეორე ნახევარში ზედიზედ ოთხი უპასუხო ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს. საბოლოოდ 15:12 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა; გულშემატკივრები იმედოვნებდნენ, რომ გადამწყვეტ პაექრობაში ძმები შეხვდებოდნენ ერთმანეთს. საბაბს ის იძლეოდა, რომ ბექამ ჯერ კიდევ მე-2 ტურში დაამარცხა (5:4) ფოსკინი. მოლოდინი არ გამართლდა - ჩვენებურმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია იტალიელს. მას შემდეგ, რაც ანგარიში გახდა 4:4, აშკარად გამოიკვეთა გაბრიელეს უპირატესობა, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც - 15:8. ბექა და მისი უმცროსი ძმისგან ძლეული სტაცენკო ბრინჯაოს დაჯაბულდნენ.

გადამწყვეტი პაექრობის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა წუთშესვენებამდე სანდრომ მაინც შეძლო დაწინაურება - 8:6. ქართველმა მუშკეტერმა ორთაბრძოლის მეორე ნახევარში აშკარად დაჯაბნა რომაელი (15:9) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ფოსკინს ვერცხლი ერგო.

სანდრო ბაზაძე 1993 წლის 29 ივლისსაა დაბადებული ქუთაისში, ამჟამად თბილისის 35-ე სკოლის მე-12 კლასში სწავლობს. მეოთხე წელიწადია, ფარიკაობაში ვარჯიშობს. უფროსებში საქართველოს ორ-ორგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა 2009 წელს იუნიორებში ევროპის თასი მოიგო, მსოფლიოს პირველობაზე კი მე-8 ადგილი დაიკავა. გუნდურში 2010 წლის თურქეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. ფარიკაობის გარდა, გატაცებულია ფეხბურთით, კალათბურთითა და ცურვით, ჰობი - მუსიკა და კომპიუტერი, კერპი - გერმანელი 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნიკოლას ლიმბახი, მიზანი - მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა.

- ძმები ბაზაძეები წლეულს იტალიაში ერთობლივი შეკრებისას გავიცანი, - მითხრა გაბრიელემ. - სპარინგპარტნიორობასაც ვუწევდით ერთმანეთს. თითქოს შევისწავლე მათი ორთაბრძოლის მანერა, მაგრამ სანდრომ მაინც მაჯობა - ათლეტური აღნაგობისაა და ჭკვიანი მოხმალავეა, კარგი ტექნიკაც აქვს. ბექა უფრო ფიზიკურადაა ძლიერი, ამის მიუხედავად, მისი ძლევა არ გამჭირვებია. ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი და თქვენი ლამაზი დედაქალაქი ვნახე.

ძმებმა ბაზაძეებმა **მიხეილ მარდალეიშვილთან** და **კახაბერ მაღრაძესთან** ერთად გუნდურ პირველობაშიც იყოჩაღეს. ნახევარფინალში ჩვენმა ბიჭებმა გერმანელი, ბელარუსი და სომეხი მოფარიკავეებით დაკომპლექტებული ინტერნაციონალური გუნდი დაამარცხეს დაძაბულ პაექრობაში - 45:42 და ფინალში იტალიელთა მძლეველ (45:37) უკრაინელ მოხმალავეებს (დმიტრო რასკოსოვი, ევგენი სტაცენკო, იური ცაპი) შეხვდნენ. ბოლო ორთაბრძოლამდე აქაც გაურკვეველი იყო, ვინ ავიდოდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. დრამატული დაპირისპირება ჩვენებმა 41:45 დათმეს და მეორე ადგილზე გავიდნენ, მთავარი პრიზი უკრაინელებს ხვდათ.

- სამი წელიწადია, ქართველ მოხმალავეებს ვაკვირდები. შესამჩნევი წინსვლა ეტყობათ. სათანადო ხელშეწყობა თუ ექნება, სანდრო ბაზაძეს ელიტაში შეუძლია ადგილის დამკვიდრება. საამისოდ ყველა მონაცემი აქვს. კარგა ხანია, ქართველ და უკრაინელ მოფარიკავეებს ახლო ურთიერთობა გვაქვს. ბოლო დროს გახშირდა ორმხრივი ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები, რაც ორივე ქვეყნის სპორტსმენებს ოსტატობის ამაღლებაში ეხმარება. მომავალ შაბათკვირას კიევში იუნიორთა ტრადიციული მსოფლიოს თასი გათამაშდება სახელწოდებით „ოქროს კარები". მთავარი პრიზისთვის სანდრო ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილიც იბრძოლებენ. მსიამოვნებს, რომ ჩვენი ფედერაციების მეგობრული ურთიერთობა გრძელდება, - გვითხრა უკრაინის ფარიკაობის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, სახელმწიფო მწვრთნელმა **პიოტრ აზარჩენკომა.** - მადლობა თბილისს გულთბილი მასპინძლობისთვის.

**დავით სახვაძე,** ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი:

- შედეგებითაც კმაყოფილი ვართ და შეჯიბრების ორგანიზაციითაც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუმარმასპინძელთა იმედები გავამართლეთ. რადგან ასეთი დონის შეჯიბრება ფარიკაობაში პირველად გაიმართა ჩვენთან, მისი ჩატარების დონეზე იყო დამოკიდებული, ევროპის თასის ეტაპი ტრადიციული გახდება თუ არა თბილისში. ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის პრეზიდენტის **ფრანტიშეკ იანდას** (ჩეხეთი) მაღალი შეფასება იმის დასტურია, რომ ევროპის თასს გაისადაც ვუმასპინძლებთ და იგი უფრო წარმომადგენლობითი იქნება. ეს ჩვენი ფედერაციის დიდი გამარჯვებაა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ქუთაისის ხელმძღვანელობამ, იმერეთის ფარიკაობის ფედერაციამ სხვა ორგანიზაციებმა დიდად შეგვიწყვეს ხელი შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში. მალე ჩვენი საფარიკაო დარბაზი ჩადგება მწყობრში და მერე ვარჯიშისა და ტურნირების გამართვის მეტი შესაძლებლობა გვექნება.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პროფესიული კრივი

# ლვამიჩავას შოტლანდიური ტრიუმფი




26 წლის **ლევან ლვამიჩავამ** (63,5 კგ. წონითი კატეგორია) ძალზე მნიშვნელოვანი სარეიტინგო ორთაბრძოლა მოიგო - შოტლანდიურ ვიშოუში ნოკაუტით დაამარცხა 35 წლის იტალიელი **ჯუზეპე ლაური.** ლაურის აქამდე 60 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, რომელთაგანაც 52 მოიგო (31 ნოკაუტით). მაშინ, როცა ქართველისთვის ეს მე-6 ორთაბრძოლა იყო პროფესიულ რინგზე.

შეხვედრა 8-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უკვე მე-2 რაუნდში ქართველმა იტალიელი ნოკაუტში გაგზავნა. ლვამიჩავას ექვსივე შეხვედრა მოგებული აქვს, აქედან 5 ნოკაუტით. ის თავის წონაში მსოფლიო კლასიფიკაციაში 66-ე პოზიციაზეა და ამ მოგების შემდეგ კიდევ უფრო დაწინაურდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალბურთი. ევროპის თასის ეტაპი




# ფლეი ოფმა ფინალისტები გამოავლინა

გაისად იანვარში ჰოლანდიური ეინდჰოვენი წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. დასკვნით ეტაპზე მედლებისთვის 12 გუნდი იასპარეზებს. გასულ უქმეებზე იმ ექვსი ნაკრების ვინაობა გაირკვა, რომლებიც ჯგუფური ტურნირების შემდეგ ორრაუნდიან ფლეი ოფში იბრძოდნენ ფინალში მოსახვედრად. საქართველოს ნაკრებმა რუმინელებთან პირველი მატჩი შინ 5:11 წააგო, განმეორებითი პაექრობა კი ბუქარესტში უფრო დიდი სხვაობით დათმო - 6:18 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ რუსეთს თუ მივიჩნევთ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების წყალბურთელთა გუნდი 1954 წლიდან კონტინენტის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე პირველად ვერ მოხვდა - ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთთან ორივე შეხვედრაში დამარცხდა, შესაბამისად, 4:11 და 6:13. საგულისხმოა, რომ რუსებმა 2009 და 2011 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებიც გამოტოვეს.

ფლეი ოფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მალტა-გერმანია 6:15 (პირველი პაექრობა - 5:21), სლოვაკეთი-საბერძნეთი 3:9 (7:13), მაკედონია-საფრანგეთი 12:4 (6:8), თურქეთი-სლოვენია 9:9 (7:5).

ამდენად, 2012 წელს ეინდჰოვენში მედლებისთვის იბრძოლებენ: ხორვატია, იტალია, სერბეთი, უნგრეთი, ჩერნოგორია, ჰოლანდია, გერმანია, რუმინეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, მაკედონია.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ჩვენების ბედი ქოჯაელში

ქოჯაელში (თურქეთი) დასასრულს უახლოვდება 16-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა, რომელშიც კარგად დაიწყო ასპარეზობა საქართველოს ნაკრებმა, მაგრამ ბოლო სამ ტურში საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა: მე-7 ტურში ჩვენებმა აზერბაიჯანელებთან წააგეს 1,5:2,5 (**გუგა ბურდულმა** მისრათდინ ისკანდაროვს სძლია, **ირაკლი ბერაძე** და **ნინო ხომერიკი** ნიჯათ აბასოვთან და შუჯაათ ორუჯოვთან დამარცხდნენ, **შალვა ნადირაშვილი** ულვი ბაჯარანის დაუზავდა), მერვეში მალაიზიელებსაც დანებდნენ მსგავსი ანგარიშით (ამჯერად ბურდულმა და ხომერიკმა წააგეს, ბერაძემ გაიმარჯვა, ნადირაშვილმა კი ქულა გაიყო მეტოქესთან), არადა, რუსებმა გუშინ ამ გუნდს 3,5:0,5 სძლიეს.

ბოლოსწინა ტურში საქართველოს ნაკრები ირანის გუნდმა გაანადგურა 3,5:0,5: პოუია იდანი-ბერაძე 1:0, ნადირაშვილი-ნიმა ჯავანბახტი 0.5:0.5, ამირ კოვსარინია-ბურდული 1:0, ხომერიკი-აჰმად ასგარიზადეხი 0:1.

ცხრა ტურის შემდეგ 26,5 ქულით რუსეთი მეწინავეობს, პირველ ხუთეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან სომხეთი (25), ირანი (24,5), აზერბაიჯანი (23,5) და ინდოეთი (21). საქართველო 18,5 ქულით სირიასთან, მალაიზიასთან და თურქეთთან ერთად მეთერთმეტე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფს. ბოლო ტურში ჩვენები სირიელებს ეთამაშებიან, მაგრამ მოუგებენ კი?!

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# კვლავ კულიკოვასთან წააგო

2011 წელს **ანა ტატიშვილს** (88) ყველაზე მეტად სისხლი 22 წლის რუსმა **რეგინა კულიკოვამ** (132) გაუშრო. ფრანგულ ქალაქ პუატიეში მათი მეოთხედფინალური დაპირისპირება მესამე იყო სეზონში და მესამედ გამარჯვებული რუსი ჩოგბურთელი გამოვიდა - 6:4, 3:6, 6:4. შეგახსენებთ, რომ პუატიეს ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. ჩვენებურმა 34 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა და შესაძლოა, კვლავ წინ წაიწიოს რეიტინგში. ანთალიის ტურნირში (10 ათასი დოლარი) მე-3 ნომრად განთესილი **ეკა გორგოძე** (413) მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ **მარია ზანევსკასთან** (456) დამარცხდა - 2:6, 7:5, 4:6.



ანა ტატიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს XXI ჩემპიონატი. III ტური

# გამოფენა




29 ოქტომბერს 12:00-დან 22:30 საათამდე სპორტის სასახლე დიდ გალერეას მოგაგონებდათ - წარმოდგენილი იყო მსოფლიოში ცნობილი, ჯერ არაღიარებული და ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები. გეოგრაფიაც მრავალფეროვანი იყო: საქართველი, ამერიკა, სერბეთი, ხორვატია, კამერუნი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, ლატვია, პუერტო რიკო, შვედეთი.

მოკლედ, შაბათს საკალათბურთო სუპერლიგის ხუთი თამაში ჩატარდა, ითამაშეს ახალგაზრდებმა, რომლებსაც დასამტკიცებელი აქვთ, რომ ზრდასრულებთანაც შეუძლიათ ღირსეულად გამოსვლა (სტუ, „რუსთავი“, „ბათუმი“...);

...ითამაშეს სუპერლიგაში გამოწვრთნილმა ქართველებმა („ქუთაისმა“), რომლებმაც საკუთარი „ნამუშევრები“ მსოფლიოში ცნობილ შემოქმედთა („არმიის“ ლეგიონერთა) გვერდით გამოფინეს;

...ითამაშეს ლეგიონერებმა, რომლებსაც ვარსკვლავთა კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ, თუმცა საკუთარი პრეტენზიები აქვთ და წარმატებული კარიერის აწყობას საქართველოდან ცდილობენ (შსს-ს ლეგიონერები **კრეპსი, მაქემონი**; „დინამოს“ ახალწვეული **დეივი**...)

საერთო ჯამში გამოფენა შედგა, ვიხილეთ სარეკორდო მაჩვენებლები, ვისი „ნახატი“ უფრო ძვირად გაიყიდა და ვინ რა მოიმკო, ამას ქვემოთ გეტყვით.

## მესამეში ჩაძირული

29 ოქტომბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

| სამედიცინო-ბათუმი | 85:67 |
|---|---|

13:19; 19:15; 29:9; 24:24

**სამედიცინო:** აბაიშვილი (2ქ), კვეტენაძე (2ქ), ჭოჭუა (14ქ, 9მ), ილიჩი, ბექაური (15ქ, 11მ); ტომარაძე (12ქ), ჩიკვილაძე (21ქ, 8მ), პირველაშვილი (2ქ), შვანგირაძე (8ქ), ჯინჭარაძე (2ქ), ფერიაშვილი (7ქ).

**ბათუმი:** ნინუა, მიქელაძე (9ქ), ვ. მაისურაძე (7ქ), კეშელავა (14ქ, 13მ), ბოლქვაძე (7ქ); ჩორგოლაშვილი, რამიშვილი (8ქ), ელიაშვილი (16ქ), ემირიძე, ელიაძე (6ქ).

**კომისარი: გ. სანაძე**

**მსაჯები:** ი. ბერიშვილი, მ. ანდღულაძე, ს. სინერისი

მესამე ტურამდე „ბათუმსა“ და „სამედიცინოს“ ორ-ორი წაგება ჰქონდათ. წინასწარ ცხადი იყო, რომ ცხრილის ფსკერს ერთ-ერთი დააღწევდა თავს, ისიც უნდა გვევარაუდა, რომ ეს „ერთ-ერთი“ თბილისური გუნდი იქნებოდა, რადგან „მედიკოსებს“ შედარებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. მათ 7 კალათბურთელს სხვადასხვა დროს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში აქვთ ნათამაშები. ახლახან დაემატათ სერბი კალათბურთელი **ნემანია ილიჩი** და სეზონის მსვლელობისას კიდევ გაძლიერდებიან.

ბათუმელებსაც სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში გამოცდილი რამდენიმე კალათბურთელი ჰყავთ, მაგრამ აშკარად სჭირდებათ შემადგენლობის შევსება და სათადარიგოთა სკამის „დაგრძელება“.

ძნელი სათქმელია, დაიღალნენ თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ზღვისპირელებს მესამე პერიოდში „გემი ჩაეძირათ“ - 10 წუთში 9:29 წააგეს და გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვა.

## 82, 82!

29 ოქტომბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

| სტუ-რუსთავი | ღ.ღ. 86:82 |
|---|---|

11:21, 22:25, 18:14, 24:15, 11:7

**სტუ:** ვ. ბერუაშვილი (9ქ, 9მ), თევზაძე (4ქ), ხანიაშვილი (22ქ), ანთაძე (17ქ, 13მ), კობიძე (7ქ); ტეტელაშვილი (3ქ), ჩაჩიბაია (8ქ), ჭოხონელიძე, მაჩალაძე (16ქ, 16მ), ჯავახიშვილი, კორძაძე.

**რუსთავი:** მაჭავარიანი (9ქ, 5ფ), არწივიძე (14ქ, 5ფ), ჩაჩანიძე (22ქ), ხმელიძე (4ქ, 5ფ), გუგავა (6ქ, 5ფ); გ. ბერუაშვილი, თვარაძე (6ქ), ბააკაშვილი (2ქ), ჯ. არაბული (2ქ), კოპალიანი (17ქ, 8მ).

**კომისარი:** რ. გელოვანი

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე, ს. სინერისი

მიუხედავად იმისა, რომ წინა მატჩის მსგავსად სტუ-“რუსთავის“ დაპირისპირებაშიც „ახალგაზრდა შემოქმედები“ მონაწილეობდნენ, ვიხილეთ მეტად საინტერესო თამაში, რომლის სურათიც ასე გამოიყურებოდა: რუსთაველებმა პერიმეტრიდან ზუსტი ტყორცნებით ძალიან გააწვალეს ტექნიკოსები და 15-ქულიან უპირატესობას პირველივე ტაიმში მიაღწიეს. ასეთი ფორის განიავება „იოლი არ არის“, მაგრამ როცა სასტარტო ხუთეულის ოთხი კალათბურთელი ხუთ ჯარიმას მიიღებს, ხოლო სათადარიგოებს სუპერლიგაში თამაშის გამოცდილება არ აქვთ, 15-ქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ წაგებაც შესაძლებელია.

ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ რუსთაველთა დანაკლისის გამო მოიგეს ტექნიკოსებმა - ისინი ამ სეზონში მეორე ტაიმს პირველზე ერთი-ორად უკეთესად ატარებენ... მესამე ათწუთეულის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში სტუ-მ 17:0 გაქცევა მოაწყო და 68:60 დაწინაურდა. თუმცა ქვემოქართლელებმა ძალა მოიკრიბეს და ძირითადი დროის ბოლოს ანგარიში გაათანაბრეს, ოვერტაიმში კი 11:7 წააგეს.

გამოცდილმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** მატჩის მეორე ნახევრის კომენტარისას თქვა - დროა, „რუსთავის“ მწვრთნელმა **მიხეილ ბერუშვილმა** ფორმა მოირგოს და მოედანზე გავიდეს, რადგან ფარქვეშ მოთამაშე კაცი აღარ დარჩაო. ამიტომაც დაფიქსირდა საოცარი შედეგი, რომელსაც ბოლო წლების სუპერლიგაში ანალოგი არ აქვს - სტუ-მ სწორედ იმდენი მოხსნა, რამდენი ქულაც „რუსთავმა“ ჩააგდო - 82(!). შარშანდელ ჩემპიონატში „არმიამ“ „აგრარულთან“ 75 მოხსნა მიითვალა, შარშანწინ შსს-მ „ჭიათურასთან“ - 69, 2008-09 წლების სეზონში კი „ენერჯიმ“ „მაქაბისთან“ - 67.

NBA-ში ერთ მატჩში გუნდის მიერ მოგროვილი მოხსნების მაქსიმალური რაოდენობა 1960 წელზე მოდის - „ბოსტონელები“ „დეტროიტთან“ ფარიდან ასხლეტილ ბურთს 106-ჯერ დაეუფლნენ.

როცა ამ კომპონენტში მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ხაზი ესმება ტანმაღალი კალათბურთელების ყოჩაღობას, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს - ბევრი მოხსნა ბევრი აცილებული ბურთის მანიშნებელია. შაბათს სტუ-მ 72 ტყორცნა ააცილა (ორქულიან-სამქულიან-საჯარიმოიანად), ხოლო „რუსთავმა“ - 64.

## თავდაცვაც ასეთი უნდა

29 ოქტომბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

| არმია-ქუთაისი | 89:49 |
|---|---|

21:14, 22:15, 22:6, 24:14

**არმია:** კვიმსაძე (2ქ), დიასი (16ქ), რიჩარდსონი (14ქ, 11მ), ტომასი (11ქ), კელბომი (7ქ); ბაბიაშვილი (4ქ), ბოისა (7ქ), ვ. მინაშვილი (4ქ), ათანელიშვილი (2ქ), საყვარელიძე (4ქ), გეინსი (18ქ).

**ქუთაისი:** ბაბუნაშვილი (13ქ), ცეკვავა (12ქ, 8ვ), დიდია (3ქ), დ. ბარბაქაძე (5ქ), მათიაშვილი (2ქ); ფაშაევი (5ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (6ქ), კუჭავა, ქორიძე (3ქ).

**კომისარი:** რ. ხომერიკი

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი



ციფრებით განვაგრძოთ: „არმიამ“ და „ქუთაისმა“ ორქულიანები ერთნაირი სიზუსტით ისროლეს - 47-47 პროცენტიანით, თუმცა „მცირე“ სხვაობა ის იყო, რომ ქუთათურებმა 19-დან 9 ორქულიანი ჩააგდეს, ხოლო არმიელებმა - 55-დან 26. სტატისტიკიდანაც ნათელია, რა გახდა იმერელთა 40-ქულიანი დამარცხების მიზეზი.

პირველ ტაიმში **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდები პერიმეტრიდან ტყორცნების წყალობით კუდში მისდევდნენ საევროჩელენჯოდ გამზადებულ არმიელებს, თუმცა მას მერე, რაც ძალოვანთა მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** დაცვითი ზღუდე საკუთარი სამქულიანი ხაზიდან მეტოქის ნახევრამდე გადასწია, ქუთათურ უკანახაზელთა შეცდომებმაც იმატა (სულ 20), ხოლო ევროპაში გამობრძმედილმა „არმიის“ ლეგიონერებმა გაილაღეს - არაერთი სწრაფი გარღვევითა და ჩატენვით დაგვამახსოვრეს თავი. კოტეს გუნდმა დაცვაში მართლაც ევროპული დონე გამოამჟღავნა, შეტევას კი ნელ-ნელა ალაგებს. თუ სეზონის პირველ მატჩში „დინამოსთან“ ზოგიერთმა ლეგიონერმა შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა, შედარებით ძლიერ მეტოქე „ქუთაისთან“: **გეინსმა** დაგვანახვა, რომ სროლაც კარგად შეუძლია, პასების ჩამორიგებაც და თუ საჭირო გახდა სწრაფი გარღვევაც; **რიჩარდსონი** მაღალ ტემპში თამაშის ოსტატია; ...**შელბომმა, ტომასმა** და **დიასმა** პირველივე მატჩში გამოამჟღავნეს თავი.

მომდევნო ტურში „არმია“ შსს-ს ეთამაშება, რაც ევროჩელენჯის დაწყების წინ (8 ნოემბერს) გენარელური რეპეტიცია იქნება.

## რობო, ივიცა, თუ ლაშა?

29 ოქტომბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

| შსს-ოლიმპი | 72:80 |
|---|---|

16:22, 29:19, 15:19, 12:20

**შსს:** კრეპსი (34ქ, 10მ), წივწივაძე (7ქ), თენიეშვილი, დვალიშვილი (16ქ), იმნაძე (2ქ); მაქემონი (7ქ), ლაფანაშვილი (2ქ), ლონდარიძე (2ქ), ტუჯანი (2ქ).

**ოლიმპი:** გამყრელიძე (22ქ, 14პ, 7მ), სლიუკა (14ქ), გულისაბედაშვილი (6ქ), მ. ბერიშვილი (9ქ, 8მ), მილუტინოვიჩი (24ქ, 16მ); მუმლაძე, ჰოგერი (5ქ).

**კომისარი:** რ. ხომერიკი

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

შაბათს, შსს-სა და „ოლიმპის“ გამოჩენამდე გუნდებმა საინტერესო „ტილოები“ კი წარმოადგინეს, მაგრამ ცენტრალური მატჩი მაინც მეოთხე შეხვედრა გამოდგა. ლოგიკურიცაა, ტურის საუკეთესოს შერჩევისას სამი კანდიდატი შსს-“ოლიმპის“ მატჩიდან იყო: რობო კრეპსი, რომელსაც პირველ ტაიმში ყველაფერი გამოსდიოდა: ბურთსაც ჭრიდა და სროლას იშვიათად აცილებდა (6-დან 5 სამქულიანი საწყის 20 წუთში). მას მეორე ნახევარში აჩრდილივით აედევნა „ოლიმპის“ ლეგიონერი **სლიუკა** და რობოს შედეგიანობამაც იკლო, თუმცა კრეპსი მატჩის ბომბარდირიც გახდა და სეზონის რეკორდიც დაამყარა - 34 ქულა ჩააგდო. აქამდე საუკეთესო მაჩვენებელი **ფარლალავასა** და **გაის** ეკუთვნოდათ - 31-31 ქულა.

კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ფარქვეშიდან „ოლიმპის“ ფორვარდმა **მილუტინოვიჩმა**, რომლის ანგარიშზე 24 ქულა და 16 მოხსნაა. საქართველოს ნაკრების წევრი **ლაშა გამყრელიძე** კი უნარიანად ხელმძღვანელობდა ოლიმპელთა იერიშებს. მან 22 ქულა ჩააგდო და პასებში სეზონის რეკორდი დაამყარა - 14.

ჟურნალისტებმა ბევრი მსჯელობის შემდეგ ტურის №1 კალათბურთელად **გამყრელიძე** დავასახელეთ.

მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა, რომელის ქრონოლოგიასაც აქ გთავაზობთ:

| შსს-ოლიმპი | |
|---|---|
| 6:16 | მ. ბერიშვილი 3ქ (67:67) |
| 5:50 | გამყრელიძე 2ქ (67:69) |
| 5:18 | დვალიშვილი 2ქ (69:69) |
| 5:02 | გამყრელიძე 1ქ (69:70) |
| 4:46 | დვალიშვილი 1ქ (70:70) |
| 4:26 | გამყრელიძე 2ქ (70:72) |
| 3:55 | სლიუკა 2ქ (70:74) |
| 3:37 | წივწივაძე (72:74) |
| 3:25 | მილუტინოვიჩი 2ქ (72:76) |
| 2:03 | მილუტინოვიჩი 2ქ (72:78) |
| 1:39 | გამყრელიძე 1ქ (72:79) |
| 0:38 | სლიუკა 1ქ (72:80) |

შსს-ში პირველი მატჩი ჩაატარა **გოფრი მაქემონმა**, რომელსაც კოლეჯების ლიგაში საშუალოდ 14 ქულა ჰქონდა. მომდევნო მატჩებში იგი გუნდს კიდევ რომ შეეწყობა მეტ სარგებელს მოუტანს.

## სოხუმური დუეტი

29 ოქტომბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

| სოხუმი-დინამო | 84:73 |
|---|---|

24:10, 20:19, 16:24, 24:20

**სოხუმი:** ფარლალავა (28ქ, 9მ, 6პ), კანკია (3ქ), ჩლაიძე (8ქ), ფაცაცია (27ქ, 10მ, 5პ), ათუაშვილი (6ქ); როგავა, ბულიავა (2ქ), გაფრინდაშვილი, ქადარია (10ქ, 12მ).

**დინამო:** ბაქრაძე (10ქ), სანაძე (6ქ), დეივი (10ქ), კეიდია (7ქ), როდუმტა (6ქ); ს. ლეჟავა (3ქ), მარხვაშვილი (13ქ), ალხანაიძე, ჯანგველაძე (7ქ), სუხიშვილი (11ქ).

**კომისარი:** თ. ქიქოძე

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე, კ. კუპატაძე

მესამე ტურის წინ „სოხუმიდან“ ბოლო ამერიკელი წავიდა (ბრენდონ გაი), ხოლო „დინამოში“ პირველი ლეგიონერი გამოჩნდა (ნოელ დეივი). ამის მიუხედავად, სოხუმელებმა თავიდანვე დამაჯერებლად დაიწყეს და სეზონის მესამე გამარჯვება მოიპოვეს. პირველ მეოთხედში მათ 24:10 იმარჯვეს (17 ქულა **ლევან ფაცაციას** ანგარიშზე იყო, 7 - ლაშა ფარლალავასი). საბოლოოდ ლაშამ ლევანს გაასწრო, 28 ქულა ჩააგდო, ერთით მეტი ვიდრე ფაცაციამ (27 ქულა, 10 მოხსნა). მის გარდა ორმაგი დუბლი **ვახტანგ ქადარიამ** შეასრულა.

„დინამოს“ დებიუტანტი მოელ დეივი კარგი კალათბურთელი ჩანს, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ აკლიმატიზაცია ჯერ არ გაუვლია.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 3 | 3 | 0 | 280/205 | 6 |
| 2. ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 255/223 | 5 |
| 3. სტუ | 3 | 2 | 1 | 278/251 | 5 |
| 4. შსს | 3 | 2 | 1 | 267/245 | 5 |
| 5. არმია | 2 | 2 | 0 | 179/102 | 4 |
| 6. ოლიმპი | 2 | 2 | 0 | 149/140 | 4 |
| 7. სამედიცინო | 3 | 1 | 2 | 230/259 | 4 |
| 8. თსუ | 2 | 1 | 1 | 145/137 | 3 |
| 9. ბათუმი | 3 | 0 | 3 | 212/263 | 3 |
| 10. დინამო | 3 | 0 | 3 | 199/282 | 3 |
| 11. რუსთავი | 3 | 0 | 3 | 205/292 | 3 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი, U-18

# რუმინეთი ბუქარესტშიც დავალელოვეთ

**საქართველო-რუმინეთი 27:6**

საქართველო: 15 გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. ლაშა ლაშხია, 12. გიორგი ნათელაშვილი, 11. გიორგი ფრუიძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. რევაზ ბროძელი. 1. რამაზ მაზმიშვილი (ხარებავა 55), 2. ბექა ფირიაშვილი, 3. ალექსანდრე ცისკარიშვილი, 4. მიხეილ მასხარაშვილი, 5. შალვა შაშიაშვილი, 6. საბა შუბითიძე, 7. გიორგი გოგლიძე, 8. შოთა თევზაძე (ამირანაშვილი 42)

4ლ: თევზაძე, ფირიაშვილი, ცისკარიშვილი, გოგლიძე. 2გ,ს: ბროძელი.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული სტარტი აიღო საქართველოს ნაკრებმა. ტურნირზე, რომელიც ერთ წრედ მიმდინარეობს, „პატარა ბორჯღალოსნების“ პირველი მეტოქე მასპინძელთა გუნდი იყო, ჩვენმა მორაგბეებმა შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს - 27:6.

საქართველოს ნაკრებმა რუმინელთა გუნდი თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნა. ჩვენი მორაგბეები მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ და, თუ პირველ ნახევარში ეს ანგარიშში არ აისახა, მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.



ანგარიში მასპინძლებმა საჯარიმოთი გახსნეს. ჩვენმა მორაგბეებმა საპასუხო შეტევაზევე ლელოთი უპასუხეს. დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში ააგეს, კარგად ნაცადი მოლი შეკრეს და მეტოქე ლელოში შეათრიეს. ბურთით ბოლოს მესამეხაზელი **შოთა თევზაძე** იყო, ცხრა ნომერმა **რევაზ ბროძელმა** გარდასახვა ვერ გაიტანა - 5:3.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბროძელმა შესანიშნავად ითამაშა და გუნდის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ორქულიანი სხვაობით მოიგო. მეორე ტაიმში კი საქართველოს ნაკრების სათამაშო უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. მომდევნო ორი ლელო ჩვენმა მორაგბეებმა ისევ მოლის გამოყენებით შეძლეს. ამჯერად თავი პირველხაზელებმა **ბექა ფირიაშვილმა** და **ლექსო ცისკარიშვილმა** გამოიჩინეს.

მატჩის მიწურულს კი საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ლელო ბრწყინვალედ განხორციელებული კონტრიერიშის შედეგად მოახერხა. ლელო მესამეხაზელმა **გიორგი გოგლიძემ** მიითვალა და „პატარა ბორჯღალოსნებმა“ ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს. ყოველივე ამას რუმინელებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს - 6:27.

**I ტური**

**ბელგია-პორტუგალია 19:23**

**II ტური. 1 ნოემბერი**

საქართველო-ბელგია

რუმინეთი-პორტუგალია

**III ტური. 4 ნოემბერი**

საქართველო-პორტუგალია

რუმინეთი-ბელგია

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 5 ქულა, 2. პორტუგალია - 4, 3. ბელგია - 1, 4. რუმინეთი - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროპის ჩემპიონატი, U-19

# ვარჯიში შვეიცარიასთან

ბუქარესტშივე მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის. აქ ორი საუკეთესო გუნდი მომავალ წელს „მსოფლიო ალაფაზე“ ითამაშებს. საქართველოს ნაკრების მეტოქე მეოთხედფინალში ტურნირის დებიუტანტი შვეიცარიის ნაკრები იყო, რომელსაც უმცროსმა ბორჯღალოსნებმა შანსი არ დაუტოვეს და დიდი ანგარიშით 50:0 დაამარცხეს.

საქართველოს ნაკრების მორიგი მეტოქე ნახევარფინალში რუმინეთის გუნდი იქნება, რომელმაც მეოთხედფინალში პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრებს 32:17 მოუგო.

**ევროპის ჩემპიონატი. U-19**

**მეოთხედფინალი**

საქართველო-შვეიცარია 50:0, რუსეთი-ესპანეთი 15:8, რუმინეთი-პორტუგალია 32:17, ბელგია-ჰოლანდია 7:10.

**ნახევარფინალი. 2 ნოემბერი**

საქართველო-რუმინეთი

რუსეთი-ჰოლანდია

**საქართველოს ნაკრები. U-19**

თორნიკე ჯიბლაძე, დავით ხიდეშელი, საბა ნიკოლავა (სამივე-თიბისი), ვახო ახობაძე, გიორგი თეთრომშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი მინდია ელგუჯაური (ორივე-ყოჩები), სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, დაჩი კოპაძე (სამივე-ლელო), გურამ შენგელია (ჯიქები), ვახტანგ რაფავა (ნატალ შარქსი), ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბასილაია (ორივე-ხარები), ნიკო ჯინჭველაშვილი, ზურაბ ძნელაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, გიორგი ზიბზიბაძე (ოთხივე-აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი), მერაბ შარიქაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-აკადემია), გიორგი ლომთაძე (ბრეთფორდი), ბექა მამრიკიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი (ორივე-არმია), ლაშა სირაძე, გიორგი მისრიაშვილი (ორივე-არმაზი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

სასკოლო რაგბი

# სკოლებს შორის ქუთაისი საუკეთესოა

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ საქართველოს სასკოლო რაგბის ფინალური ეტაპი ჩატარდა, რომელშიც რეგიონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულმა ათმა გუნდმა იასპარეზა. ესენია: თბილისის წმინდა გიორგის სახელობის, ადიგენის, ახალციხის, ჭიათურის, ვანის, ქუთაისის, ბორჯომის, საჩხერის, ასპინძისა და სენაკის სკოლები.

შეჯიბრება, რომელშიც 15-16 წლის მორაგბეები მონაწილეობდნენ, ქუთასის მე-10 საჯარო სკოლის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ რაგბის სასკოლო ლიგის ჩამოყალიბება განათლების სისტემის რეფორმირების შედეგია. ცნობილია, რომ 2011 წლიდან ჩვენს სკოლებში ფიზმომზადების გაკვეთილები სპორტის სხვადასხვა სახეობამ შეცვალა. რაგბიზე არჩევანი ძირითადად იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და დედაქალაქის ხუთმა სკოლამ შეაჩერა. სულ კი საქართველოს მასშტაბით რაგბის ჯერჯერობით 34 სკოლა თამაშობს.

ლიგის შექმნა და ყოველწლიურად ტურნირის ჩატარება განათლების სამინისტროს ინიციატივაა, რომელსაც რაგბის კავშირი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად უწევს კოორდინაციას.

**ბესიკ ჯანგავაძე**



საქართველოს ჩემპიონატი



არჩათვლილი ლელო

# აია დიდ ფინალშია

**აია-ლოკომოტივი 27:7**

აია: (15-9) **ხამაშურიძე, არაბიძე, ი. ჩხიკვაძე, გოშაძე, ი.გიორგაძე (ზვიადაძე 66), სინაურიძე, გოგია. (1-8) ლომიძე (ჟვანია 64), გურეშიძე (მატკავა 71), ტ. ჩხიკვაძე, ჩიტეიშვილი, ძაგნიძე (დგებუაძე 41), რევიშვილი, თხელიძე (ცირეკიძე 68), მეტრეველი (არაბიძე 69)**

ვლ: **ხამაშურიძე (2), აბრამიძე. 3გ,2ს: სინაურიძე (3).**

სინბინი: **რევიშვილი**

ლოკომოტივი: **(15-9) კავთიძე, ქავთარაძე, კობერიძე, ბერძენიშვილი, ნოზაძე (შიოშვილი 59), კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) გასვიანი, ზარაძე, ვეფხვაძე, ნიშნიანიძე (ელოშვილი 54), გუნიავა, გენებაშვილი, ჩიტიძე (ახვლედიანი 68), ბერიშვილი.**

ლ: **ჩიტიძე. კვინიხიძე**

სინბინი: **ბერიშვილი**

მსაჯი: **სტეფან ბოიე (საფრანგეთი).**

შესარჩევი ფინალის გამარჯვებულ „არმიას“ საჩემპიონო მატჩში ქუთაისის „აია“ დაუპირისპირდება, რომელმაც შაბათს საკუთარ მოედანზე მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ 27:7 დაამარცხა და დიდ ფინალში მეორე ცდაზე გავიდა.

შეხვედრა მასპინძლების საგრძნობი უპირატესობით წარიმართა, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა. ქუთათურებმა არმიელებთან წაგების შემდეგ სწორი დასკვნები გააკეთეს და „ლოკომოტივთან“ გაცილებით მობილურად გამოიყურებოდნენ. მათ მეტოქე თავიდანვე მოაქციეს მარწუხებში და სწრაფი ლელოც გაუტანეს.

მე-5 წუთზე საკუთარი აუტის მოგების შემდეგ მხტომელ **ბაკურ გოშაძისგან** დროული გადაცემით მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ლოკომოტიველთა ხაზი გაჭრა და ისეთი სისწრაფე განავითარა, რომ მისი შეჩერება ველარავინ შეძლო. ხამაშურიძის ლელოს **გაგა სინაურიძის** ზუსტი გარდასახვა მოჰყვა და „აია“ - 7:0 დაწინაურდა.

მასპინძლებს ანგარიშის გაზრდა მალევე შეეძლოთ, თუმცა სინაურიძემ მახვილი კუთხიდან საჯარიმო ვერ გაიტანა. ამას თბილისელთა რამდენიმეწუთიანი „აფეთქება“ მოჰყვა - მძლავრად უტევდნენ და ძალისმიერი თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ლელოსთანაც ახლოს იყვნენ, ჩათვლის მოედნამდე ორიოდე მეტრი აშორებდათ, მაგრამ „აიამ“ ზეწოლას გაუძლო და მეტოქის მრავალფაზიანი შეტევა ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერა.

საპასუხო იერიშისას მასპინძლებმა მეორე ლელო გაიტანეს. ლოკომოტიველთა ხაზი ისევ ხამაშურიძემ გაჭრა და ჩათვლის მოედნამდე შეუჩერებლად ირბინა. გარდასახვისას სინაურიძე ისევ ზუსტი იყო - 14:0.

31-ე წუთზე თბილისელებმაც მიაღწიეს სანადელს, **გივი ბერიშვილის** კარგი გარღვევის შემდეგ, ბურთი ხაზთან მლლეტელმა **დავით ჩიტიძემ** იგდო ხელთ და ლელო დადო. თბილისელთა მეგზავმა **ბობა კვინიხიძემ** კი გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:14.

ტაიმის ბოლოს სადავო ეპიზოდი წარმოიქმნა, **თორნიკე ძაგნიძემ** წესების სრული დაცვით ლელო გაიტანა (ეს მატჩის შემდეგ ნანახ ვიდეოფირზე და ფოტოზეც კარგად ჩანდა), მაგრამ ფრანგი არბიტრი **სტეფან ბოიე** ეპიზოდიდან მოშორებით იდგა და ვითარებაში კარგად ვერ გაერკვა, მოწინააღმდეგის მხრიდან ფეხით თამაში დააფიქსირა და ლელო არ ჩათვალა. ამან მასპინძლების საფუძვლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

მატჩის მეორე ნახევარი „აიას“ სრული უპირატესობით წარიმართა. ქუთათურები ერთნაირად კარგად გამოიყურებოდნენ შერკინებაში, ხაზზე და ხელით თამაშში, ერთადერთი წუნი აუტების მოწოდებისას შეიმჩნეოდა.

58-ე წუთზე მოედნის ცენტრთან ახლოს „აიას“ შერკინების შემდეგ ქუთაისელთა მარჯვენაფლანგელი **გიორგი აბრამიძე** თბილისელებს გაუსხლტა, რამდენიმე ცრუმოძრაობით მეურვეები ჩამოიცილა და ჩათვლის მოედნამდე დაახლოებით 40 მეტრი ირბინა. სინაურიძემ გარდასახვა კვლავ ზუსტად დაარტყა - 21:7. მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა.

დარჩენილ დროში სინაურიძემ ორი საჯარიმო გაიტანა და საბოლოოდ 27:7 დააფიქსირა. „აია“ დიდ ფინალში ლამაზი გამარჯვებით გავიდა და სტადიონზე შეკრებილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემატკივარიც გაახარა. ქუთათურებს 16-წლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ ეძლევათ ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვების შანსი და ამ ტიტულს ერთი, გადამწყვეტი მატჩიღა აშორებთ...

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

# ჯიქები უმაღლეს ლიგაში

პირველი ლიგის მეორეადგილოსანი თბილისის „ჯიქები“ მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. გადასასვლელ მატჩში „ჯიქები“ ორჯერ დაუპირისპირდნენ უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა ადგილზე გასულ თბილისის „აკადემიას“. ამ გუნდებს შორის პირველი შეხვედრა პირველლიგელების გამარჯვებით დამთავრდა 29:18 (+11). მეორე მატჩში კი „აკადემია“ უფრო მობილიზებული გავიდა სათამაშოდ და მოიგო კიდეც 19:9 (+10), თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. „ჯიქებმა“ ორი შეხვედრის ჯამში ერთი ქულით მოიგეს და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი


მარატ საფინი

# საფინმა დუმას დაუმიზნა

საინტერესო მატჩი გაიმართა ჩინეთის ქალაქ ჩენდუში მიმდინარე ვეტერანთა ტურნირზე. Champions Series-ის რანგში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომრები - ამერიკელი **პიტ სამპრასი** და რუსი **მარატ საფინი**. სამ სეტში გამარჯვება ამერიკელმა ლეგენდამ მოიპოვა - 6:1, 6:7(6), 10:8.

საფინთან დაკავშირებით უფრო საინტერესო ინფორმაცია რუსულმა პრესამ გაავრცელა. ყოფილი რუსი ვარსკვლავი 4 დეკემბერს რუსეთის დუმის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ის ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში იყრის კენჭს დეპუტატობაზე.

საფინს დიდი იმედი აქვს, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმაში 450 ადგილიდან ერთ-ერთი სწორედ მას შეხვდება.

*„რატომაც არა? მე ჭკვიანი ბიჭი ვარ, ბევრი საინტერესო იდეა მაქვს და ვიცი, როგორ განვახორციელო ცხოვრებაში“*, - საკუთარ თავს რეკლამას უკეთებს ჩოგბურთელი.

*„გარდა ამისა, თუ დუმაში მოვხვდები, იქ დეპუტატებს შორის ყველაზე ლამაზი მამაკაცი ვიქნები, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ყველა 60 წელს გადაცილებულია“*, - ხუმრობს საფინი.

# აშშ რუსეთს უტევს

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ამერიკელი ჩოგბურთელის **ალექს ბოგომოლოვის** გადაწყვეტილებამ იმის თაობაზე, რომ მან დევისის თასზე რუსეთის ნაკრების რიგებში თამაში მოინდომა. ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ (USTA) საჯაროდ გამოხატა ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება და რუსული მხარისგან კომპენსაციის გადახდა მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ ბოგომოლოვი 1992 წელს, 9 წლის ასაკში გადავიდა რუსეთიდან აშშ-ში საცხოვრებლად და ბოკა-რეიტონის ეროვნულ საწვრთნელ ცენტრში დაიწყო ვარჯიში. ასოციაცია რეგულარულად უხდიდა ბოგომოლოვს ფულს ტურნირებზე სამოგზაუროდ, აგრეთვე პირდაპირ ფინანსურ დახმარებასაც უწევდა ყოფილ რუსს. ასოციაციის ხელმძღვანელთა გამოთვლებით, ბოგომოლოვის ჩოგბურთელად ჩამოყალიბებისთვის ამერიკულმა მხარემ დაახლოებით 50 ათასი დოლარი დახარჯა. ამ თანხაში არ შედის ამერიკელ მწვრთნელებთან უფასო მეცადინეობა. ახლა USTA ამტკიცებს, რომ თავის დროზე, ეს რესურსი შეიძლებოდა სხვა ჩოგბურთელზე დაეხარჯა.

ბოგომოლოვმა უკვე მიმართა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას თხოვნით - უფლება მისცეს დევისის თასზე რუსეთის ნაკრების ღირსება დაიცვას. დევისის თასის წესების თანახმად, ქვეყანა, რომელიც უცხოელი მოთამაშის მიწვევის სურვილს გამოთქვამს, საერთაშორისო ფედერაციას იმ მატჩამდე ექვს თვემდე ადრე უნდა მიმართოს, რომელშიც „ლეგიონერის“ გამოყენებას აპირებს და დაელოდოს სპეციალური კომისიის შესაბამის ნებართვას. ცოტა ხნის წინ, ეს ვადა ექვსიდან სამ თვემდე შემცირდა, მაგრამ ჯერ გაურკვეველია, უკვე შევიდა ეს წესი ძალაში თუ ის მომავალი სეზონიდან ამოქმედდება. ბოგომოლოვს იმედი აქვს, რომ რუსეთის ნაკრებს 10-12 თებერვალს 2012 წლის გათამაშების პირველ წრეში ავსტრიის წინააღმდეგ მატჩში დაეხმარება.

ჩოგბურთელის მომავალი ბედი აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციაზეა დამოკიდებული. ამერიკელებს უფლება აქვთ მიმართონ საერთაშორისო ფედერაციას სამწლიან „კარანტინში“ მოათავსონ ბოგომოლოვი ან მოსთხოვონ მოთამაშეს აანაზღაუროს მის მომზადებაზე გაწეული თანხები. „ბოგომოლოვის საქმესთან“ დაკავშირებით საერთაშორისო ფედერაცია დეკემბერში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს რეიტინგის 36-ე ნომერი 2012 წლის ოლიმპიადაზე მხოლოდ აშშ-ის სახელით თამაშს შეძლებს.


ალექს ბოგომოლოვი

# პეტრას უფრო გაუმართლა

## ქალთა ტურს ახალი ჩემპიონი და ახალი მეორე ნომერი ჰყავს

წელს ქალთა პროფესიულ ტურში ძალიან მაღალი კონკურენცია იყო. „დიდი სლემის“ ტურნირი ოთხმა სხვადასხვა ჩოგბურთელმა მოიგო, თანაც ამ სიაში არ შედიან კლასიფიკაციის პირველი და მეორე ნომრები. ამიტომაც რთული იყო წლის შემაჯამებელ ტურნირში ფავორიტის გამორჩევა. **კაროლინ ვოზნიაცკი** ძალიან ცუდად თამაშობს სეზონის მეორე ნახევარში, ამიტომაც ამ როლისთვის არ გამოდგებოდა. მეორე ნომერი **მარია შარაპოვაც** ვერ იყო ოპტიმალურ ფორმაში, რაც მან ტრავმას დააბრალა. დანარჩენებიც სტაბილურობით არ გამოირჩეოდნენ, ამიტომაც ყველაფერი ამ კონკრეტული ტურნირისას სათამაშო ფორმაზე იყო დამოკიდებული.

სტამბოლში თავიდანვე სხვებზე უკეთ წარმოაჩინეს თავი **პეტრა კვიტოვამ** და **ვიქტორია აზარენკამ**, რომლებიც ნახევარფინალში პირველი ადგილიდან გავიდნენ. ცუდად არც **ვერა ზვონარევა** და **სამანტა სტოსური** გამოიყურებოდნენ, მაგრამ თავიანთ ჯგუფებში ლიდერებთან შეხვედრები პირწმინდად დათმეს. ამიტომაც, ნახევარფინალში ისინი აუტსაიდერებად ითვლებოდნენ.

პირველი ნახევარფინალი კვიტოვასა და სტოსურს შორის ჩატარდა. მათ შორის აქამდე გამართულ ორივე შეხვედრაში გამარჯვება პეტრას დარჩა. ჩეხმა ამჯერადაც კარგად დაიწყო შეხვედრა და მის შეტევებს სტოსური ვერაფერს უხერხებდა. სამანტას მხოლოდ მოწოდება გამოსდიოდა და ამის ხარჯზე შორს არ გაუშვა მეტოქე, შემდეგ კი ავსტრალიელს კვიტოვაც დაეხმარა. ამ ჩოგბურთელს პრაქტიკულად ყველა მატჩში სჩვევია ჩავარდნა და ამჯერადაც ასე მოხდა. ამის წყალობით სტოსურმა 40:0-დან აიღო მეტოქის მოწოდება. სამანტა უფრო დამაჯერებლად ათამაშდა, თუმცა „ვინერსების“ რაოდენობით სამჯერ ჩამორჩებოდა კვიტოვას. ეს უკანასკნელი პარტიის ბოლოს ანერვიულდა, რამდენიმე წარუმატებელი შეტევა განახორციელა და ტურნირზე პირველი პარტია წააგო - 5:7.

მეორე პარტიის დასაწყისს ბევრი რამ შეეძლო გაერკვია. სტოსურს შანსი ჰქონდა გაეგრძელებინა თავისი წარმატებული სერია და ადრეული ბრეიკი აელო, მაგრამ კვიტოვა მოწოდებამ გადაარჩინა. ჩეხმა დამაჯერებლობა იგრძნო და ისევ გადავიდა აგრესიულ თამაშზე. თავად ავსტრალიელი თითქმის არ ცდებოდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მეტოქის ზეწოლის წინააღმდეგ. შესაბამისად, წინ გაჭრილი პეტრას დაწევა ვერ შეძლო და პარტია დათმო - 3:6.

ჩეხის შეჩერება შეუძლებელი გახდა. კვიტოვამ საკუთარი შეტევების წყალობით მესამე სეტში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია - 5:0. სტოსური მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როცა დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. პეტრა მორიგი ჩავარდნის საშიშროების წინაშე დადგა, მაგრამ საპასუხისმგებლო მომენტში „მშრალი“ ანგარიშით მოიგო თავისი გეიმი - 5:7, 6:3, 6:3.

■ ■ ■

ზვონარევასა და აზარენკას უფრო მდიდარი ურთიერთშეხვედრათა ტრადიცია აქვთ. ისინი მეათედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და აქამდე უპირატესობა რუს ჩოგბურთელს ჰქონდა - 6:3. საერთოდ, ზვონარევა ამ ტურნირზე წარმატებით თამაშობს - ის უკვე მესამედ გავიდა წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის ნახევარფინალში, აზარენკასთვის კი ეს იყო პირველი ამგვარი წარმატება.

მეორე ნახევარფინალში გაცილებით ნაკლები ბრძოლა იყო, თუმცა აზარენკამ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ საბოლოო ანგარიში არ შეესაბამებოდა კორტზე განვითარებულ მოვლენებს. პირველ სეტში ბრეიკების გაცვლის შემდეგ, ბელარუს ჩოგბურთელს ძალიან გაუადვილა საქმე ზვონარევას უამრავმა შეცდომამ. აზარენკას დონის მოწინააღმდეგესთან მატჩში ასეთი თამაშით წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

თამაშის მსვლელობა არც მეორე სეტში შეცვლილა. რუსი ბევრს უტევდა და ისევ ბევრ შეცდომას უშვებდა. განსხვავება ის იყო, რომ გეიმები უფრო ხანგრძლივი გახდა და ყველაზე გრძელში წარმატებას ზვონარევამ მიაღწია. ეს თითქოს მატჩში გარდატეხის მომენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ორმა წაგებულმა საკუთარმა ბრეიკმა რუსის მარცხი გამოიწვია - 2:6, 3:6. მთელი მატჩის განმავლობაში ზვონარევას 47 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა, რაც ასეთი დონის შეხვედრისთვის ძალიან ბევრია.

■ ■ ■

კვიტოვაც და აზარენკაც პირველად თამაშობდნენ ამ ტურნირის ფინალში. პრესტიჟული პრიზის გარდა, ისინი რეიტინგის მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ. წარმატების შემთხვევაში ჩეხი ჩოგბურთელი 115 ქულით მიუახლოვდებოდა კაროლინ ვოზნიაცკის, რაც ახალი სეზონის დასაწყისში სიდნეის ტურნირზე კლასიფიკაციის ლიდერობის შანსს მისცემს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში პეტრა პირველი ჩოგბურთელია, ვინც დებიუტი ფინალში გასვლით აღნიშნა. რაც შეეხება ფინალისტების ურთიერთშეხვედრათა ისტორიას, წინ კვიტოვა იყო - 3:2.

თავიდან აზარენკამ ვერაფერი დაუ[...] პირისპირა მეტოქეს. ჯერჯერთი, ბელა[...] რუსი ჩოგბურთელი საკმაოდ პასიურა[...] მოქმედებდა და ბევრ შეცდომას უშვებ[...] და, გარდა ამისა, კვიტოვას გამოსდიო[...] და კარგი შეტევები. ასე გაგრძელდ[...] 5:0-მდე, რის შემდეგაც თამაშის სურათი მკვეთრად შეიცვალა. ინიციატივა ბელარუსი ჩოგბურთელის მხარეს გადავიდა, პეტრა კი ანერვიულდა, რამაც შეცდომების ზრდა გამოიწვია. ჩეხმა მატჩზ[...] ჩაწოდებისას ორივე საკუთარი გეიმ[...] ნულზე წააგო, ასევე ორი სეტბოლი გაანიავა მიღებაზე. საბოლოოდ, ანგარიშ[...] გათანაბრდა - 5:5. მაგრამ ამ მომენტშ[...] კვიტოვამ ისევ იპოვნა საკუთარი თამა[...]ში და მეტოქეს მეხუთე ცდაზე აართვ[...] პარტია - 7:5.

თუმცა მეორე სეტი პეტრამ ნაკლებად ეფექტურად ჩაატარა. ვიქტორი[...] გათავისუფლდა ზეწოლისგან და საკმა[...]ოდ კარგი თამაში აჩვენა შეტევაში, [...]მაც ბრეიკით უპირატესობა მოუტანა[...] კვიტოვას ჰქონდა ბრეიკის დაბრუნე[...]ბის შანსი, მაგრამ ბელარუსი ზუსტა[...] მოქმედებდა გადამწყვეტ მომენტებში ხანდახან რისკავდა კიდეც, მაგრა[...] უმართლებდა - 6:4.

გადამწყვეტ სეტში ბევრი რამ სტარ[...]ტზე გადაწყდა. აზარენკამ სამმაგი ბრ[...]იკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ კვიტოვა[...] დროულად მოუმატა თამაშს შეტევაშ[...] და გადაარჩინა ეს გეიმი, ამ წარმატები[...] გამხნევებულმა კი იქვე ბრეიკი გააკეთ[...] ამის შემდეგ ვიქტორიას მეტოქის გეი[...]მის აღების შანსი არ ჰქონია - პეტრ[...] ბრწყინვალედ თამაშობდა თავის მოწო[...]დებაზე. თავად ბელარუსს კი ბოლოსკე[...] მატჩბოლიდან საკუთარი გეიმის გადარ[...]ჩენა მოუხდა, მაგრამ ამას შედეგზე ა[...] უმოქმედია - ჩეხმა მატჩზე დამაჯერებ[...]ლად ჩააწოდა და მატჩბოლის რეალიზაციის შემდეგ გახარებული კორტზ[...] დაეცა - 7:5, 4:6, 6:3.


პეტრა კვიტოვა მთავარი პრიზით

**WTA Championships**

სტამბოლი (თურქეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 900 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ვერა ზვონა[...]რევა (რუს) 6:2, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-სა[...]მანტა სტოსური (ავსტრა, 7) 5:7, 6:3, 6:3.

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ვიქტორია აზარენ[...]კა (ბლრ) 7:5, 4:6, 6:3.

**წყვილთა ფინალი**

**ლიზელ ჰუბერი/ლიზა რეიმონდი** (აშშ, 2[...]) - კვეტა პეშკე/კატარინა სრებოტნიკი (ჩეხ/სლო[...]ვაკ, 1) 6:4, 6:4.

გვერდი მოამზად[...]
**გია თვალაბეიშვილმ[...]**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. ლოკაუტი

# ნოემბერი მთლიანად გაუქმდა, სრული სეზონი არ იქნება

## დაპირისპირებული მხარეების ბოლო მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა

არ გამართლდა კალათბურთის მოყვარულთა მოლოდინი იმის შესახებ, რომ გასულ უქმეებზე ლოკაუტი დასრულდებოდა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგებოდა. ნიუ იორკში გამართულ მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი ისევ უშედეგოდ დასრულდა. ამჯერადაც, კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირი საერთო შემოსავლის გაყოფის საკითხში „გაიჭედნენ": ლიგის მხარე კვლავ მოგების თანაბარ განაწილებას ითხოვს, მოთამაშეებმა კი თავიანთი მოთხოვნა 52 პროცენტამდე დაიყვანეს.

მოლაპარაკებათა ამ რაუნდის შემდეგ ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გამოაცხადა - 30 ნოემბრის ჩათვლით რეგულარული ჩემპიონატის ყველა მატჩი გაუქმებულია.

*„სამწუხაროდ, მხარეებს შორის ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომელთა მოგვარებამდე ვერ მივიდნენ. ამიტომაც, იძულებულნი ვართ ნოემბრის ყველა მატჩი გავაუქმოთ. უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ NBA-ში სრული სეზონი არც ერთ ვარიანტში არ იქნება. მოთამაშეები ვერ ხვდებიან იმას, რომ მფლობელები ლოკაუტის გამო უზარმაზარ ნაგებაში არიან. შესაბამისად, ლიგის მორიგი წინადადება მათთვის კიდევ უფრო წამგებიანი იქნება, რადგან მათ ეს დანაკარგი უნდა დაფარონ"*, - ამბობს სტერნი.

მოთამაშეთა პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილი ჰანტერმაც** გააკეთა კომენტარი შაბათის შეხვედრაზე: *„დერეკ ფიშერმა და მე მივანიშნეთ მფლობელებს, რომ მზად ვართ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, თუ საერთო მოგების 52 პროცენტს მივიღებთ, მაგრამ ისინი თანაბრად გაყოფას ითხოვენ. ჩვენ ისედაც დიდ დათმობებზე წავედით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ასე რომ, მოლაპარაკებები ისევ ჩიხში შევიდა"*.

პროფკავშირების პრეზიდენტის **დერეკ ფიშერის** თქმით, მან არ იცის, რატომ დასრულდა ბოლო შეხვედრა წარუმატებლად: *„ჩვენ გვინდოდა ხელშეკრულების გაფორმება. ყოველთვის ასეთ განწყობაზე ვართ, მაგრამ დღეს ვერ შევძელით პრობლემის მოგვარებასთან მიახლოება. მხარეები საკუთარ პოზიციაზე იდგნენ და არ სურდათ შემხვედრი ნაბიჯის გადადგმა. არ ვიცი, როდის განახლდება მოლაპარაკებები. მფლობელთა წინადადებებში ისევ ბევრი შეზღუდვაა"*.

„ოკლაჰომა-სიტის" ლიდერმა **კევინ დურანტმა** ახსნა, რატომ ითხოვენ მოთამაშეები საერთო მოგების 52 პროცენტს.

*„ჩვენ კარგად გვესმის, რომ კალათბურთელებს ალარასოდეს ექნებათ ლიგის საერთო მოგების 57-პროცენტიანი წილი, როგორც ეს ადრე იყო. ამიტომაც ვითხოვთ, თუნდაც 52 პროცენტი დაგვიტოვონ. თუ დღეს ჩვენ სისუსტეს გამოვიჩენთ და თანაბარ განაწილებას დავთანხმდებით, მოგვიანებით ნახევარზე ნაკლებს შემოგვთავაზებენ. ჩვენ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოთამაშეთა მომავალ თაობაზეც ვფიქრობთ"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" NBA-ის ვარსკვლავმა.

■ ■ ■

ამასობაში, პრობლემა შეექმნა NBA-ის ვარსკვლავთა ექვსმატჩიან მსოფლიო ტურნეს. კერძოდ, გაურკვეველი ვადით გადაიდო პუერტო რიკოში გასამართი პირველი შეხვედრა, რომელიც 30 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო. მატჩის ახალი თარიღი 3 ნოემბერს გამოცხადდება. დანარჩენ ხუთ შეხვედრას, რომელიც ლონდონში, ჩინეთსა და ავსტრალიაში უნდა გაიმართოს, მაყურებელი ნოემბრის ბოლო რიცხვებში იხილავს.

სხვათა შორის NBA-ის ვარსკვლავთა გუნდს გამოაკლდა „ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**. „სუპერმენმა" უარი თქვა მგზავრობაზე. ასევე სხვადასხვა მიზეზით ტურნეში არ მიემგზავრებიან **დერიკ როუზი, რასელ უესტბრუკი, ლებრონ ჯეიმსი, კრის პოლი** და **კარმელო ენტონი**. კითხვის ნიშნის ქვეშაა **კობი ბრაიანტის, კევინ დურანტის, ბლეიკ გრიფინისა** და **კევინ გარნეტის** მონაწილეობა.

# ოდენი მწყობრშია

„პორტლენდის" ცენტრს **გრეგ ოდენს** ყველაზე მეტად აწყობდა ლოკაუტი, რომელიც NBA-ში სეზონის დაწყების საშუალებას არ იძლევა. ორი დღის წინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე უიღბლო მოთამაშემ ასეთი ახალი ამბავი დაწერა საკუთარ „ტვიტერზე":

*„ამჟამად ლოს ანჯელესში ვიმყოფები, სადაც ვამთავრებ აღდგენით კურსს. პირველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარბენები გავაკეთე და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. იმედია, ლოკაუტი მალე დასრულდება"*, - ამბობს ოდენი.

2007 წლის დრაფტის პირველ ნომერს NBA-ში მხოლოდ ორი სეზონი აქვს ნათამაშები, ისიც არასრული (2008-09 წლებში 61 მატჩი ჩაატარა, 2009-10-ში - 21 მატჩი), ორი რეგულარული კი მთლიანად გაუცდა. მიზეზი მუხლის ქრონიკული ტრავმებია.

ლიგაში ბოლო მატჩი ოდენმა 2009 წლის 5 დეკემბერს ჩაატარა.


გრეგ ოდენი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 29 ოქტომბერი

**კაროლინა-ჩიკაგო 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბრენტი2 (გლისონი-4), 2:0 ბ. სატერი-3 (ი. იოკინენი-5), 3:0 ტლუსტი-2 (ალენი-3, ლა როუზი-4).

**დეტროიტი-სან ხოსე 2:4**

1:0, 1:3, 0:1

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-2 (ლიდსტრიომი-3, დაციუკი-4), 1:1 ქლოუ-3 (ჰავლატი-4, ვლასიჩი-1), 1:2 მარლო-2 (დ. მიურეი-2), 2:2 ჰოლმსტრიომი-1 (დაციუკი-5, ლიდსტრიომი-4), 2:3 ჯ. ტორნტონი-2 (პაველსკი-3, მარლო-5), 2:4 ჯ. ტორნტონი-3 (ჰავლატი-5, ქლოუ-5).

**კალგარი-სენტ ლუისი 3:1**

0:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კოსტოპულოსი-1 (ჯეკმენი-1, ჰორაკი-3), 2:0 ჰორაკი-2 (გლენკროსი-1, ჯეკმენი-2), 2:1 სტინი-6 (ლანგენბრუნერი-4, შატენკირკი-5), 3:1 ო. იოკინენი-2 (გლენკროსი-2, მოსი-3).

**კოლორადო-ედმონტონი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ბარკერი-1 (სემ განიე-1, რ. სმიტი-4), 0:2 ე. სატონი-1 (პერტელი-1, რ. სმიტი-5), 1:2 რ. ო'რაილი-1 (დუშენი-4, ქუინსი-4), 1:3 რ. სმიტი-3 (ჰორკოფი-5, რ. ჯონსი-1).

### 30 ოქტომბერი

**რეინჯერსი-ოტავა 4:5 (ბ)**

0:1, 2:0, 2:3, 0:0

**გოლები:** 0:1 კ. ნილი-2 (კუბა-1, ე. კარლსონი-10), 1:1 კელეჰანი-3 (ბ. რიჩარდსი-5, დელ ზოტო-3), 2:1 ბ. რიჩარდსი-2 (გაბორიკი-2), 3:1 გაბორიკი-5 (სტეპანი-2, ვოლსკი-1), 4:1 ბ. რიჩარდსი-3 (გაბორიკი-3, ვოლსკი-2), 4:2 სპეცა-6 (კუბა-2, მ. მიხალეკი-6), 4:3 სპეცა-7 (გონჩარი-8, ე. კარლსონი-11), 4:4 მ. მიხალეკი-7 (გრინინგი-4, კუბა-3).

ბულიტები გაიტანეს: მ. მიხალეკი (ოტავა).

**ბაფალო-ფლორიდა 2:3**

0:0, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 გოკი-2 (აპშოლი-1, კოპეცკი-3), 1:1 ვანეკი-8 (ადამი-6, მიერსი-3), 2:1 პომინვილი-5 (ბოიესი-4, ერჰოფი-6), 2:2 ფლიშმანი-3 (კოპეცკი-4, გარისონი-1), 2:3 გარისონი-4 (ბ. კემპბელი-9, კოპეცკი-5).

**ტორონტო-პიტსბურგი 4:3**

1:0, 0:0, 3:3

**გოლები:** 1:0 გრაბოვსკი-4 (ფანოფი-8, მაკარტური-2), 1:1 კუკი-4 (ეშემი-3, ლავჯოი-1), 2:1 ტ. კონოლი-1 (ლუპული-6, კესელი-8), 2:2 კუნიტცი-4 (მალკინი-5, ლეტანგი-9), 3:2 მაკარტური-2 (ფანოფი-9, გრაბოვსკი-2), 3:3 მალკინი-2 (ლეტანგი-10, ჯ. ნილი-2), 4:3 კესელი-10 (ტ. კონოლი-1, კიმოსარეკი-2).

**მონრეალი-ბოსტონი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯონტა-2 (პლეკანეცი-5, კამალერი-1), 2:0 ელერი-1 (მოენი-2, ა. კოსტიცინი-4), 3:0 დეშარნე-2 (კამალერი-2, ი. უებერი-3), 3:1 ლუჩიჩი-3 (ჰორტონი-3), 3:2 სეგუინი-4 (ხარა-3), 4:2 პლეკანეცი-4.

**აილენდერსი-სან ხოსე 2:3 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პაველსკი-7 (მარლო-6, დ. ბოილი-4), 1:1 ტავარესი-7 (პარენტო-8, მოულსონი-3), 2:1 გრაბნერი-3 (ოკსოპო-3, ნილსენი-1), 2:2 კუტური-3 (ბერნსი-2, ვლასიჩი-2), 2:3 ბერნსი-3 (პაველსკი-4, დ. ბოილი-5).

**ფილადელფია-კაროლინა 5:1**

1:0, 0:1, 4:0

**გოლები:** 1:0 ჰარტნელი-4 (კ. ჟირუ-6), 1:1 ი. იოკინენი-3 (ტლუსტი-3, ლა როუზი-5), 2:1 იაგრი-4 (კ. ჟირუ-7), 3:1 ტელბოტი-3 (კ. ჟირუ-8, ქობურნი-2), 4:1 კ. ჟირუ-7 (ჰარტნელი-6, ტიმონენი-9), 5:1 იაგრი-5 (ჰარტნელი-7).

**ტამპა ბეი-ვინიპეგი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ლეკავალიე-5 (სტემკოსი-4, ბრიუერი-2).

**დალასი-ნიუ ჯერსი 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-6 (ოტი-6, ბენი-8), 1:1 სიკორა-1 (ელიაში-4), 2:1 ფიდლერი-2 (დვორაკი-3, სურეი-5), 3:1 სურეი-3 (გოლიგოსკი-3).

**მინესოტა-დეტროიტი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 ჰიტლი-3 (მ. კოივუ-5).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰორნკვისტი-2 (კ. უილსონი-3, შ. უებერი-4), 2:0 ერატი-1 (ტუტუ-2, რ. სატერი-2), 3:0 შ. უებერი-1 (რ. სატერი-3, ლეგუანდი-7).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 5:2**

2:1, 0:1, 3:0

**გოლები:** 1:0 კრუგერი-1 (მეიერსი-1, სიბრუკი-2), 1:1 პროსპალი-5 (ტიუტინი-3, ვიშნიევსკი-2), 2:1 ბოლანდი-5 (ფროლიკი-3), 2:2 მაკენზი-2 (ნეში-6, ა. ჯონსონი-3), 3:2 სტალბერგი-1 (ლედი-4, კიტი-6), 4:2 სტალბერგი-2 (ბრუნეტი-3, ლედი-5), 5:2 ფროლიკი-2.

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 3:2**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 მ. რიჩარდსი-2 (დ. ბრაუნი-5, უ. მიტჩელი-3), 1:1 ვრბატა-2 (ჰანჟალი-5, შლემკო-4), 2:1 ვრბატა-3 (ჰანჟალი-6, კლესლა-3), 2:2 კოპიტარი-5 (ჰანტერი-1, მეტ გრინი-2), 3:2 ლენგკოუ-2 (ვრბატა-5, მორისი-1).

**ვანკუვერი-ვაშინგტონი 7:4**

3:1, 1:3, 3:0

**გოლები:** 1:0 ლაპიერი-2 (ვაისი-1, ბიექსა-2), 1:1 ოვეჩკინი-4 (ბროუერი-3, ბექსტრიომი-9), 2:1 ჰიგინსი-4 (ჰამჰუისი-2, ბუტი-2), 3:1 ედლერი-1 (სალო-5, კესლერი-2), 3:2 ოვეჩკინი-5 (ბექსტრიომი-10, ჯ. კარლსონი-3), 3:3 ნუბლი-2 (ბულიტი), 4:3 ედლერი-2 (ჰ. სედინი-9, დ. სედინი-9), 4:4 მ. იოჰანსონი-5 (ვიდემანი-6), 5:4 ჰ. სედინი-4 (კესლერი-3, ედლერი-7), 6:4 ჰიგინსი-5 (ჰანსენი-2, მალორტა-4), 7:4 ლაპიერი-3 (ბიექსა-3, ჰამჰუისი-3).

● ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| არისი-კოლოსოსი | 66:75 |
| დრამასი-პანათინაიკოსი | 74:95 |
| პანიონიოსი-ილისიაკოსი | 76:66 |
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 92:63 |
| იკაროსი-პერისტერი | 55:65 |
| კავალა-პაოკ | 75:60 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ხუვენტუდი-ესტუდიანტესი | 74:71 |
| სევილია-მანრესა | 76:65 |
| სარაგოსა-ლაგუნ არო | 77:86 |
| ვალენსია-უნიკახა | 75:62 |
| ვალიადოლ.-კახა ლაბორალი | 64:76 |
| ობრადოირო-ალიკანტე | 69:73 |
| ფუენლაბრადა-ბარსელონა | 56:66 |
| ბილბაო-მურსია | 95:80 |
| გრან კანარია-რეალი | 60:68 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| არტლანდი-ბრემერჰავენი | 83:86 |
| სკაილაინერსი-ალბა | 57:83 |
| ვიურცბურგი-ბონი | 71:61 |
| ლუდვიგსბურგი-ბრაუნშვაიგი | 69:70 |
| ტრირი-ბაიროიტი | 68:62 |
| გისენი-გიოტინგენი | 76:64 |
| ოლდენბურგი-ბაიერნი | 88:81 |
| ჰაგენი-ბამბერგი | 76:106 |
| ტიუბინგენი-ულმი | 77:92 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კანტუ-სკავოლინი | 66:71 |
| კაზერტა-მონფერატო | 67:52 |
| ბიელა-მონტეპასკი | 67:70 |
| რომა-ვარეზე | 74:76 (ო) |
| ტერამო-აველინო | 57:71 |
| ვენეცია-მონტეგრანარო | 72:62 |
| სასარი-მილანი | 60:88 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| მერსინი-ანტალია | 102:65 |
| ფენერბაჰჩე-ბანდირმა | 93:60 |
| ერდემი-ტრაბზონი | 71:62 |
| გალათასარაი-ქარსიაქა | 79:72 |
| ოლინი-ეფესი | 67:88 |
| ალიაგა-თოფასი | 74:73 |
| ბანვითი-ჰეჩეთეფე | 84:66 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| გრაველენი-პო ორტეზი | 89:60 |
| ტულონი-ნანტი | 94:97 |
| ჰავრი-ლე მანი | 86:89 |
| ნანსი-პუატიე | 76:66 |
| ორლეანი-სტრასბური | 73:66 |
| შოლე-ვილერბანი | 70:79 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| ავტომობილისტი-ამური | 4:4 |
| ბარისი-სიბირი | 3:2 |
| მეტალურგი (მ)-იუგრა | 4:3 (ო) |
| ცსკა-სევერსტალი | 3:2 (ო) |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (რ) | 4:4 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 3:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-გრაცი | 3:4 (ო) |
| ვენა-ოლიმპია | 4:1 |
| ზალცბურგი-ლინცერი | 3:5 |
| ზაგრები-ალბა | 4:2 |
| ზნოიმო-კლაგენფიურტი | გადაიდო |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-შტრაუბინგი | 1:0 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 4:3 (ო) |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 2:1 |
| მიუნხენი-აისბარენი | 5:3 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 4:5 |
| ნიურნბერგი-დიუსელდორფი | 6:4 |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 7:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ოლბორგი | 2:2 |
| სონდერიისკი-კოპენჰაგენი | 5:0 |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:1 |
| ოდენსე-ჰერლევი | 3:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 2:1 |
| რუსენბორგი-სტიერნენი | 2:5 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 3:5 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 2:4 |
| ფრისკ ასკერი-მანგლერუდი | 3:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სკალიცა | 4:7 |
| მარტინი-ბისტრიცა | 5:2 |
| ნიტრა-სლოვანი | 6:7 |
| პოპრადი-ზვოლენი | 8:1 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 3:2 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კალპა-ჰპკ | 4:2 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 0:2 |
| ტპს-ლუკო | 1:0 |
| ტაპარა-პელიკანსი | 2:3 |
| საიპა-იოკერიტი | 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა-პარდუბიცე | 4:1 |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 3:2 |
| ზლინი-ტრშინეცი | 1:2 (ო) |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 0:3 |
| ბოლესლავი-პლზენი | 3:1 |
| ბრნო-ლიტვინოვი | 5:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ლუგანო | 0:3 |
| ბერნი-სერვეტი | 2:0 |
| დავოსი-ციურიხი | 3:2 |
| ლანგნაუ-ცუგი | 1:4 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 2:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-შელეფტეო | 2:0 |
| აიკ-ბრინასი | 0:4 |
| ფერიესტადი-ჰვ71 | 1:5 |
| მოდო-იურგორდენი | 1:2 (ო) |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 3:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. სტ. პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| ბოგომოლოვი-ტიპსარევიჩი | 2:6, 1:6 |
| ჩილიჩი-იუჟნი | 6:3, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-ჩილიჩი | 3:6, 6:3, 2:6 |

**ATP. ვენა**

| | |
|---|---|
| დელ პოტრო-ანდერსონი | 6:4, 3:6, 6:4 |
| ცონგა-ბრანდსი | 6:2, 7:6 |
| ცონგა-დელ პოტრო | 6:7, 6:3, 6:4 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-სტოსური | 5:7, 6:3, 6:3 |
| აზარენკა-ზვონარევა | 6:2, 6:3 |
| კვიტოვა-აზარენკა | 7:5, 4:6, 6:3 |

● TV პროგრამა

### 31 ოქტომბერი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო რაფაელა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ბაიერნი-ნიურნბერგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. X ტური. რომა -მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტური. პსჟ-კაენი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. ტვენტე-პსვ.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ლანუსი-გოდოი.
**00:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXII ტური. სანტოსი-ატლეტიკო (პრ).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ლაციო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ბოსტონი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ალკმაარი.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**10:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ლუქსემბურგი.
**11:40** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. V ეტაპი. ჩინეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალიორკა.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**16:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:30** ფეხბურთი. ბუნდესლიგა. კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი.
**19:30** ცურვა. მსოფლიოს თასი. ბერლინი. გერმანია.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**00:55** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-გრანადა (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**05:30** ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. კანზასი-სან დიეგო (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# დებიუტი მინისტრის გარეშე

ინდოეთის სადებიუტო გრანპრის გახსნის ცერემონიას უამრავი ცნობილი ადამიანი (ადგილობრივი საზომით) დაესწრო - კრიკეტის მოთამაშეებიდან დაწყებული, ბოლივუდის კინოვარსკვლავებით დამთავრებული. მაგრამ სტუმრებს შორის არ აღმოჩნდა ინდოეთის სპორტის მინისტრი **აჯეი მაკენი.**

ცერემონიაზე ასეთი მნიშვნელოვანი ჩინოვნიკის არყოფნა ყველას გაუკვირდა. გაზეთმა Times of India-მ დაწერა, რომ მაკენიმ გრანპრის ორგანიზატორებისგან არ მიილო ოფიციალური მიწვევა.

გაზეთის ინფორმაციით, ავტოდრომის მფლობელმა კომპანია Jaypee Group-მა მიზანშეწონილად არ ჩათვალა მინისტრის მიწვევა. სავარაუდოდ, ეს იმით აიხსნება, რომ ინდოეთის სახელმწიფო სტრუქტურებს თავიდანვე განსაკუთრებული პოზიცია ეკავათ - ისინი ფორმულა 1-ის რბოლას არა სპორტულ ღონისძიებად, არამედ კომერციულ პროექტად განიხილავდნენ.

*„საინტერესოა, რომ ორგანიზატორებმა მთავრობას თხოვნით მიმართეს - მილიარდი რუპიას ოდენობის სავადასახადო შეღავათი მოგვეცითო, მაგრამ უარი მიიღეს“*, - იტყობინება გაზეთი.

გამორიცხული არ არის, რომ ახლა რბოლის ორგანიზატორებმა თავისებურად უპასუხეს მთავრობის ამგვარ ხისტ პოზიციას.



# ჯერ ალლუმი, შემდეგ რბოლა...

ინდოეთის გრანპრიმდე ერთი საათით ადრე ავტოდრომზე ისტორიული მანქანების ალლუმი გაიმართა, რომელშიც წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილე პილოტებმა მიიღეს მონაწილეობა.

გულშემატკივრები აქტიურად ესალმებოდნენ ყველა პილოტს, მაგრამ ყველაზე მეტი აპლოდისმენტი ინდური საჯინიბოს „ფორს ინდიას“ პილოტებსა და ადგილობრივ ავტომრბოლ **ნარაიან კართიკეიანს** ერგოთ.

კრივი



# ჰეი არ ნასულა?

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ბრიტანულმა პრესამ - სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **დევიდ ჰეიმ**, რომელმაც ცოტა ხნის წინ გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, შესაძლოა, რინგზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღოს.

*„წიგნის გადაშლა ყოველთვის იოლია. და მასში ყოველთვის არის მომდევნო თავი. ასეა ჩემს ცხოვრებაშიც - ერთ თავს მეორე მოსდევს. და რას მოიტანს შემდეგი, წინასწარ ცნობილი არ არის“*, - ამბობს WBA-ის ექსჩემპიონი.

*„რაც შეეხება ძმებ კლიჩკოებს, მხოლოდ დრო გვიჩვენებს, ვინ ვის უფრო სჭირდება - მე ძმებს თუ ისინი - მე. ძალიან მაინტერსებს, რა სურთ ძმებს კრივისგან: თუ მათ სჭირდებათ გარანტირებული გამარჯვებები, მაშინ გააგრძელონ დღევანდელი სტილით მოქმედება, მაგრამ თუ ნამდვილი მოწინააღმდეგე სჭირდებათ, მაშინ იციან, სად უნდა მიპოვნონ“*, - დაასრულა თავისი მონოლოგი ბრიტანელმა მოკრივემ.

ფორმულა 1. ინდოეთის გრანპრი

# ფეტელის დიდი სლემი

ინდოეთის სადებიუტო გრანპრიზე პირველი პოული, პირველი სწრაფი წრე და პირველი გამარჯვება წლევანდელი სეზონის საუკეთესო პილოტს - **სებასტიან ფეტელს** („რედ ბული“) ერგო და ეს სრულიად დამსახურებული ტრიუმფი იყო. გერმანელს სტარტიდან ფინიშამდე არ დაუკარგავს ლიდერობა და კარიერაში პირველი „დიდი სლემი“ მოიპოვა.

გუშინდელი გრანპრი იმითაც იყო გამორჩეული, რომ პირველივე წრეზე ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა. ლიდერებმა სტარტი უპრობლემოდ აიღეს, მაგრამ პელოტონის ბოლოში სერიოზული დანაკლისი იყო: **რუბენს ბარიკელო** („უილიამსი“) თანაგუნდელი **პასტორ მალდონადოს** ბოლიდს შეეხო, შემდეგ კი **კამუი კობაიასისაც** („ზაუბერი“) შეეჯახა. იაპონელმა ტრასაზე დაბრუნება სცადა, მაგრამ **ტიმო გლოკის** („ვირჯინი“) ბოლიდი დააზიანა. ორივეს მალე მოუწია რბოლის მიტოვებამ. ამას დაემატა მესამე მოსახვევში **იარნო ტრულის** („ლოტუსი“) მოსრიალება, თუმცა იტალიელმა მოახერხა ბრძოლის გაგრძელება, ოღონდ ბოლო ადგილიდან.

რაც შეეხებათ წამყვან გუნდებს, ფეტელმა იოლად შეინარჩუნა ლიდერობა, **მარკ უებერმაც** („რედ ბული“) კარგი სტარტი აიღო და პირველ მოსახვევში მეორე იყო, მაგრამ პირველი წრის მსვლელობისას მას **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი“) გაუსწრო. სხვათა შორის მანამდე ჯენსონმა **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი“) უკან ჩამოტოვებაც შეძლო - ესპანელმა პირველ მოსახვევში შესვლისას არასწორი ტაქტიკა აირჩია. ფერნანდოს უკან აღმოჩდნენ **ფელიპე მასა** („ფერარი“), **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი“) და ორი „მერსედესი“ - **მიხაელ შუმახერმა** ისევ შესანიშნავი სტარტი აიღო და მეთორმეტედან მერვე ადგილზე აღმოჩნდა.

უფრო უარესი სტარტი ჰქონდათ „ტორო როსოს“ პილოტებს, რომლებმაც შუმახერის გარდა წინ **ბრუნო სენაც** („ლოტუს-რენო“) გაუშვეს. ბრაზილიელი რამდენიმე წრე უძლებდა **ხაიმე ალგერსუარისა** („ტორო როსო“) და **სებასტიან ბუემის** („ტორო როსო“) იერიშებს, მაგრამ რადიოთი KERS-ის სისტემის პრობლემებზე აცნობეს და სენას ორივეს მეტოქის წინ გაშვებამ მოუწია. შემდეგ ესპანელმა და შვეიცარიელმა **ადრიან სუტილის** („ფორს ინდია“) ბარიერიც სწრაფად გაიარეს, თუმცა მოგვიანებით ბუემის ბრძოლის შეწყვეტა მოუხდა მექანიკური პრობლემების გამო.

ფეტელმა სტარტზე პრობლემები თავიდან აიცილა და სწრაფად შექმნა კომფორტული ხუთწამიანი სხვაობა ბატონთან. ეს ჰანდიკაპი შენარჩუნდა რბოლის პირველ ნაწილში, მეორეში და მესამეშიც კი - პირველი ადგილისთვის ბრძოლა არ გამოვიდა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელმა, როგორც იქნა, კარიერაში პირველი „დიდი სლემი“ მოიპოვა: სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა და ამას პოული და უსწრაფესი წრე დაუმატა.

მესამე პოზიციის მხრივ კი არც ისე მარტივად იყო საქმე: უებერი ბატონის პრესინგის შემდეგ პირველ წრეებზე ჩამორჩა, ხოლო მეტოქეებზე ადრე „ხისტ“ საბურავებზე გადასვლამ არ გაამართლა - ავსტრალიელმა ფერნანდო ალონსოც გაატარა.

გვერდიგვერდ მიმავალმა მასამ და ჰემილტონმა, რა თქმა უნდა, ავარიის მეშვეობით გაარკვიეს ურთიერთობა: 24-ე წრეზე ლუისმა შიდა რადიუსით შეუტია ბრაზილიელს, ამ უკანასკნელმა კი არ დათმო. შედეგად, ფელიპე შემოტრიალდა, ჰემილტონი კი დაზიანებული წინა ანტიფრთით ბოქსებისკენ გაემართა, გზად კი რადიოთი ბრაზილიელის მოქმედებაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ბრიტანელს დაეთანხმნენ რბოლის სტიუარდები და მასა პიტლეინზე შესვლით დააჯარიმეს.

მასას უიღბლობა ამით არ დასრულებულა: ფელიპემ ამ უქმეებზე მეორედ დააზიანა წინა დაკიდება... რაც შეეხება ჰემილტონს, „ფერარის“ პილოტთან ინციდენტმა ორი ადგილი დააკარგვინა - მასზე წინ „მერსედესის“ პილოტები აღმოჩდნენ. ამასთან, შუმახერმა, რომელიც მთელი რბოლა **ნიკო როსბერგის** უკან იმყოფებოდა, სწორად შეარჩია „ჰარდის“ საბურავებზე გადასვლის მომენტი და ამის ხარჯზე მეხუთე ადგილი მოიპოვა.

„მერსედესებისა“ და ჰემილტონის უკან ალგერსუარი იმყოფებოდა - „ტორო როსოს“ პილოტმა დაადასტურა კვალიფიკაციაზე მაღალი ტემპი. შემდეგ მოდიოდა ადრიან სუტილი.

ისევ ჩააგდო რბოლა „ლოტუს-რენომ“. ზედიზედ მეორე ეტაპია ფრანგული საჯინიბო ქულების გარეშე რჩება.

აღვნიშნავთ „ლოტუსისთვის“ სასიამოვნო მომენტს - **ჰეიკი კოვალაინენმა** რუბენს ბარიკელოზე ადრე დაასრულა რბოლა. **ჟერომ დ’ამბროზიომ** კი „ვირჯინის“ ღირსება დაიცვა - HRT-ის ორივე პილოტს გაუსწრო. ხოლო ადგილობრივი გმირი **ნარაიან კართიკეიანი** (HRT) თანაგუნდელ **დანიელ რიკარდოზე** წინ აღმოჩნდა...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

| ინდოეთის გრან-პრი. XVII ეტაპი | |
|---|---|
| **ბუდჰი (60 წრე, 308.220 კმ)** | |
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:30.35,002 |
| 2(5). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +8,433 |
| 3(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +24,301 |
| 4(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +25,529 |
| 5(12). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.05,421 |
| 6(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.06,851 |
| 7(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.24,183 |
| 8(10). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 9(8). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 1 წრე |
| 10(17). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 11(8). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 12(15). ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია) | 1 წრე |
| 13(13). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 14(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 15(16). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 2 წრე |
| 16(23). ჟერომ დ’ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 3 წრე |
| 17(23). ნარაიან კართიკეიანი (HRT F1, ინდოეთი) | 3 წრე |
| 18(22). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 3 წრე |
| 19(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 4 წრე |
| 20(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 27 წრე |
| 21(9). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 34 წრე |
| 22(14). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 46 წრე |
| 23(24). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 56 წრე |
| 24(18). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 59 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 374 (11 მოგება); 2. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 240 (3); 3. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 227 (1); 4. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 221; 5. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 202 (2); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 98; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 75; 8. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 70; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 36; 10. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 11. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 30; 12. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 27; 13. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 26; 14. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 21; 15. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 15; 16. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 14; 17. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 18. **ბრუნო სენა** (ლოტუს-რენო, ბრაზილია) - 2; 19. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 595 ქულა; 2. **მაკლარენი** - 442; 3. **ფერარი** - 325; 4. **მერსედესი** - 145; 5. **ლოტუს-რენო** - 72; 6. **ფორს ინდია** - 51; 7. **ზაუბერი** - 41; 8. **ტორო როსო** - 41; 9. **უილიამსი** - 5.

ფეტელი თავიდანვე დაწინაურდა

